



ციბეხანი

№ 17
27 იანვარი - 9 თებერვალი 2010

ქართული „დესანტი“ უკრაინაში **გვ. 20**
 გუგუნიძის აგონია პოლიტიკის გარეშე **გვ. 24**
 დანიშნული არჩეული თავმჯდომარე **გვ. 27**
 VS 10 სანსკოლო გამოცდა **გვ. 10**
 კავკასიური დილემა **გვ. 36**
 სახელმწიფო შენგე ჭკვიანია **გვ. 33**
 ჯარისკაცები საკლასო ოთახში **გვ. 40**
 ქართველი ოლიგარქის „ჯილა“ **გვ. 46**
 სახადი №5 – დავით ზურაბიშვილი **გვ. 52**

ISSN 1987-7528



ფასი 2.80 ლარი



ეპოქის დასასრული გვ. 12



სომარში:

- 02 რედაქტორი
- 04 მოკლედ
- 06 ვრცლად
- 10 ორი აზრი
აამაღლებს თუ არა ახალი საგამოცდო სისტემა განათლების ხარისხს?
გია მურღულია v.s. სიმონ ჯანაშია
ფოკუსი - არჩევნები უკრაინაში
- 12 ეპოქის დასასრული
- 16 ინტერვიუ
რევოლუციით გაცრუებული იმედები
კოსტ ბონდარენკო
- 18 ინტერვიუ
რევოლუცია – პროგრესი ლოგიკური დასასრულის გარეშე
ალექსეი გარანი
- 19 უკრაინის არჩევანი


- 20 უკრაინა 2010
ქართველები დონეცკში
- 22 უკრაინა 2010
„ქართული დესანტი“ უკრაინაში
პოლიტიკა
- 24 მუხროვანის ამბოხი პოლიტიკური სარჩულის გარეშე
- 27 ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩევნები
დანიშნული არჩეული თავმჯდომარე
- 29 პრეზიდენტის შეხვედრა გურულ მოსახლეობასთან მსახიობები მოსახლეობის როლში
ეკონომიკა
- 31 „ქაშაშვილის შემოჭრის“ საეჭვო ეფექტი
ჟურნალისტური გამოძიება
- 33 სახელმწიფო შენზე ჭკვიანია

- კონფლიქტები**
- 36 კავკასიური დილემა
- 38 ჩრდილოეთ კავკასია
კავკასიის უფროსი
- 39 აზერბაიჯანი
აზერბაიჯანული პროპაგანდა სომხურ ენაზე
საზოგადოება
- 40 ჯარისკაცები საკლასო ოთახში
- 44 თვალსაზრისი
გამოსაშვები გამოცდები, როგორც განათლების ხარისხის მართვის შემადგენელი ელემენტი
ალექსანდრე (კახა) ლომია
- 46 თვალსაზრისი
ქართველი ოლიგარქის „ვილა“
ნესტან თათარაშვილი
- 48 მომხმარებლის უფლებები
არარსებული არჩევანი

- 50 ძალადობა ოჯახში
მსხვერპლისა და მოძალადის ჩაკეტილი წრე
საუბრები ლიბერალიზმზე
- 52 სახადი № 5
- 56 რეცენზია
უგმირო თაობა

ბარეკანზე:

ეპოქის დასასრული
ფოტო: სერგეი სტაროსტენკო





„ტიმოშენკოსა და იანუკოვიჩის დუეტის კრემლის ყველაზე კომპლექსური და საშიში პოლიტიკის ნაწილია“ – ეს ვიქტორ იუშჩენკოს სიტყვებია. 11 იანვარს მან ყოფილი თანამოაზრე იულია ტიმოშენკო იდეალების ღალატში ამხილა. უკრაინის პრეზიდენტმა თქვა, რომ ტიმოშენკომ მიატოვა პროევროპული კურსი და რუსეთის სასარგებლო პოლიტიკის გატარებას შეუდგა.

ვიქტორ იუშჩენკოს ნატო-სკენ სწრაფვამ და საქართველოს მოკავშირეობამ, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯად შეფასდა, დიდწილად განაპირობა მისი 5%-იანი მაჩვენებელი არჩევნებში. 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ მიხეილ სააკაშვილის ახლო მეგობარმა ტიმოშენკოს ნეიტრალური პოზიცია სასტიკად გააკრიტიკა და თქვა, რომ ის რუსეთის დავალებას ასრულებდა.

„ჩვენ თავს კომფორტულად ვგრძნობთ ტიმოშენკოს მთავრობასთან მუშაობისას. ვფიქრობ, მისი პრემიერობის დროს რუსეთ-უკრაინის ურთიერთობები სტაბილური და ძლიერი გახდა“, – ეს ვლადიმირ პუტინმა უკრაინაში წინასაარჩევნოდ ვიზიტის დროს, ტიმოშენკოსთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა. ყველა ტელეკამერამ გადაიღო, როგორ გულიანად იცინოდა ქალბატონი ტიმოშენკო პუტინის არაკორექტულ ხუმრობაზე: „კარგი იქნება, თუ ორი პრეზიდენტი (იუშჩენკო-სააკაშვილი) ჰალსტუხების გარეშე ივახშმებს... ჰალსტუხებს ახლა ფასი ადევს, რა იცი, რა ხდება“...

საქართველოსთვის უკრაინის ასეთ პრეზიდენტზე უარესი მხოლოდ ის არის, ვინც მინიშნებებს აფხაზეთისა და ოსეთის აღიარებაზე აკეთებს და უკრაინის ნატო-ში შესვლის წინააღმდეგია. სწორედ ასეთია ვიქტორ იანუკოვიჩი. ის უკრაინელ ხალხს უკვე დაჰპირდა, რომ არჩევის შემთხვევაში რუსეთთან ისეთ ურთიერთობებს დაამყარებს, რომელზეც რუსი და უკრაინელი ხალხები „ისტორიულად ოცნებობდნენ“.

უკრაინის საპრეზიდენტო მართობში საქართველო 2000 წარჩევი დამკვირვებელი აქტიურად ჩაერთო. საქართველოს პრეზიდენტი ანონიმურ აუდიოჩანაწერში „იულიას“ – დამკვირვებლების საკითხის მოგვარებას, შინაგან საქმეთა მინისტრი კი დონეცკში ხალხის გადაყვანისთვის თვითმფრინავებს სთხოვს. ჩანაწერის ავთენტურობა არ უარუყვია საუბრების არც ერთ მონაწილეს. როგორც ჩანს, არჩევანი ცუდსა და უარესს შორის ჩვენმა ხელისუფლებამ უკვე გააკეთა, თუმცა დაავინყდა, რომ ეს არჩევანი მისი გასაკეთებელი არ არის.

სოფო ჭაავა,
პოლიტიკისა და საერთაშორისო ამბების განყოფილების რედაქტორი
sofia.chaava@liberali.ge

რედაქტორი: მთავარი რედაქტორი შორენა შვერდაშვილი / აღმასრულებელი რედაქტორი ნინო ჯავახიშვილი / პოლიტიკა და საერთაშორისო ამბები სოფო ჭაავა / კავკასია და კონფლიქტები სოფო ზუკია / ჟურნალისტური გამოძიება ბესო კურტანიძე / საზოგადოება თამარ ბაბუაძე / ადამიანის უფლებები და სამართალი ნინო ბექიშვილი / ახალი ამბები ნათია ახალაშვილი რედაქცია: ფოტო-რედაქტორი ლევან ხერხეულიძე / გრაფიკული დიზაინი თორნიკე ლორთქიფანიძე / რედაქტორ-სტილისტი ნინო სვანიძე / კორექტორი ნინო საითიძე ბამონცაძე/შპს: პროექტის მენეჯერი ქეთი ბაბუნაშვილი / პროექტის მენეჯერის ასისტენტი ლელა შუბითიძე / რეკლამის და გაყიდვების დირექტორი შალვა ჩუბინიძე / დისტრიბუტორი ზვიად შენგელია ბამონცაძე/შპს: „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge სსპა ბამონცაძე/შპს: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „პიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“. „ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია. ბამონცა: სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, ნერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02. ტირაჟი: 5000 ცალი. გამოდის ორ კვირაში ერთხელ. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2,80 ლარი. www.liberali.ge

გამოიწერეთ ჟურნალი „ლიბერალი“ და მიიღეთ იგი გამოსვლის დღეს
(ყოველ მეორე ოთხშაბათს)
თქვენთვის სასურველ მისამართზე



ლიბერალი

6 ნომერი (3 თვე) – 16,80 ლარი
13 ნომერი (6 თვე) – 36,40 ლარი
25 ნომერი (1 წელი) 70 ლარი

ჟურნალის გამოსაწერად დაგვიკავშირდით ტელეფონზე:
23 37 31, (899) 48 62 41
ან მოგვანოვდით თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია
ელ-ფოსტით: info@liberali.ge



მინისძვრის შედეგები ჰაიტოზე, იანვარი 2010

მინისძვრა ჰაიტოზე

დალუპულთა რაოდენობა, შესაძლოა, 200 ათასზე მეტი იყოს. 7,2-ბალიანმა ბიძგებმა მთლიანად დაანგრია ჰაიტის დედაქალაქი – პორტ-ო-პრენსი.

რესპუბლიკა ჰაიტი ერთ-ერთი ყველაზე ღარიბი, არასტაბილური ქვეყანაა მსოფლიოში, რომელიც მუდმივად შიმშილს, სტიქიურ უბედურებებსა და სახელმწიფო გადატრიალებებს განიცდის.

სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი იმანაც განაპირობა, რომ ეს ქვეყანა სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების მისაღებად კი, რომ არაფერი ვთქვათ კატასტროფის პირველადი შედეგების დამოუკიდებლად ლიკვიდაციაზე.

მინისძვრამ სახელმწიფო მნიშვნელობის შენობები დაანგრია, მათ შორის – პრეზიდენტის სასახლეც და საავადმყოფოებიც. გადარჩენილები მასობრივად იღუპებიან სასმელი წყლის, საკვებისა და სამედიცინო დახმარების უქონლობის გამო.

„ქალაქი სავესტა გვამებით. არნახულ მასშტაბებს მიაღწია მაროდიორობამ. ამერიკელ ჯარისკაცებს ქუჩებში პატრულირება უწევთ, მათი სამაშველო ოპერაცია კი სულ უფრო ემსგავსება ფართომასშტაბიან სამხედრო ოპერაციას“, – პორტ-ო-პრენსიდან გადმოსცემს „ბიბისის“ კორესპონდენტი მეთ ფრაი.

უსახლკაროდ დარჩენილთა რაოდენობა მილიონ-ნახევარს აღწევს.

ჰუმანიტარული მისიის განხორციელებას ჰაიტოზე 16 ათასი ამერიკელი ჯარისკაცისა და გაეროს-ს ეგიდით მყოფი 9 ათასზე მეტი პოლიციელის მონაწილეობა დასჭირდა.

პორტ-ო-პრენსის აეროპორტი, რომელსაც დღეს აშშ აკონტროლებს, მთელი მსოფლიოდან ჰუმანიტარული ტვირთების მიღებას ვერ აუღის. დახმარების გასაგზავნად მზადაა საქართველოც. თუმცა, 250 ათასი ლარის ოდენობის ქართულ ჰუმანიტარულ ტვირთს პორტ-ო-პრენსის გადატვირთული აეროპორტი ჯერჯერობით ვერ იღებს.

აშშ-ს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჰაიტი 100 მილიონ დოლარს მიიღებს. ამდენივე ჩაერიცხება მსოფლიო ბანკიდან. 10 მილიონს გაიღებს გაერო.

სოლიდური თანხა შეგროვდა 22 იანვარს ლონდონში გამართული კონცერტი-მართონის მსვლელობისას, რომლის ორგანიზატორები მსახიობი ჯორჯ კლუნი და წარმოშობით ჰაიტელი მომღერალი უაიკლიფ ჯინი იყვნენ.

რამდენიმე ქვეყანა უკვე გამოვიდა ინიციატივით, გაამარტივოს საკუთარი მოქალაქეებისთვის ჰაიტელი ობოლი ბავშვების შვილად აყვანის პროცედურები. ჯერ კიდევ მინისძვრამდე, აქ 380 ათასი ობოლი იყო.

როგორც მსოფლიო პრესა წერს, ჰუმანიტარულ დახმარებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია, თუ რა მოხდება ჰაიტოზე მას შემდეგ, რაც ქვეყანა ნანგრევებისგან განთავისუფლდება.

„მინისძვრამ აჩვენა, რომ ჰაიტი სუსტი ქვეყანაა, რომელსაც მართავს მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ორიენტირებული ადამიანების ვინრო წრე. ამ ქვეყანას არანაირი სტრატეგიული მნიშვნელობა არ აქვს, ამიტომ საერთაშორისო თანამეგობრობამ იგი დაივიწყა. თუ მსოფლიოს მართლა სურს ჰაიტის გადარჩენა, მაშინ მომავალში ეს ასე აღარ უნდა გაგრძელდეს“, – წერს ბრიტანული Times.

„მამა ბუასილის“ საქმე

ე.წ. „მამა ბუასილის“ საქმეზე ორი ახალგაზრდის დაკითხვიდან 3 თვის შემდეგ შს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი შოთა უტიაშვილი „ლიბერალთან“ საუბრისას აცხადებს, რომ ამ საქმეზე გამოძიება არ დაწყებულა. მისი თქმით, 16 წლის მოსწავლისა და 21 წლის სტუდენტის დაკითხვა მხოლოდ დანაშაულის ფაქტის დასადგენად გახდა საჭირო. „აღმოჩნდა, რომ ამ ადამიანებს არ ჩაუდენიათ დანაშაული. საქართველოს კანონმდებლობაში არ არის მუხლი, რომლითაც მათი ქმედება დაისჯება“, – აცხადებს შოთა უტიაშვილი. თუმცა, 2009 წლის 1 ნოემბერს შს სამინისტრომ განაცხადა, რომ კათალიკოს-პატრიარქის, ილია II-ის „შეურაცხმყოფელი და უხამსი ვიდუო რგოლის დამზადებისა და ინტერნეტით გავრცელების ფაქტზე წინასწარი გამოძიება დაიწყო“. ექვმიტანილის სახლიდან პოლიციამ კომპიუტერები ამოიღო, ახალგაზრდები კი რაიონულ პროკურატურაში დაკითხეს. ერთ-ერთი დაკითხულის ადვოკატი გავი მონიაშვილი ამბობს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი მონმის სტატუსით დაკითხეს, ეს კი შეუძლებელია, თუ ფაქტზე გამოძიება არ არის დაწყებული. იურისტების განმარტებით, იმ შემთხვევაში, თუ გამოძიება ამ ფაქტზე მართლაც არ დაწყებულა, ახალგაზრდები მხოლოდ დანაშაულის ნიშნების შემცველი ფაქტის ძიების ფარგლებში უნდა დაეკითხათ. დანაშაულის არდადასტურების შემთხვევაში კი უნდა შემდგარიყო დადგენილება ძიების შეწყვეტასთან დაკავშირებით. დაცვის მხარეს მსგავსი დადგენილება დღემდე არ მიუღია. შს-ს 21 წლის გიორგისთვის არც ის ნივთები დაუბრუნებია, რომლებიც მისი სახლიდან ამოიღეს.

ლავა ინტერვიუს გამო

„თუ რუსეთი გაიყვანს თავის შეიარაღებულ ძალებს აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან, სანაცვლოდ, საქართველო უარს იტყვის ნატო-ს წევრობაზე“ – გიგი უგულავას ეს ფრაზა Newsweek-ის რუსული გამოცემის ჰედლაინებში მოხვდა. ინტერვიუ თბილისის მერმა ჟურნალისტ ელიზავეტა მაცეტნაიას 10 იანვარს, თბილისში მისცა.

Newsweek-ის ვებგვერდზე ინტერვიუ 15 იანვარს გამოქვეყნდა და მას მალევე მოჰყვა თბილისის მერიის რეაქცია. უგულავას პრესსამსახურის განცხადებით, Newsweek-ის რუსულ გამოცემაში გამოქვეყნებული ინტერვიუ „უამრავ უზუსტობას შეიცავს“ და ფრაზა, რომელიც ნატოში საქართველოს შესვლას ეხებოდა, „არასწორია“.

„ბატონ უგულავას არასდროს უგულისხმია, რომ საქართველოს მისწრაფება ნატო-ში პირობითია და რომ შესაძლოა ამ საკითხით ვაჭრობა. ნატო-ში ინტეგრაცია ქართველი ხალხის ძლიერი სურვილია, რაც დადასტურდა 2008 წლის 5 იანვარს ჩატარებული პლემბისციტით“, – ნერია მერიის მიერ ინგლისურ ენაზე გავრცელებულ განცხადებაში. აქვე აღნიშნულია, რომ მერს არ აქვს უფლებამოსილება და არც განზრახვა, რომ უგულავას ხალხის ნება; გიგი უგულავა მხარს უჭერს ნატო-ში საქართველოს გაწევრიანებას, როგორც საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ ელემენტს.

Newsweek-ის რუსული ვერსიის ჟურნალისტი ელიზავეტა მაცეტნაია ინტერვიუში ყველანაირ უზუსტობას გამოიციხავს. მისი თქმით, გიგი უგულავა თბილისში, მერიის მე-19 სართულზე, საკუთარ კაბინეტში ჩანერა და ინტერვიუს უგულავას პრესსამსახურის წარმომადგენელიც ესწრებოდა. „ვისაუბრეთ საათზე მეტ ხანს სხვადასხვა თემაზე. გამოვაქვეყნეთ ის, რაც ჩვენრეთ“, – ამბობს მაცეტნაია.

თუმცა, მაცეტნაია უარს ამბობს, თბილისის მერიის ბრალდებების საპასუხოდ, საკუთარი აუდიოჩანაწერი გამოაქვეყნოს. „მე არ გეტყვი, მაქვს თუ არა ჩანაწერი და არც შემიძლია მოგცეთ. ჩვენ ამას არასოდეს ვაკეთებთ“. მაცეტნაიას თქმით, თუ მერიის ადმინისტრაციას რაიმე საბაბი ჰქონდა, ეფიქრა, რომ ინტერვიუ დამახინჯებული სახით გამოქვეყნდებოდა, პრესსამსახურის წარმომადგენელს შეეძლო საკუთარი აუდიოჩანაწერი გაეკეთებინა.



სიტყაჯუი



„როდესაც ათეულობით ათასი რუსი ჯარისკაცი შემოიჭრა საქართველოში, ამდენი არ ეტეოდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ამიტომ ეს ნაწილები წინ და უკან დადიოდნენ. რუსი გენერალი, მათი ჩვეულებისამებრ, როცა იყო შემოსული, ეგრევე დაიწყო ტანკების ბენზინის გაყიდვა ადგილობრივ ბიზნესმენებზე. ამან, სხვათა შორის, დრო მოგვავებინა, იმიტომ რომ დიდი აზარტით და სიამოვნებით ყიდდნენ. ეს ბიზნესი აწყო და რადგან მომარაგების საზებო ჩაჭრილი იყო, სანავს მოსახლეობაც მათგან ყიდულობდა, თან იაფად. ჩვენი ადგილობრივი ბიზნესმენების მორიგი მისვლის დროს, ამ გენერალმა უთხრა – „დიდი ბოდიში, მაგრამ დღეს მივიღეთ ბრძანება თბილისზე ნასვლის. ამიტომ დღეს ბენზინს ვერ მოგყიდით, მაგრამ თუ გინდით მოგყიდით ერთ რამეს. მე ვიყავი ვიეტნამში, როცა ლეიტენანტი ვიყავი, ვასრულებდი ჩემს ამერიკელებთან ბრძოლის ინტერნაციონალურ ვალს. მაშინ ერთი ამერიკელი მფრინავი ავიყვანეთ და ნადავლად მისი პირადი პისტოლეტი წამოვიღე. თუ გინდა მოგყიდი ამ პისტოლეტს“. ამ ბიზნესმენმა ეს პისტოლეტი იყიდა და შემდეგ მისცა ადგილობრივ ხელისუფლებას. მე მიინდა ახლა ეს პისტოლეტი სიმბოლურად დავუბრუნო დიდ ამერიკელ მფრინავს, ჯონ მაკეინს“.

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.
11 იანვარი, ამერიკელი სენატორის ჯონ მაკეინის
საქართველოში ვიზიტის დროს**

„მე არც ერთი კანდიდატი არ მანყობს. თუმცა, იმისკენ ვიხრები, ვისზეც უფრო მეტად შეეძლებოთ გავლენის მოხდენას. ეს კი ტიმოშენკოა. თუ გაზმა და ფულმა ვერ გვიშველა, მაშინ მასზე, როგორც ქალზე, ეროტიკულ ზემოქმედებას მოვახდენთ. იგი პატივმოყვარეა და დედოფლობაზე ოცნებობს. მისთვის აუცილებელია ხმამაღალი დაპირებები. ტიმოშენკოზე გავლენას მაშინ დააკარგავთ, თუ დასავლეთი ჩვენზე მეტს შეპირდება“.

**ვლადიმერ ჟირინოვსკი, რუსეთის სახელმწიფო
სათათბიროს თავმჯდომარის მოადგილე**

„მაესტროს“ გეგმები

ახალი ოფისი, ახალი კადრები და დამფინანსებლები – „მაესტროს“ გუნდი წინასაარჩევნოდ 24-საათიანი საინფორმაციო არხის შექმნას გეგმავს.

ნინო გოგუა



„მაესტროს“ სამონტაჟო, იანვარი 2010

ფოტო: ლევან ხაჩიკაძე

ძველი საცხოვრებელი სახლის 40 კვადრატულმეტრიანი ოთახის შემდეგ „მაესტროს“ ახალ ოფისში საინფორმაციო სამსახურს გაცილებით მეტი სივრცე და შესაძლებლობები აქვს. ცალკეა ქართული და უცხოური ახალი ამბების „ნიუსრუმები“, სამონტაჟო და ხმის ჩამწერი კაბინა, მენეჯმენტმა შეიძინა რამდენიმე კამერა და კომპიუტერი.

არხის მენეჯერის ეროსი კინმარიშვილის თქმით, „მაესტროს“ 24-საათიანი საინფორმაციო არხად ყალიბდება, როგორც „სიენი“ და „ბიბისია“. სამაუნწყებლო ბადიდან უკვე გაქრა მუსიკალური კლიპები. საინფორმაციო გამოშვებაში „უკომენტაროდ“ გაჩნდა ჟურნალისტიკების საავტორო სიუჟეტები. „სრული რეორგანიზაცია მიმდინარეობს. თუმცა ჯერ ყველაფერი ჩანასახის სტადიაზეა. არხი ჯერ კიდევ კონცეპტუალურად ჩამოსაყალიბებელია, ინფრასტრუქტურაც – მოსაწესრიგებელი“, – ამბობს ეროსი კინმარიშვილი.

„მაესტროს“ ინფრასტრუქტურის მონქსრიგების ფინანსურ მხარეზე, ბოლო რამდენიმე კვირაა, კახა ბექაური

ზრუნავს. ის „პირველ არხზე“ წლების განმავლობაში ზაზა შენგელიას მოადგილე იყო და მაუნწყებლის ფინანსურ საკითხებს განკარგავდა. ბექაური და კინმარიშვილი ახლა ერთად ეცდებიან თითქმის გაბანკროტებული ტელევიზიის რეორგანიზაციისთვის აუცილებელი ფულის მოძიებას.

„ყველანაირ შემონარულობას მივიღებთ, გარდა კრიმინალური ფულისა, მაგრამ „მაესტროს“ არასდროს არ იქნება დამოკიდებული არავის ნებასურვილზე. ნოლაიდელი, ბურჯანაძე, სააკაშვილი, განჩილაძე, ვინც უნდა შემოიტანოს ფული, მისაღებია, თუ ის თავისუფალ სიტყვას დაუჭერს მხარს და სანაცვლოდ არაფერს წაიღებს“, – ამბობს „მაესტროს“ მფლობელი მამუკა ლლონტი.

ფულს „ქართული თავისუფალი არხებისთვის“ ეძებს ოპოზიციაში გადასული ყოფილი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოლაიდელიც. ის უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შემდეგ გაფრინდა და როგორც თავად ამბობს, რამდენიმე უკრაინელი ბიზნესმენი ქართული მედიისთვის ფულის მიცემაზეც დაითანხმა. „უკრაინ-

ნელი ბიზნესმენები დაუკავშირდებიან ქართულ არხებს და შემდეგ დამოუკიდებლად გააგრძელებენ მოლაპარაკებას. ამით ვეზმარები თავისუფალ ტელევიზიებს, რომლებიც თუ უკეთ იქნებიან ტექნიკურად აღჭურვილები, სიმართლეს მთელ საქართველოში გაიტანენ“, – განაცხადა ნოლაიდელმა.

„ლიბერალთან“ საუბარში ზურაბ ნოლაიდელი განმარტავს, რომ „მაესტროს“, და „კავკასიის“ გარდა, უცხოელ ბიზნესმენებს ქართული რეგიონული ტელეარხების დაფინანსებაც სთხოვს.

ეროსი კინმარიშვილმა რამდენიმე თვის წინ ლიად მოუწოდა ყველას, მათ შორის ნოლაიდელსაც, „მაესტროსთვის“ ინვესტიციის მოზიდვაში დახმარებისკენ, თუმცა „ამის შემდეგ რაიმე კონკრეტული მოლაპარაკება ნოლაიდელთან არ ყოფილა“.

„მაესტროს“ დაფინანსების საკითხი მედიის ყურადღების ცენტრში მაშინაც მოხვდა, როცა ეროსი კინმარიშვილის განცხადებით, ქიბარ ხალვაშისგან ტელევიზიისთვის ნასესხები ფული, 45 000 დოლარი ირაკლი ოქრუაშვილის მძღოლს „ნილბიანგმა“ მისი სახლის სადარბაზოსთან წაართვეს. სამართალდამცავებს ამ ფაქტზე არავინ დაუკავებიათ.

როგორც ჩანს, რეორგანიზაციისთვის საჭირო თანხა კინმარიშვილმა ჯერჯერობით სრულად ვერ მოიძია. გადაცემა „პროფესია რეპორტიორის“ წამყვანი თამარ ჩიქოვანი ამბობს: „ჯერჯერობით ვერ დავინახე, რომ რაიმე დამატებითი ფინანსები შემოვიდა. ჟურნალისტიკები ისევ დაბალ ხელფასზე მუშაობენ. ოფისი, სადაც არხი გადავიდა, ეროსი კინმარიშვილის მოსვლამდეც ჰქონდა „მაესტროს“ და დიდი ხნის განმავლობაში არემონტებდა. იმედი მაქვს, ახალი ფული ტექნიკას და ახალ სტუდიებს დაეტყობა, მაგრამ ჯერჯერობით ეს ფული არ ჩანს“.

თამარ ჩიქოვანი ვარაუდობს, რომ მისი გადაცემა ახალი ეთერის დაწყები-

სას შეიცვლება: „იანვარ-თებერვალში გადაცემა ძველი ფორმატით გავა, შემდეგ რა იქნება, არ ვიცი. შეიძლება ფორმატი და სტუდია შეიცვალოს“.

გადაცემა „უცნობი კავკასიის“ პროდუსერი და ჟურნალისტი ნათია გამცემლიძე ამბობს, რომ არ არის გამორიცხული ნამყვანების დამატება, ან შეცვლა, თუმცა რადიო „უცნობის“ და „მაესტროს“ თანამშრომლობა გაგრძელდება: „ვიცი, რომ რადიო „უცნობის“ თანამშრომლებთანაც ანარმოებენ მოლაპარაკებას ინდივიდუალურად, მაგრამ დანამდვილებით არაფრის თქმა არ შემიძლია“.

საკადრო ცვლილებები „მაესტროზე“ უკვე დაწყებულია. კინმარიშვილის გადაწყვეტილებით, საინფორმაციო სამსახურს, ნათია მიქიაშვილის ნაცვლად, ახლა „რუსთავი 2“-ის ძველი თანამშრომელი თამარ რუხაძე უხელმძღვანელებს. რუხაძემ „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო სამსახურის პროდიუსერის თანამდებობა 2007 წელს დატოვა, შემდეგ რამდენიმე თვის განმავლობაში ირაკლი ოქრუაშვილის პარტიის პრეს-სპიკერად მუშაობდა. ბოლო დრომდე თამარ რუხაძე ჟურნალისტი ნანა ლეჟავასთან ერთად სტუდია GNS-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი და პროდიუსერი იყო. ის ამბობს, რომ „მაესტროსგან“ ისეთ არხს გააკეთებს, „როგორც ქართულ მედია სივრცეში არც აქამდე ყოფილა და არც იქნება“.

ახალი გადაცემების მოსამზადებლად მიმდინარეობს მოლაპარაკება რამდენიმე ცნობილ ჟურნალისტთან, თუმცა მიღწეულ შეთანხმებებზე საუბარს ჯერ ყველა ერიდება. წინასწარი ინფორმაციით, „მაესტროს“ ეთერში პოლიტიკურ თოქ-შოუს ეკა ბერიძე წაიყვანს. ამავე არხზე, შესაძლოა, საავტორო რადიოგადაცემა „დილოგის“ ტელევიზორით გამოჩნდეს ეკა ხოფერიაცი.

საერთაშორისო ამბების განყოფილებაში კონსულტანტის პოსტს სთავაზობენ გერმანისტი ლაშა ბაქრაძეს, რომელიც ამბობს, რომ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. ახალი ეთერისთვის ოპერატორებს ასევე „რუსთავი 2“-ის ყოფილი ოპერატორი ვალერი ოდიკაძე ამზადებს. სიახლეებია ჟურნალისტების სამუშაო გრაფიკშიც – ჟურნალისტი ანა ბროლაძე ამბობს, რომ სამუშაო პროცესი ბევრად ორგანიზებული და შინაარსიანი გახდა.

„მაესტროს“ ახალი ეთერი, სავარაუდოდ, მარტში დაიწყება.

„ბათუმელების“ საქმი

ანიტა თვაური

გაზეთ „ბათუმელების“ ჟურნალისტი, თედო ჯორბენაძეზე ზენოლისა და შანტაჟის ფაქტებთან დაკავშირებით შსს-ს გენერალური ინსპექციის მიერ დაწყებული შიდა მოკვლევა, თვეზე მეტია, უშედეგოდ მიმდინარეობს.

შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელის შოთა უტიამვილის განცხადებით, გენერალური ინსპექციის მიერ წარდგენილი ფოტოებიდან ჟურნალისტმა დამნაშავე ვერ ამოიცნო და ახლა მისთვის სხვა თანამშრომლების ფოტოების ჩვენებას აპირებენ.

„ბათუმელების“ რედაქტორის ეთერ თურაძის თქმით, გენერალურმა ინსპექციამ მათ სოდის თანამშრომლების ფოტოები აჩვენა. მათი ინფორმაციით კი, იმ სართულზე, სადაც ჟურნალისტი დაიბარეს, კონტრაბანდის დეპარტამენტია განთავსებული. მიუხედავად ამისა, გენ-ინსპექციას ამოსაცნობად მათთვის არ უჩვენებია არც ერთი კონტრაბანდის დეპარტამენტის თანამშრომლის ფოტო. ეთერ თურაძე სამართალდამცავებს დახმარებას სთავაზობს: „შენობაში შეგვიყვან-

ონ და ვაჩვენებთ იმ ოთახს, სადაც ჩვენ ვიყავით იმ ღამეს. ადვილი დასადგენი იქნება, იმ დროს იმ ოთახში ვინ იმყოფებოდა, რადგან, ამ სამსახურის შიდა სტრუქტურიდან გამომდინარე, ძალიან ზუსტად არის განსაზღვრული, ვინ სად ზის და როდის და როგორ გადაადგილდება“.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე თამარ ხიდაშელი იხსენებს, რომ ამ საქმის შესახებ 10 იანვარს, ბათუმში არასამთავრობო ორგანიზაციებთან დახურულ შეხვედრაზე საქართველოს პრეზიდენტმაც ისაუბრა. „პრეზიდენტმა თავად დაიწყო საუბარი გაზეთ „ბათუმელებზე“. მისი სიტყვების ქვეტექსტი დაახლოებით ასეთი იყო – „ბათუმელები“ ისეთს არაფერს წარმოადგენს, რომ ხელისუფლება დაინტერესებული ყოფილიყო მისი დაშინებით“, – ამბობს ხიდაშელი.

30 ნოემბერს თედო ჯორბენაძემ აჭარის პროკურატურას მიმართა საქმის აღძვრასთან დაკავშირებით განცხადებით, თუმცა მისთვის დღემდე არავის უცნობებია, დაიწყო თუ არა გამოძიება.

ჩამონგრეული შენობა შემოწმებული არ ყოფილა

ნინო გოგუა



■ გულიას ქუჩაზე ეროვნული გვარდიის ყოფილი შენობის ჩამონგრევა, იანვარი 2010

8 იანვარს გულიას ქუჩაზე ეროვნული გვარდიის ყოფილი შენობის ჩამონგრევას კომპანია „ალიზის“ 4 მუშის სიცოცხლე შეენირა. 9 სართულის ერთდროულად ჩამოშლის მიზეზების კვლევა ჯერ არ დასრულებულა. გამოძიებამ ორი კვირის განმავლობაში რამდენჯერმე დაკითხა კომპანია „ალიზის“ დირექტორი ბიჭიკო ტიტვინიძე.

კომპანია „ალიზმა“ შენობის განმენდა და მოპირკეთება საჯარო რეესტრთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე დაიწყო. „რეესტრის მიერ მოცემული ნახაზის მიხედვით, არ შევხებივართ საყრდენ კედლებს,

არც მიმე ტექნიკა შეგვიტანია შენობაში. მიჭირს, რაიმე ვარაუდი გამოვთქვა, რამ გამოიწვია შენობის ჩამონგრევა, თანაც შესვენებაზე, როდესაც 30-მდე სხვა მუშა გასული იყო შენობიდან“, – აცხადებს ბიჭიკო ტიტვინიძე. უბედური შემთხვევა სამუშაოების დაწყებიდან მეთხუთსეულს მოხდა.

ტიტვინიძის განმარტებით, ის კომპანიას ნახაზის ან შენობის მდგრადობის შემოწმება არ ევალეობდა და ეს რეესტრს უნდა შეემოწმებინა, როცა შენობაში ჩასატარებელი სამუშაოებისთვის ტენდერი გამართა. საჯარო რეესტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის ეკა ერგემიძის თქმით, „შენობის მდგრადობის დასადგენად რეესტრმა მიმართა ექსპერტიზის ბიუროსაც და „ზავრივესაც“, რომლებიც შენობას ნაგვის გატანის შემდეგ შეისწავლიდნენ და შესაბამისად დასკვნაც მაშინ დაიდებოდა“.

ექსპერტიზის ბიურო დაგეგმილი სამუშაოების შესახებ გამოძიების დასრულებამდე კომენტარს არ აკეთებს. ზავრივეის (კირიაკ ზავრივეის სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის) ინსტიტუტში კი აცხადებენ, რომ ეროვნული გვარდიის შენობასთან დაკავშირებით საჯარო რეესტრთან მოლაპარაკება არასოდეს ჰქონიათ.

ფასიანი საჯარო ინფორმაცია

ოფიციალური ინფორმაციით სამენარმეო რეესტრიდან ინფორმაციის მიღება გამარტივდა და ეს პროცედურა უფრო გამჭვირვალე გახდა. რეალურად კი სამენარმეო რეესტრის ამონაწერზე საფასურის დაწესება საჯარო ინფორმაციის მიღებას ზღუდავს.

მაია ნიკლაური



„საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მომზადება 15 ლარი ღირს“, – წერია ცვლილებაში, რომელიც პარლამენტმა 2009 წლის 3 ნოემბერს მიიღო და ძალაში 2010 წლის 1 იანვრიდან შევიდა. ეს თანხა უნდა გადაიხადოს მოქალაქემ, რომელსაც მენარმე სუბიექტისა და დამფუძნებლის ვინაობა აინტერესებს. მაგალითად, სტუდია „მონიტორის“ ჟურნალისტს გივი მგელაძეს გამოძიების ჩასატარებლად 40 ფირმის დამფუძნებლის ვინაობა სჭირდება. მას საერთო ჯამში 600 ლარის გადახდა მოუწევს. ეს თანხა ნებისმიერი მოქალაქისა, თუ მედია ორგანიზაციისთვის დიდი ფუფუნებაა. „ვინც რაღაცას აკეთებს ჟურნალისტიკაში და ცდილობს, უფრო ღრმად ჩაიხედოს, თუ რა ხდება ამ ქვეყანაში, მათ მუშაობა ძალიან გაუჭირდებათ“, – ამბობს სტუდია „მონიტორის“ ხელმძღვანელი ნინო ზურიაშვილი.

საწარმოს დამფუძნებლისა და მფლობელის შესახებ ინფორმაცია 2008 წლის მაისში არასაჯარო გახდა. კანონში შეტანილი ცვლილებით, მიმდინარე წლიდან ინფორმაცია მფლობელისა და დამფუძნებლის შესახებ ისევ საჯაროა. ამ ცვლილებების მიხედვით, ინფორმაცია უფრო გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი უნდა გამხდარიყო, მისი მიღების პროცედურაც – უფრო მარტივი. „ნებისმიერ მსურველს დაუბრკოლებლად შეუძლია ისარგებლოს ჩვენი სააგენტოს მომსახურებით და ვებგვერ-

დზე არსებული მონაცემებითაც“, – ამბობდა რეესტრის ხელმძღვანელი სოსო წიქარიშვილი. თუმცა არავის უთქვამს, რომ ახალ კანონში გაჩნდა ერთი დაბრკოლება – ინფორმაციის მისაღებად დაწესებული 15-ლარიანი მოსაკრებელი.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 38-ე მუხლის მიხედვით, დაუშვებელია დაწესდეს რაიმე სახის საფასური საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის, გარდა ასლის გადაღებისთვის აუცილებელი თანხისა. კანონის ეს პუნქტი სხვა დაწესებულებებში დაცულია და საჯარო ინფორმაციის ასლის, ერთი ფურცლის, გაცემა ყველგან 5 თეთრი ღირს. საჯარო რეესტრში კი ღირებულება ადრე 50 თეთრს შეადგენდა. „თუ დაჩქარება მინდოდა, მე მაგალითად, 6 ლარი და 50 თეთრიც გადამიხდია საჯარო რეესტრის ამონაწერში. ამ თანხას ვაპროტესტებდი, რადგან ამ მხრივ განსხვავება სხვა დაწესებულებებსა და საჯარო რეესტრს შორის ძალიან დიდია. პროტესტზე ყოველთვის მპასუხობდნენ, რომ მათ თავისი კანონი აქვთ“, – ამბობს გივი მგელაძე. იმას, რომ საჯარო რეესტრი საკუთარი კანონით მოქმედებს, მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიული პირების რეგისტრაციის სამსახურის უფროსი კობა ბახტურიძეც ადასტურებს. ის ამბობს, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ და „მენარმეთა შესახებ“ კანონები არ შეესაბამება ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს. შეუსაბამოა ისიც, რომ ერთ საჯარო დაწესებულებაში სამენარმეო რეესტრის ამონაწერი, რომელიც მაქსიმუმ 3 ფურცელი შეიძლება იყოს, 15 ლარი ღირს და სხვა საჯარო სამსახურებში საჯარო ინფორმაციის ერთი ფურცლის ფასი 5 თეთრია.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ იურისტი თამარ გურჩიანი განმარტავს, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო საჯარო სამართლის იურიდიული პირია – „სხვა

სახელმწიფო ორგანიზაციებისგან განსხვავებით, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს უფლება აქვთ მომსახურებაზე გადასახადი დაანე-სონ. ასეთი ტიპის ორგანიზაციებში არსებობს ცდუნება, რომ მომსახურებას არაადეკვატური ფასი დაადონ. ასე სახელმწიფო უკვე ფულს შოულობს იმ ინფორმაციის გაყიდვით, რომელიც მათ კანონმდებლობით ევალებათ, რომ გაცენ“.

კობა ბახტურიძე ვერ განმარტავს, თუ რატომ დაწესდა სამენარმეო რეესტრის ამონაწერზე 15 ლარი და არა 20 ან 10 ლარი. ბახტურიძე ამბობს, რომ ეს თანხა პარლამენტის ინიცირებულია და კითხვაზე, თუ როგორ ნაწილდება ინფორმაციაში გადახდილი ფული, პასუხი კანონის ინიციატორებმა უნდა გაცენ. სამუხაროდ, „ლიბერალის“ მცდელობის მიუხედავად, კანონის ინიციატორებთან დაკავშირება მასალაზე მუშაობის პერიოდში ვერ მოხერხდა.

თამარ გურჩიანის განცხადებით, ნებისმიერი სახის მოსაკრებელი ართულებს ინფორმაციის მიღებას და აფერხებს გამჭვირვალობის პროცესს. გურჩიანს საერთაშორისო ორგანიზაცია Article 19-ის მიერ შემუშავებული ინფორმაციის თავისუფლების და გამჭვირვალობის 10 სტანდარტი მოჰყავს, რომელთაგან, ერთ-ერთის მიხედვით, სახელმწიფოს მიერ საჯარო ინფორმაციაზე მოსაკრებლის დადგენა გამჭვირვალობისთვის ხელოვნურ ბარიერს ქმნის.

„როცა ინფორმაციას ასე ბლოკავ, ეს ნიშნავს, რომ ხელს უწყობს კორუფციას, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ხვალ პარლამენტარის მეგობარი დამფუძნებელი რომ გახდეს და ტენდერები მოიგოს, ჟურნალისტებს არ ექნებათ საშუალება, გადაამონ-მონ, რომ ტენდერს პარლამენტარის მეგობარი იგებს“, – ამბობს ნინო ზურიაშვილი.



WWW.LIBERALI.GE





მომხრე

გია მურულუა

24-ე საჯარო სკოლის დირექტორი

გამოცდების ახალი სისტემით შესაძლებელი გახდება ზოგადი განათლების ფუნქციისა და მაღალი მნიშვნელობის დაბრუნება. ზოგადი განათლება რომ უმაღლესი განათლების მიღების აუცილებელი წინაპირობა იყო, აქამდე ცხადდებოდა მხოლოდ თეორიულად, მაგრამ პრაქტიკულად სხვაგვარად გახლდათ. ჩვენთან მოსწავლის აქტიური ყოფნა სკოლაში შემოიფარგლებოდა იმით, რომ ის ემზადებოდა 4 საგანში, რადგან სკოლა განიხილებოდა როგორც უმაღლესი განათლების დანამატი. ამიტომ ხშირი იყო გაცდენები, უდისციპლინობა, ყალიბდებოდა საზოგადოების ინდიფერენტულობაც სკოლის მიმართ. ჩვენ ცნობიერებაში უნდა დაბრუნდეს იმის აღქმა, რომ სკოლა პროცესების ჩამოყალიბების და მისი ბედის განსაზღვრის უმნიშვნელოვანესი იარაღია.

საგამოცდო სისტემის შეცვლის გადამწყვეტილება ახალი გამოწვევა და სტიმულია სკოლებისთვის. სკოლის დირექტორებიცა და მასწავლებლებიც დაფიქრდებიან, როგორ გარდაქმნან სისტემა ოპერატიულად ისე, რომ ამ გამოწვევებს უპასუხონ. მაგრამ პარალელურად, საჭიროა, ადმინისტრაციის უფლებებიც გაიზარდოს. დღეს მე, როგორც დირექტორი, მასწავლებლებს ვერ ვაფასებ, ეს კანონით არ არის განსაზღვრული. არადა, მათი შეფასება უნდა შემეძლოს. ყველაზე კარგად ვიცი, ჩემი მასწავლებლები ვინ არიან და თუ სახელმწიფო ამ შეფასებაში არ მენდობა, აბა, რაში მენდობა? ანუ ძალიან მნიშვნელოვანია საკადრო პოლიტიკის პრინციპულობაც. კარგი განათლება დაკავშირებულია კარგ მასწავლებელთან. იმის გამო, რომ არ კონტროლდებოდა მოსწავლეების სასკოლო შედეგები, შესაბამისად არ კონტროლდებოდა მასწავლებლების პროფესიონალიზმიც. ბოლო კვლევები კი ადასტურებს, რომ ჩვენი პედაგოგების მომზადების ხარისხი ევროპაში უკანასკნელ ადგილზეა. ახალი სისტემის შემოღება კი აჩვენებს, ვინ ვინ არის.

ახალი სისტემის შემოღებით მშობლებიც გააქტიურდებიან. არავინ შეურიგდება იმას, რომ მათ შვილებს სუსტი პედაგოგები ჰყავდეს. 10 საგანში შვილის მომზადებას ვერავინ მოახერხებს, სამაგიეროდ, სკოლას მოსთხოვენ მაქსიმუმს. სკოლა უკეთ შეასრულებს თავის ფუნქციას, რადგან ზოგადი განათლება მოსწავლის სწორედ სისტემურ მომზადებას ნიშნავს. აღარ იარსებებს მეორეხარისხოვანი საგნები, რომელთა გაცდენაც ბოლო დროს მიღებული ნორმა იყო.

გამოწვევა უნდა მიიღოს, თავის მხრივ, სახელმწიფომაც. დარწმუნებული ვარ, გამოცდების პირველი შედეგები არ იქნება კარგი, ამან კი, წესით, სახელმწიფოს განათლების სისტემის დაფინანსების გაზრდისკენ უნდა უბიძგოს. იმედი მაქვს, რომ სახელმწიფო დაფიქრდება ხარისხიანი განათლების მეტ ანაზღაურებაზე. მნიშვნელოვანია მასწავლებლების სერტიფიცირება. იმ პედაგოგებმა, რომლებიც მაღალ შედეგებს აჩვენებენ, უნდა მიიღონ შესაბამისი ანაზღაურება. სახელმწიფო უნდა დაფიქრდეს იმაზეც, რომ შეცვალოს და დახვეწოს სტანდარტები და პროგრამები. სტანდარტი სავალდებულო მინიმუმია, ჩვენ შემთხვევა-



აბაღლებს თუ არა სისტემა განათ...

ში კი, ეს საოცნებო მაქსიმუმია. ახლა რომ მოეთხოვოთ მოსწავლეებს იმ სტანდარტების მიხედვით გამოცდების ჩაბარება, რაც გვაქვს, სახარბიელო შედეგს ვერ მივიღებთ. სტანდარტები უნდა გამარტივდეს, თუმცა არ უნდა გახდეს პრიმიტიული.

ახალ ინიციატივაში ვხედავ რისკებსაც, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია. როგორც აცხადებენ, თავდაპირველად მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ძალიან დაბალი იქნება. ამ ინიციატივას არ ვემხრობი. ეს ერთგვარი დათმობაა და იმედი მაქვს, რომ ეს დათმობა არ იქნება ძალიან დიდი, რათა სისტემის დისკრედიტაცია არ გამოიწვიოს. ვფიქრობ, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი უნდა იყოს გონივრულად დაბალი და ისეთი, რომელსაც ყველა ვერ გადალახავს. ყველა ბავშვი, ვინც შედის სკოლაში, არ უნდა ამთავრებდეს სკოლას. კონსტიტუციურად, მხოლოდ 9 კლასის დამთავრებაა სავალდებულო.

საერთო ჯამში, ამ სისტემის ამოქმედების ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი პედაგოგთა მოტივაციაა. თუ მაღალ კომპეტენციას და კვალიფიკაციას მოსთხოვ პედაგოგს, მაღალი ანაზღაურებაც უნდა შესთავაზო მას. ეს იქნება გამოცდა გამოცდების ეროვნული ცენტრისთვისაც, რომელსაც ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს. ამ პროექტის ყველაზე მნიშვნელოვანი და საბოლოო მიზანი კი ალბათ ის არის, რომ უნდა ამაღლდეს კონკურენცია მოსწავლეებს შორის უკეთესი განათლების მისაღებად. **■**



ორი აზრი / თეონი სახელმწიფო / ფოტო: ნაზარაძე

ახალი საბამოსლო ლების ხარისხს?



**მონინალმდეგე
სიმონ ჯანაშია**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ამ ცვლილების შედეგები მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად მოხდება ამასთან დაკავშირებული რისკების გააზრება და მართვა. კონკრეტული პირობების გათვალისწინების გარეშე, სავარაუდოა, რომ ამ ინიციატივამ საქართველოში საზოგადოებისთვის სკოლა მართლაც უფრო მნიშვნელოვანი გახადოს, მაგრამ ძირითადად სისტემის ნეგატიურად განვითარება გამოიწვიოს. ერთ-ერთი პროგნოზირებადი ნეგატიური შედეგია განათლებულების რაოდენობის შემცირება.

საერთაშორისო გამოცდილებით, როდესაც გამოსაშვებ გამოცდებზე წარმატების მიღწევა რთულია, მატულობს სკოლების ადრეული მიტოვების შემთხვევები ე.წ. რისკის ჯგუფის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების, უმცირესობებისა და სოციალურად დაუცველების ფენებში. ამას ფსიქოლოგიური და სოციალური მიზეზები აქვს. შესწავლილია, რომ მოსწავლეები მნიშვნელოვნად კარგავენ სწავლის მოტივაციას, თუ ისინი საკუთარი სკოლის წარუმატებლობას განიცდიან (მაგ. ნაკლები იღებს ატესტატს). მშობლებისთვის თითო წელი განათლებაში ფინანსურ ინვესტიციას (სახელმძღვანელოები, ტრანსპორტი, ტანსაცმელი) ნიშნავს, ხოლო არასასურველი შედეგის მიღების რისკი გამოცდების შემოღებისთანავე იზრდება. საქართველოში ხშირად გამოითქმება მცდარი მოსაზრება, რომ სრული საშუალო განათლების საყოველთაო საზოგადოების მიზანი არ უნდა იყოს. საინალმდეგოზე

მეტყველებს შემდეგი მონაცემები: მაგ. ამერიკაში პატიმრების მიწოდებულ 2/3-ს არასრული საშუალო განათლების ადამიანები შეადგენენ. საქართველოს მონაცემები არ მაქვს, მაგრამ სავარაუდოდ სურათი მსგავსია. დავითვალოთ ხარჯები. საქართველოში ერთი პატიმარი წელიწადში საზოგადოებას სახელმწიფო ბიუჯეტში საშუალოდ 6000 ლარი უჯდება (18000-მდე პატიმარია, ხოლო სასჯელალსრულების დეპარტამენტის ბიუჯეტი – 111 მილიონი ლარი). შედარებისთვის, სკოლის მოსწავლეზე წელიწადში საშუალოდ 600 ლარი იხარჯება. ლოგიკური იქნებოდა თავიდან აგვეცილებინა ის სისტემა, რომელიც ციხეების „მკვებავ“ რისკის ჯგუფს გაზრდიდა, ან გვეზრუნა ამ საფრთხის განეიტრალებაზე. გამოცდების სისტემის ისე შემოღება, როგორც ამაზე დღეს არის საუბარი, მასწავლებლებსა და სკოლის დირექციას დაინტერესებულს ხდის, რომ ე.წ. „პრობლემური“ მოსწავლეები სკოლის მიღმა დატოვონ. ცალკე შეგვიძლია, დავთვალოთ სკოლის მიტოვების ხარჯები ინდივიდუალურ დონეზე. დასავლეთში სკოლადამთავრებულების შემოსავლების 25-35%-ით უფრო მაღალია, ვიდრე მათი, ვინც სწავლა ადრე მიატოვა. აქაურ საშუალო ხელფასებს თუ ავიღებთ, წელიწადში ეს საშუალოდ 2000 ლარია. ასევე ცნობილია, რომ მეტი განათლება სახელმწიფოს ეკონომიკის მეტ ზრდას, მეტად გააზრებულ პოლიტიკურ არჩევანსა და მეტ სოციალურ სტაბილურობას უკავშირდება. მეტი განათლების მქონე ადამიანები უფრო ნაკლებად მანიპულირებადები არიან და უფრო მეტად არიან ორიენტირებულები საზოგადო სიკეთის შექმნაზე. საყოველთაო განათლება თანამედროვე ერის არსებობის ერთ-ერთი მთავარი საფუძველია. განათლების ხარისხი ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია განათლებულების რაოდენობა.

ორიენტირების შეცვლასთან ერთად, ხშირ შემთხვევაში, სავარაუდოა განათლების ხარისხის გაუარესებაც. მასწავლებლების პასუხისმგებლობები გაიზრდება, ხოლო წარმატების მთავარი საზომი გახდება მოსწავლეების შედეგები ტესტებზე. ტესტით კი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების უმცირესი ნაწილის შემოწმება შესაძლებელია. ეს შედეგის განწყობასა და მოქმედებაში ამცირებს ადამიანის წარმატებისთვის მნიშვნელოვანი კომუნიკაციური, სოციალური და შემოქმედებითი უნარების განვითარების და ღირებულებების ჩამოყალიბების მნიშვნელობას.

შემცირდება სისტემის ინოვაციური პოტენციალი, რადგან ე.წ. საავტორო სკოლების და ასევე მრავალი კერძო სკოლის წარმატების მთავარი ინდიკატორები დღეს მნიშვნელოვნად სცილდება მოსწავლეების მიერ ტესტებზე სწორი პასუხების ცოდნისა და გამოცდების რაოდენობას.

შემცირდება განათლების სისტემის ინკლუზიურობა. განათლების შედეგების ამაღლება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მთავარი მოსწავლის საჭიროებები, სწავლის პროგრესი და წარმომავლობა, და არა – ტესტით განსაზღვრული კოგნიტიური უნარები და ცოდნა.

ჩამოთვლილი და სხვა უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება თუ:

- პარალელურად არ დაინერგა სკოლების მხარდაჭერისა და ხარისხის კონტროლის კომპლექსური სისტემა. შედეგის შემოწმების სისტემა არასოდეს არ ანაცვლებს შედეგის გაუჯობების სისტემას და გაუმჯობესება შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც პასუხისმგებლობას დახმარებაც მოსდევს.
- გამოცდები არ იქნება იმდენად დახვეწილი, რომ გაითვალისწინოს შეფასების ფორმების, კომპეტენციებისა და სკოლების სტრუქტურული მრავალფეროვნება.
- მასწავლებლის და ზოგადად სკოლის მიერ დანერგულ შეფასებას კიდევ უფრო ნაკლები ფასი ექნება, ვიდრე დღეს. ■

ეპოქის დასასრული

უკრაინა ნარინჯისფერი რევოლუციის ეპოქას აცილებს. მასთან ერთად მთავრდება მაიდანის რომანტიზმისა და პოლიტიკური იდეალისტების ხანა. უკრაინელები მომავალი პრეზიდენტისგან პრაგმატულ და თამამ გადაწყვეტილებებს ითხოვენ.

ანასტასია ობრაზცოვა, კიევი

17 იანვრის ღამე პრეზიდენტობის ორმა კანდიდატმა ერთმანეთის მეზობლად გაათენა. კაცმა – „ინტერკონტინენტალის“ ხუთვარსკვლავიან სასტუმროში, ქალმა – „ჰაიატის“ საუკეთესო აპარტამენტებში. მანძილი სასტუმროებს შორის ხუთი წუთის სავალია ფეხით. მათი საარჩევნო ღამის სცენარებიც ძალიან ჰგავდა ერთმანეთს – როგორც კი საარჩევნო უბნები დაიხურა და ექვსი ეგზიტ-პოლის შედეგი ცნობილი გახდა, ვიქტორ იანუკოვიჩი და იულია ტიმოშენკო ჟურნალისტების წინაშე გამოჩნდნენ.

იანუკოვიჩის შტაბში გამარჯვებას ზეიმობდნენ. თანაგუნდელებისგან განსხვავებით, თავად ვიქტორ ფიოდოროვიჩი უფრო თავშეკავებულად იქცეოდა. შესაძლოა, ძველი გამოცდილების გათვალისწინებით, გამარჯვების წინასწარ აღნიშვნა ცუდად აქვს დაცდილი (შეგახსენებთ, 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს „რეგიონების პარტიის“ ლიდერმა სპეციალური ტელემიმართვა ჩაწერა, სადაც მადლობას უხდოდა უკრაინელ ხალხს იმისათვის, რომ იგი პრეზიდენტად აირჩიეს); ან კიდევ, შესაძლოა, ბოლომდე მინც არ არის დარწმუნებული, რომ საბოლოოდ გამარჯვდა. ასეა თუ ისე, მომავალი გეგმების შესახებ მწვავე კითხვებს იანუკოვიჩმა თავი აარიდა და ჟურნალისტებს მხოლოდ ის უთხრა, რომ გამარჯვების შემთხვევაში სიღარიბეს დაძლევეს, ქვეყანას გაამთლიანებს და საკუთარ ქმედებებზე ყოველთვის აგებს პასუხს.

„იულია ტიმოშენკოს ბლოკის“ ლიდერს მშვენივრად ესმოდა, რომ პირველ ტურში მეორე ადგილზე უკეთეს შედეგს ვერ მიაღწევდა. წინასწარჩევნო რეიტინგები მას სწორედ ამას უწინასწარმეტყველებდ-

ნენ. ეს ცუდი არ არის. ცუდია ის, რომ სხვაობა პირველ და მეორე ადგილებზე გასულ კანდიდატებს შორის 10 პროცენტია. ეს კრიტიკული ციფრია ქალბატონი ტიმოშენკოსთვის და ეს თავადაც კარგად იცის. სწორედ ამიტომაც, არჩევნების შემდგომი ღამე იმის მტკიცებაში გაატარა, გარდა იმ ერთისა, სადაც მასა და იანუკოვიჩს შორის სხვაობა 4 პროცენტზე ოდნავ მეტია. სამწუხაროდ სწორედ ეს ეგზიტ-პოლი აღმოჩნდა მცდარი. ახლა იულია ვლადიმეროვნამ კამპანია ფაქტობრივად თავიდან უნდა დაიწყოს.

ალექსანდრ ტურჩინოვი – უკრაინის პირველი ვიცე-პრემიერი და ტიმოშენკოს მარჯვენა ხელი დარწმუნებულია, რომ „ტიმოშენკოს ბლოკის“ ლიდერი ამ ათ პროცენტს უპრობლემოდ დაძლევეს. „დარწმუნებული ვარ, რომ იანუკოვიჩის ხელი არასოდეს შეეხება პერესოშინსკის ევანგელეს! (ევანგელე, რომელზეც ფიცს დებს უკრაინის პრეზიდენტი)“, – განუცხადა ჟურნალისტებს იულია ვლადიმეროვნამ. სოციოლოგები და პოლიტოლოგები ნაკლებად ოპტიმისტურები არიან.

„ვერ ვხედავ იდეას, რომელიც დაეხმარება ტიმოშენკოს რეიტინგის გაზრდაში. ასეთი იდეა არ არსებობს“, – ამბობს კომპანია Ukraine Sociology Service-ის დირექტორი ალექსანდრ ვიშნიაკი. „განსხვავებით 2007 წლისგან, როცა ტიმოშენკოს რეიტინგი ყოველ მეორე კვირას იზრდებოდა, 2009-ში მსგავსი არაფერი ყოფილა“, – ამბობს იგი. ვიშნიაკი მიიჩნევს, რომ ლიდერებს შორის შვიდპროცენტია სხვაობაც კი კრიტიკულია, რომ არაფერი ვთქვათ ათპროცენტთანზე. შეიძლება თუ არა სურათი შეიცვალოს იმ ამომრჩეველთა ხარჯზე, რომელთაც პირველ ტურში



საკუთარი ხმები სერგეი ტიგიპკოს, არსენი იაცენიუკს და ვიქტორ იუშენკოს მისცეს? სოციოლოგი ვიშნიაკი დარწმუნებულია, რომ ეს ამომრჩეველი სურათს ვერ შეცვლის, რადგან მათი დიდი ნაწილი იანუკოვიჩს „ნაკლებ ბოროტებად“ მიიჩნევს და, აქედან გამომდინარე, ტიმოშენკოს ხმას არ მისცემს. „სავარაუდოდ, მეორე ტურში კანდიდატებს შორის სხვაობა იანუკოვიჩის სასარგებლოდ კიდევ უფრო დიდი იქნება“, – ვარაუდობს ალექსანდრ ვიშნიაკი.

ფონდ „დემოკრატიული ინიციატივის“ დირექტორი ირინა ბეკეშკინა მიიჩნევს, რომ კანდიდატებს შორის სხვაობის მინიმუმამდე დაყვანა სასვებით შესაძლებელია. „ტიგიპკომ, იაცენიუკმა, იუშენკომ, გრიცენკომ და ტიაგნიბოკმა ერთად დაახლოებით 30 პროცენტი დააგროვეს! ეს



■ იუშენკო და მისი ოჯახი საარჩევნო უბანზე, 17 იანვარი 2010

ციფრი დაახლოებით ორად გაიყოფა. ტიგიბკოს ელექტორატისთვის იანუკოვიჩი უფრო მისაღებია. იაცენიუკის, იუშენკოს, გრიცენკოს და ტიაგნიბოკის ამომრჩეველი კი უფრო ტიმოშენკოს სასარგებლოდ გააკეთებს არჩევანს. ასე რომ, „იულია ტიმოშენკოს ბლოკის“ ლიდერს მაინც აქვს შანსები, თუმცა ძალიან ბუნდოვანი“, – ამბობს ირინა ბეკეშკინა. „მეორე მხრივ, ყველას უნდა ესმოდეს, რომ ამომრჩეველთა ხმები ჩემოდანი არ არის, რომელიც შეიძლება აიღო და სხვას გადასცე“, – დასძენს იგი. მისი აზრით, იანუკოვიჩის დასამარცხებლად ტიმოშენკოს დიდი ბრძოლა ელის. 7 თებერვლამდე, არჩევნების მეორე ტურამდე მან რამდენიმე რთულ ამოცანას უნდა გაართვას თავი. პირველ რიგში ქვეყნის დასავლეთ და ცენტრალურ რაიონებში ამომრჩეველთა მაღალი

აქტივობა უნდა უზრუნველყოს, და მეორე – იაცენიუკის, იუშენკოს, გრიცენკოს და ტიაგნიბოკის ამომრჩეველისთვის მომხიბლავ კანდიდატად უნდა იქცეს. ყველაზე საუკეთესო ვარიანტი კი ტიმოშენკოსთვის ის იქნება, თუ იგი შეძლებს დაარწმუნოს ტიგიბკო, რომ მეორე ტურში მხარი მას დაუჭიროს.

ტიმოშენკოს შტაბში ამბობენ, რომ იულია ვლადიმოროვნა მზადაა, ყოფილ ბანკირთან თანამშრომლობის ნებისმიერი ვარიანტი განიხილოს. მაგალითად, შესთავაზოს მას პრემიერ-მინისტრის პოსტი. მან მანამდეც არაერთხელ დაჰატიყა ტიგიბკო და იაცენიუკი თავის გუნდში. „მე კარგად მესმის მათი, ვინც ხმა მისცა ტიგიბკოს და იაცენიუკს – მათ უნდათ ცვლილებები. და მე უზრუნველყოფ ამ ცვლილებებს. მე კარგად მესმის მათი,

ვინც ხმა მისცა იუშენკოს – მათ სურთ, რომ უკრაინა შედგეს როგორც ევროპული ქვეყანა. და მე უზრუნველყოფ ამ გზას!“

თუმცა, ჯერჯერობით არც ტიგიბკოს, არც იაცენიუკს და არც იუშენკოს არ გაუკეთებიათ განცხადებები იმის თაობაზე, რომ მეორე ტურში ვინმეს მიემხრობიან. მიზეზი ის არის, რომ თითოეულ ამ კანდიდატს სურს, უკრაინის პოლიტიკურ ორბიტაზე მომავალშიც დარჩეს; დარჩეს როგორც დამოუკიდებელი, ძლიერი მოთამაშე და არა როგორც მეფის ვასალი.

ამ არჩევნებზე იუშენკოს კრახი ცალკე განხილვის თემაა. არ აქვს მნიშვნელობა, ვინ გახდება პრეზიდენტი – იანუკოვიჩი თუ ტიმოშენკო – 17 იანვარს უკრაინაში „ნარინჯისფერი“ ხუთნაირი დასრულდა. ხუთი წლის წინ „იულია ტიმოშენკოს

ბლოკის“ ლიდერი ვიქტორ იუშჩენკოს მარჯვენა ხელი იყო, თუმცა დღეს ისინი მთავარი ოპონენტები და დაუძინებელი მტრები არიან. დღეს უკრაინის პრეზიდენტი ლიად აცხადებს, რომ იანუკოვიჩი კი არა, ტიმოშენკოა ნამდვილი ბოროტება: „თუ ჩვენ ზერელედ მივუდგებით არჩევნებს, მაშინ კრიმინალებს მოვიყვანთ ხელისუფლებაში. კორუფციის მასშტაბებით იანუკოვიჩი ტიმოშენკოს ვერც შეედრება“. ჟურნალისტების კითხვაზე, თუ რატომ იდგა იგი 2005 წელს კრიმინალთან ერთად, იუშჩენკო პასუხობს, რომ ცხოვრებაში ერთი შეცდომის უფლება ყველას აქვს. უკრინელებს მსგავსი განცხადებებით ვერ გააკვირვებ. კონფლიქტი მაიდანის თანამებრძოლებს შორის დიდი ხნის წინ დაიწყო და ძალიან შორს წავიდა.

2005 წელს უმაღლესი რადას მიერ პრემიერ-მინისტრად ტიმოშენკოს დანიშნვიდან შვიდ თვეში იუშჩენკომ იგი ამ თანამდებობიდან გაათავისუფლა. მაგრამ ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როცა იუშჩენკომ ტიმოშენკოს უღალატა. მათი რთული ურთიერთობების ისტორია 2001 წელს იწყება. მაშინ პრემიერ-მინისტრმა იუშჩენკომ არაფერი გააკეთა საკუთარი ვიცე-პრემიერის – ტიმოშენკოს დასაცავად, რომელიც თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ამ გათავისუფლების შემდეგ ტიმოშენკო დააპატიმრეს. თუმცა, საგამოძიებო იზოლაციის „ლედო IO“-ს დიდი პოლიტიკის გზაზე მხოლოდ დაეხმარა. იგი ძლიერი ოპოზიციური მოძრაობის ლიდერი გახდა და სათავეში ჩაუდგა მოძრაობას „უკრაინა კუჩმას გარეშე“. ამ დროს იუშჩენკომ მას მეორედ უღალატა – კუჩმასთან ერთად ხელი მოაწერა ერთობლივ განცხადებას, სადაც ოპოზიციონერები გათანაბრებული იყვნენ... ფაშისტებთან. თუმცა, ძალიან მალე იუშჩენკო თავად შეუერთდება ამ „ფაშისტებს“ და წლების შემდეგ სწორედ ეს „ფაშისტები“ უზრუნველყოფენ მის გამარჯვებას მაიდანზე.

დღეს პრეზიდენტი ამბობს, რომ 2005-ის იანვარში ტიმოშენკომ მაიდანზე წინასწარ დარიგებული ხალხი შეყარა, რომლებიც სკანდირებდნენ „იულია-პრემიერი“. ანუ, რომ არა ისინი, ტიმოშენკო პრემიერი არ გახდებოდა. სინამდვილეში, იუშჩენკო თვალთმაქცობს. ცხადია, მას იმ დროსაც კარგად ესმოდა, რომ მისი თანამებრძოლი საკმაოდ დამოუკიდებელია და მორჩილი, ადვილად მართვადი პრემიერი ვერ იქნებოდა. თუმცა, ამ თანამდებობაზე სხვა ვინმეს დანიშვნა კიდევ უფრო საშიში იყო: მაიდანს ამას ლალატად ჩაუ-



ფოტო: სპეტი სპაჩოვსკა

იულია ტიმოშენკო, იანვარი 2010

და მაინც, რევოლუცია არ იყო ამაო. უკრაინელებმა დაამტკიცეს, რომ შეუძლიათ საკუთარი ინტერესებისა და პრინციპების დაცვა. და თუ მათი ლიდერი მათ მიზნებს ლალატობს, პასუხი ძალიან მკაცრი და ადეკვატური იქნება.

თვლიდა. ამიტომ, რადიკალურ ნაბიჯზე პრეზიდენტი მოგვიანებით წავიდა. 2005 წლის შემოდგომაზე დიდი კორუფციული სკანდალი აგორდა, რომელშიც გარეული აღმოჩნდა სახელმწიფოს მეთაურის უახლოესი გარემოცვა. თანაც, ბრალდებები არა „რეგიონების პარტიის“ შტაბიდან, არამედ ალექსანდრ ზინჩენკოს მხრიდან წამოვიდა. ზინჩენკო მაშინ პრეზიდენტის სამდივნოს ხელმძღვანელობდა. ამ სკანდალს არა მხოლოდ იუშჩენკოს უახლოესი გარემოცვის, არამედ ტიმოშენკოს მთავრობის გადაადგომაც მოჰყვა. ახალი პრემიერი იური ეხანუროვი გახდა, იუშჩენკოს უახლოესი გარემოცვის წევრი, რომელსაც ამ სკანდალთან კავშირი არ ჰქონია. ეს გადაწყვეტილება პასუხობდა „სახალხო პრეზიდენტის“ პროგრამას, რომელიც ხალხს კორუფციის დამარცხებას დაჰპირდა. და

სავარაუდოდ, დღეს იუშჩენკოს დამსახურებათა ნუსხაშიც კი ჩაენერებოდა, რომ არა მოვლენები, რომლებიც შემდეგ განვითარდა.

2006 წელს უკრაინაში საპარლამენტო არჩევნები გაიმართა. ეხანუროვის მთავრობამ ახალი რადას წინაშე საკუთარი უფლებამოსილება მოიხსნა. ახალ პარლამენტში სადეპუტატო მანდატების დიდი ნაწილი „რეგიონების პარტიას“ ერგო, მეორე ადგილზე კი, პროგნოზების მიუხედავად, არა იუშჩენკოს „ნაშა უკრაინა“, არამედ „იულია ტიმოშენკოს ბლოკი“ გავიდა. ტიმოშენკოსა და იუშჩენკოს პარტიებს შორის წინასწარ მიღწეული შეთანხმების მიხედვით, სწორედ „ტიმოშენკოს ბლოკს“ უნდა დაესახელებინა პრემიერის თანამდებობაზე საკუთარი კანდიდატურა. რომან ბესმერტინიმ, რომელიც მაშინ „ნაშა უკრაინას“ სათათბიროს ხელმძღვანელი იყო, საჯაროდ განაცხადა, რომ „ნაშა უკრაინა“ პრემიერ-მინისტრის პოსტზე ტიმოშენკოს დაუჭერდა მხარს. თუმცა, „ნაშა უკრაინას“ თავმჯდომარემ ვიქტორ იუშჩენკომ ჯერ მომავალი კოალიციის პროგრამის შემუშავება მოითხოვა და მხოლოდ შემდეგ – თანამდებობების განაწილება. როგორც შემდეგ გაირკვა, კოალიციის ფორმატის შესახებ მოლაპარაკებები თვალის ახვევა იყო. ამ ყველაფრის მიღმა, იუშჩენკო ვიქტორ იანუკოვიჩთან ვაჭრობდა. ორ ფრონტზე თამაში იმით დასრულდა, რომ „რეგიონების პარტიამ“



ვიქტორ იანუკოვიჩი, იანვარი 2010

ფოტო: სპეციალური საზღვარსაღმდეგო

„ნაშა უკრაინას“ გარეშე შექმნა კოალიცია და პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე საკუთარი კანდიდატურის დაყენების უფლება მოიპოვა (2006 წელს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების თანახმად, უკრაინა საპარლამენტო-საპრეზიდენტო რესპუბლიკა გახდა და პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის წამოყენების უფლება საპარლამენტო კოალიციას მიენიჭა).

უკრაინელები დღე და ღამე ტელევიზორებთან ისხდნენ და უყურებდნენ, როგორ მიმდინარეობდა მოლაპარაკებები. ისინი თანაუგრძობდნენ კუთხეში მიმწყვედვულ პრეზიდენტს და მისგან თამამ, გადაუმწყვეტ ნაბიჯებს ელოდნენ. ნუთუ იუშჩენკო პრემიერად „კრიმინალს“, „ფალსიფიკატორს“, „კრემლის ხელდასმულს“ დანიშნავს? მაიდანის იდეალები სადღაა? ვიქტორ იუშჩენკო დიდხანს ყოყმანობდა, მაგრამ ბოლოს დანებდა.

ორმა ვიქტორმა ხელი მოაწერა ეროვნული ერთიანობის უნივერსალს, რომლის შესრულებასაც იანუკოვიჩი არ ჩქარობდა. „ძალზე შეურაცხყოფილი ვარ. მეგონა, თუ ადამიანი ხელს მოაწერდა დოკუმენტს, ის აუცილებლად შეასრულებდა იმას, რაც იქ წერია. ასე ფიქრი დიდი შეცდომა იყო. თურმე, გულუბრყვილო ვიყავი“, – იტყვის მოგვიანებით იუშჩენკო. მაგრამ ხალხი, ვინც მაიდანზე იდგა, მისი მონანიების მიმართ უკვე გულგრილია. პრეზიდენტის რეიტინგის დაცემა შუუქცევად პროცესად იქცა, რომელსაც ვერც უმაღლესი რადას

დათხოვნამ და ვერც ვადამდელი არჩევნების დანიშნვამ ვერ უშველა.

იულია ტიმოშენკოს რეიტინგი კი, პირიქით, საფუარინი ცომივით იზრდებოდა. იგი თავისი ამომრჩევლების თვალში ინტრიგებისა და ლალატის მსხვერპლად იქცა. თუმცა, ტიმოშენკოს ბიოგრაფიაშიც არის „რეგიონების პარტიასთან“ ურთიერთობის ფაქტები: ტიმოშენკო ჯერ კიდევ „ნარინჯისფერი რევოლუციის“ დროს აწარმოებდა მოლაპარაკებებს „დონეცკელებთან“ და ამდენად გასაკვირი არ იყო, რომ 2005 წელს „რეგიონების პარტიის“ დეპუტატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ტიმოშენკოს კანდიდატურას პრემიერ-მინისტრის პოსტზე.

როცა ტიმოშენკოს გამოუჩნდა პერსპექტივა მეორედ გამხდარიყო უკრაინის პრემიერ-მინისტრი, იგი ისევ დაუმეგობრდა იუშჩენკოსა და მის „ნაშა უკრაინას“. ვადამდელი არჩევნების შემდეგ „ნარინჯისფერი კოალიციის“ შექმნა უმაღლეს რადაში ბოლოს და ბოლოს მოხერხდა და ტიმოშენკო მეორედ გახდა მთავრობის ხელმძღვანელი. ცხადია, მაიდანის მომხრეებს ტიმოშენკოს და იუშჩენკოს დაახლოება გაუხარდათ, მაგრამ გრძელვადიანი მეგობრობა პოლიტიკოსებს ისევ არ გამოუვიდათ. უკვე ორი წელია, რაც პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი კატათავივით იქცევიან – მუდმივად საქმეს ურჩევენ ერთმანეთს, ერთმანეთის მიმართ ბრალდებებსა და სალანძღავ სი-

ტყვეებს არ იშურებენ. ისინი ისე გაერთნენ სახელისუფლებო ოლიგოპოზე საკუთარი ადგილის დამკვიდრებისთვის ბრძოლაში, რომ ქვეყნის მართვისთვის დრო არც ერთს აღარ რჩებოდა. შედეგად კი, აბსოლუტურად ყველაფერი, რასაც მაიდანის გმირები ხალხს შეჰპირდნენ, ცარიელ დაპირებად დარჩა. და ეს არა მარტო მატერიალურ კეთილდღეობას, არამედ მუდმივ ღირებულებებსა და იდეალებსაც ეხება.

უკრაინელები ვერ გახდნენ ერთსულოვანი, ერთიანი ერი. მათ შორის წყალგამყოფი ისევ დნებრია. მექრთამეებს არ ეშინიათ არავისი და არაფრის, რადგან არც ერთი მსხვილი კორუფციონერი პასუხისგებაში მიცემული არ არის.

კუჩმისტები არა თუ დარჩნენ ხელისუფლებაში, არამედ მათ ორდენებიც კი მიიღეს „სამშობლოს წინაშე ღვანლისთვის“. სხვათა შორის, პრეზიდენტმა ამაზეც მოიხადა ბოდიში.

უკრაინა ვერ მივიდა უფრო ახლოს ნატო-სთან და ევროკავშირთან, არადა 2004 წელს წარმატების უზარმაზარი შანსი ჰქონდა.

უფრო მეტიც, ნახევარზე მეტი უკრაინელი იმედგაცრუებული დემოკრატით და მკაცრ მმართველზე ოცნებობს. ისინი დიდი სიამოვნებით მისცემდნენ ხმას ალექსანდრ ლუკაშენკოს ან ვლადიმირ პუტინს, ასეთი შესაძლებლობა რომ ჰქონდეთ.

და მაინც, რევოლუცია არ იყო ამაო. უკრაინელებმა დაამტკიცეს, რომ შეუძლიათ საკუთარი ინტერესებისა და პრინციპების დაცვა. და თუ მათი ლიდერი მათ მიზნებს ლალატობს, პასუხი ძალიან მკაცრი და ადეკვატური იქნება. სოციალოგები მეორე ტურშიც იანუკოვიჩს უწინასწარმეტყველებენ გამარჯვებას. მსხვილი ბიზნესი, უკრაინელი ოლიგარქებიც ფსონს „რეგიონების პარტიაზე“ დებენ. მოკლედ, შეიძლება უკვე ინაუგურაციისთვის მზადების დაწყებაც. და მიუხედავად ამისა, ვიქტორ იანუკოვიჩს ჭირის დღესავით ეშინია ახალი მაიდანის, რომელიც შეიძლება კიდევ ერთხელ შეიკრიბოს მის წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ, ყოველი შემთხვევისთვის, არჩევნების ღამეს იანუკოვიჩმა ლურჯი კარები დასცა ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობასთან და დედაქალაქის ყველა მოედანი ჩაკეტა.

მაგრამ, უკრაინელები მაიდანზე აღარ მივლენ. ისეთ მოვლენებს, როგორც მაიდანზე 2005 წელს ხდებოდა, თაობების შეცვლა სჭირდება. უფრო ხშირად ხალხი რევოლუციებისთვის მზად არ არის. ფასიანი „მაიდანები“ კი რეჟიმებს ვერ ცვლიან. ■

რევოლუციით გაცრუებული იმედები

ინტერვიუ კიევის გორშენინის სახელობის მართვის ინსტიტუტის დირექტორთან
კოსტ ბონდარენკოსთან



პოსტრევოლუციურმა ხელისუფლებამ უკრაინაში ვერ შეძლო დაპირებების შესრულება – ვიქტორ იუშჩენკო რეფორმების ნაცვლად შიდა სახელისუფლებო ომში ჩაერთო.

ეთანხმებით თუ არა იმ აზრს, რომ ნარინჯისფერმა რევოლუციამ ვერ გაამართლა იმედები, ვერც უკრაინაში და ვერც ქვეყნის გარეთ?

დიახ, უკრაინელები ბევრ საკითხში განზილბულები დარჩნენ, და ის, რომ ნარინჯისფერი რევოლუციის სიმბოლოს, ვიქტორ იუშჩენკოს რეიტინგი დღეს 4-დან 5 პროცენტამდე მერყეობს, იმის დადასტურებაა, რომ ადამიანებს იმედები გაუცრუვდათ. მაიდანმა უკრაინელებს გადაჭარბებული მოლოდინი გაუჩინა, რომ ხელისუფლების დამხობის შემდეგ მოვიდოდა ახალი ძალა – ძველი კომპლექსებისგან თავისუფალი პოლიტიკოსები, რომლებმაც ოპოზიციონერობა გაიარეს, და უფრო მორალურები არიან, ვიდრე კუჩმა; სულით ევროპელები, რომლებსაც საკუთარი სიტყვის შესრულება ძალუძთ; რეფორმატორები, რომლებიც ხორცს შეასხამენ სამართლიანობის პრინციპებს. იყო მოლოდინი, რომ ქვეყანაში ღარიბი მოსახლეობის რაოდენობა შემცირდებოდა და საშუალო ფენა გაიზრდებოდა. არსებობდა იმედი, რომ დაიძლეოდა კორუფცია.

სინამდვილეში კი ქვეყანა კიდევ უფრო კორუმპირებული გახდა, ვიდრე მანამდე; გაჩნდა ახალი პრივილეგირებული ფენა და ახალი მმართველობის პირველივე წელს დაიწყო ნეპოტიზმის გაფურჩქვნა. აღმოჩნდა, რომ ახალმა ხელისუფლებამ ბიზნესის გავლენის სფეროების განაწილება დაიწყო. ქვეყანაში აყვავდა „მანილოვშჩინა“ – იუშჩენკო ახალ რეფორმას იწყებდა და მალევე ივინყებდა მას. აღმოჩნდა, რომ ქვეყანა არ ჩქარობდა ევროპული განვითარების გზას დადგომოდა. ბოლოს ნარინჯისფერ ბანაკში განხეთქილება მოხდა; 2006 წლის ზაფხულში იუშჩენკოსა და იანუკოვიჩის კავშირმა კი ახალი სისტემის უვარგისობა ცხადყო.

ნარინჯისფერი რევოლუციის არსი, ისევე როგორც რუსეთის 1905 წლის, ან საფრანგეთის 1830 წლის რევოლუციების, ის იყო, რომ უკრაინის ბურჟუაზია


პირველად აღიქვა თავი პოლიტიკურ ძალად. მან პირველად გამოთქვა პრეტენზია ქვეყნის შეცვლაში მონაწილეობაზე. მაგრამ ბურჟუაზიას სატყუარად იუშჩენკო მისცეს, დანარჩენი სისტემა კი უცვლელი დარჩა. მთავარია, უკრაინამ გააცნობიეროს: ბურჟუაზიის გამარჯვების შემდეგ აუცილებელია, საკუთარ თავში ლენინისა და ნაპოლეონ მესამეს მსგავსი პოპულისტების ხელისუფლებაში მიყვანის სურვილი ჩაკლას.

უკრაინელ ამომრჩევებს დაუზრუნდეთ, რომელიც 2004-ში მაიდანზე იდგა – რამდენად იყო მათი მოტივაცია იუშჩენკოს და მისი გუნდის მხარდაჭერა და რამდენად იანუკოვიჩისა და არჩევნების გაყალბებისადმი პროტესტი?

მაიდანის – ეს იყო კოლექტიური არაცნობიერის ნაყოფი. იქ მდგომი ადამიანები გარდაქმნებს ითხოვდნენ. თუ მათ ჰკითხავდით: „რა არის თქვენი პროგრამა?“, ვერც ერთი ვერ ჩამოაყალიბებდა პასუხს – ვერც იუშჩენკო და ვერც ბაბა პარასკა. ყველას უნდოდა „უკეთესობა“. თითოეული მათგანისთვის იუშჩენკო გარკვეულ სიმბოლოს წარმოადგენდა, იანუკოვიჩი და ფალსიფიკაციები კი სერიოზული კატალიზატორი გახდა. ეს რომ არა, პროტესტი სამზარეულოებს არ გაცდებოდა.

როგორ მოხდა, რომ ოპოზიციური ბრძოლის ასეთი დიდი გამოცდილების მქონე გუნდი 2004 წლამდე უპროგრამოდ მივიდა? რა შედეგები ჰქონდა ამას ქვეყნისთვის, მას შემდეგ რაც ეს გუნდი ხელისუფლებაში მოვიდა?

ნებისმიერმა პოლიტიკურმა ძალამ არა მარტო უნდა მოიპოვოს ძალაუფლება, არამედ ის უნდა აქციოს უფრო მაღალი მიზნების ხორცშესხმის იარაღად. ჩვენს პოლიტიკოსებს კი, ვინც მაიდანისგან მოვიდა ხელისუფლებაში, არ გააჩნდათ პროგრამა მაქსიმუმ. ვერ ხვდებოდნენ, რისთვის სჭირდებოდათ ეს ძალაუფლება. ამ გუნდის პროგრამა პირადი ინტერესების განხორციელება გახდა.



ფოტო სანაბნი საბოლანო

■ მაიდანის – ეს იყო კოლექტიური არაცნობიერის ნაყოფი. იქ მდგომი ადამიანები გარდაქმნებს ითხოვდნენ. თუ მათ ჰკითხავდით: „რა არის თქვენი პროგრამა?“, ვერც ერთი ვერ ჩამოაყალიბებდა პასუხს – ვერც იუშჩენკო.

უკრაინამ იმედი დაკარგა. ახლა, სულ ცოტა, ათი წელია საჭირო, რომ ადამიანებმა ისევ იმედით ცხოვრება ისწავლონ. დღეს ხალხს მხოლოდ საკუთარი თავის სჯერა და არა პოლიტიკოსების. სახელისუფლებო ინსტიტუტებმა კვლავ დაკარგეს ავტორიტეტი. დღეს არ არსე-

ბობს არც ერთი პოლიტიკოსი, რომლის ნდობის რეიტინგი მისივე უნდობლობის რეიტინგს აჭარბებდეს. მოსახლეობის 70 პროცენტზე მეტი დარწმუნებულია, რომ ქვეყანაში ყველა სახელისუფლებო ორგანო ტოტალურად კორუმპირებულია. ჩვენი კვლევებით, მოქალაქეთა 72 პროცენტი, რომელიც საარჩევნო უბნებზე მივიდა, სრულიად დარწმუნებულია, რომ არჩევნები გაყალბდება. არჩევნებსაც კი არ ენდობიან.

შეაღწევს. ამ სისტემაგამოვიღო პოლიტიკოსებს სხვანაირად აზროვნება არ შეუძლიათ. ამ სისტემის მიგნადან განადგურება პრაქტიკულად შეუძლებელია, ის ან სრულიად უნდა მოვიცილოთ, ან ლათინოამერიკანიზაციის პირობებში ცხოვრებისთვის ვიქნებით განწირულები.

უკრაინა უნიკალურია იმიტაც, რომ ბოლო ხუთი წლის მანძილზე აქ ქვეყნისა და სახელმწიფოს გამიჯვნა

ერთმმართველობა დაემყარებინა; თანაც საქართველოს კონსტიტუცია ორხელისუფლებიანობის პირობებს არ ქმნის. უკრაინის 2004 წლის რევოლუციას თან ახლდა საკონსტიტუციო ცვლილებები, რამაც ორხელისუფლებიანობა უზრუნველყო. კორუფციული ვერტიკალი და ძალაუფლების მექანიზმები თითქმის თანაბრად გაიყო – პრეზიდენტსა და პრემიერს შორის. რევოლუციური ძალები ერთმანეთს ბიუჯეტზე, ძალოვანებსა და სხვა სფეროებზე ზეგავლენის გამო ნაკეიდნენ.

პოსტრევოლუციური პროცესები უკრაინასა და საქართველოში პროგრესად მიგაჩნიათ თუ ერთი ადგილის ტკეპნად?

სუსტი მმართველი და დიქტატორი – ეს მახინჯი მოვლენებია, რომელიც ყველა ქვეყანამ უნდა გაიაროს. საფრანგეთმა რობესპიერის დიქტატურა გადაიტანა, უკრაინას და საქართველოს იუშჩენკოსა და სააკაშვილზე გავლით მოუწევთ სიარული.

თქვენ პროგნოზით, როგორ განვითარდება სიტუაცია უკრაინაში? ქვეყანა პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნების მიმართულებით წავა?

თუკი პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი გახდება – ეს ომის გაგრძელებას ნიშნავს, რადგანაც ტიმოშენკო, ნახევარი წლით მაინც, პრემიერ-მინისტრად რჩება. ეს იქნება ომი სახელისუფლებო განშტოებებს შორის; ნახევარი წლის შემდეგ კი პარლამენტის ვადამდელი არჩევნებია. თუ პრეზიდენტად ტიმოშენკო მოვა – ეს იქნება მთელი ძალაუფლების ერთ მუშტში მოქცევის მცდელობა. ამას, სავარაუდოდ, წინ აღუდგება საზოგადოების ნაწილი. პირველ და მეორე ვარიანტსაც კონფლიქტამდე და ახალ რისკებამდე მივყავართ.

ახალი რევოლუცია?

არა, არა. ახალი რევოლუცია ჩვენთან უახლოესი 5-7 წლის განმავლობაში შეუძლებელია, იმიტომ რომ არსებობს გარკვეული ისტორიული რიტმი, რომლის დროსაც ადამიანებმა საკუთარი რევოლუციური პოტენციალი უნდა დააგროვონ. ეს პერიოდი არანაკლებ 10 წელიწადს გასტანს. დაახლოებით ასეთი ვარიანტი ელის უკრაინას, შესაძლოა – საქართველოსაც. **■**

ესაუბრა ჟურნალისტი ოლგა რეკა, სპეციალურად „ლობერალისთვის“, კიევი, უკრაინა



■ ნარინჯისფერი რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, კიევი, ნოემბერი 2004

რევოლუციური მმართველობის დამყარების შემდეგ, რატომ არ ჩაერთა მართვაში უკრაინის მოსახლეობა? რა არის ეს – სამოქალაქო საზოგადოების მოუშინებლობა, ხელისუფლების არადემოკრატიულობა თუ ტოტალური უნდობლობა, რაზეც თქვენ საუბრობთ?

ეს ქვეყნის პოლიტიკური სისტემის თავისებურებები გახლავთ. სისტემამ, რომელიც შერბიციის დროს აშენდა, ისე უცვლელად გამოიარა კრავჩუკის, კუჩმას და იუშჩენკოს პერიოდები, რომ მხოლოდ საკუთარ ცინიზმს ხვეწავდა. ის ეფუძნება ალბ-მიცემობას, კორუმპირებულობას და იმას, რომ კორუფციის დონე იერარქიულ კიბზე აღმასვლასთან ერთად მატულობს. სისტემა დახშულია, შესასვლელში მკაფიო იდენტიფიკატორით – „ჩვენიაანი-უცხო“, და იქ პოტენციური დისიდენტი ვერასდროს

მოხდა. ისინი ახლა ორ სხვადასხვა სიბრტყეზე თანაარსებობენ; სახელმწიფო – როგორც სახელისუფლებო ინსტიტუტების სისტემა, ქვეყანა – როგორც საზოგადოებრივი, პირადი და სხვა ურთიერთობებისა და ინიციატივების სისტემა. ქვეყანა ძალიან დინამიკურად ვითარდება, აი, სახელმწიფოს კი ლპობა შეეპარა. დღეს სახელმწიფო მთავარი მტერია, რომლის წინააღმდეგ გაერთიანდა უკრაინის აღმოსავლეთი, დასავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი.

თქვენი აზრით, უკრაინისგან განსხვავებით, როგორ მოახერხეს ხელისუფლებაში დარჩენა მათ, ვინც საქართველოში ვარდების რევოლუცია მოახდინა?

მიხეილ სააკაშვილმა რევოლუციის შემდეგ პირველ წლებში მოახერხა

რეპოლუსიკა – პროგრესი ლოპიკური დასასრულის გარეშე

ინტერვიუ „კიევი-მოგილიანსკის აკადემიის“ ნაციონალური უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის კათედრის პროფესორთან ალექსეი გარანთან



უკრაინამ დაკარგა შანსი, დასდგომოდა დასავლელი მეზობლების გზას, დაენყო რეფორმები და ევროპას მიახლოებოდა. ახლა წინ დროში განვლილი ევოლუციური პროცესი გველის.

ეთანხმებით თუ არა იმ აზრს, რომ ნარინჯისფერმა რევოლუციამ არ გაამართლა იმედები, რომელსაც მასზე ამყარებდნენ – არც უკრაინაში და არც ქვეყნის გარეთ?

ნარინჯისფერი რევოლუცია დაუსრულებელი რევოლუცია აღმოჩნდა. მართალია, მან მოიტანა გარკვეული თავისუფლება, დემოკრატიული არჩევნები, პლურალიზმი მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში, თუმცა რადიკალური სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები არ გატარდა. ამიტომაც, შეიძლება ითქვას, რომ არც უკრაინის მოსახლეობისა და არც ქვეყნის უცხოელი პარტნიორების იმედები არ გამართლდა. ეს, პირველ რიგში, ჩვენივე შინაგანი დაბრკოლებების ბრალია, მაგრამ ასევე – დასავლეთის არაშორსმჭვრეტელობის. მაშინ, 2005 წლის დასაწყისში ევროკავშირს უკრაინისთვის ძალიან მკაფიო სიგნალი უნდა გამოეგზავნა: თქვენ ევროპული ქვეყანა ხართ, თქვენთვის კარი ღიაა, მთელი ძალით ვეცდებით, რომ მოლაპარაკებების პროცესი დაიწყოს. მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

რამდენად გათვითცნობიერებული ჰქონდათ მათ, ვინც 2004-ში მაიდანზე იდგა საკუთარი პროტესტის მიზეზი?

უპირველეს ყოვლისა, ეს იყო პროტესტი კუჩმას არადემოკრატიული სისტემის წინააღმდეგ, შემდეგ – ფალსიფიკაციისა და იანუკოვიჩის, როგორც კუჩმას მემკვიდრეობის უარესი გამოვლინების – მისი კრიმინალური წარსულის წინააღმდეგ. და რადგანაც იუშჩენკო გარდაქმნების ცოცხალი გამოხატულება იყო და თან წესიერი ბრძოლით გაიმარჯვა, სწორედ ის გახდა ნარინჯისფერი რევოლუციის მედროშე. ამიტომაც სკანდირებდნენ ადამიანები, – „იუ-შჩენ-კო!“

ნარინჯისფერი რევოლუციის შედეგად ხელისუფლებაში მოსულ გუნდს ჰქონდა თუ არა ქვეყნის განვითარების სტრატეგია?

ტეგია? თუ ის მხოლოდ ძალაუფლების მიღების სტრატეგიას ფლობდა?

მკაფიო სტრატეგია არ არსებობდა – ნანილობრივ იმის გამო, რომ მათ მთელი რესურსი გამარჯვებასა და ფალსიფიკაციასთან ბრძოლას დაახარჯეს. ეს არ იყო ადვილი და დიდ ძალისხმევას მოითხოვდა; თანაც გუნდიც საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. ის, რომ ქვეყნის რეფორმირების პროგრამა არ შეიმუშავეს, პირველ რიგში იმის ბრალია, რომ გარდაქმნისთვის დრო ძალიან ცოტა

მოსდევდა, შედეგად კი არავინ ამახვილებდა ყურადღებას იმ სტრატეგიულ საკითხებზე, რომლებიც არაპოპულარული გადაწყვეტილებების მიღებას მოითხოვდა. ყველა პოლიტიკური ძალა მეტ-ნაკლებად პოპულიზმით იყო დაკავებული.

მეორეც, იუშჩენკომ ვერ მოახერხა ეფექტური გუნდის შექმნა. ამის ნათელი მაგალითია ანატოლი გრიცენკოს მოხსნა – როდესაც მართლაც წესიერადამიანს ძალიან უხეშად და არაკო-



იყო. ფაქტობრივად, საკონსტიტუციო რეფორმის გამო, 2006 წლის საპარლამენტო არჩევნები საპრეზიდენტო არჩევნების ერთგვარ, მე-4 სერიად იქცა. ბუნებრივია, არჩევნებამდე ერთი წლით ადრე რეფორმებს არავინ ატარებს, მით უმეტეს, რომ ხშირად ეს რეფორმები არაპოპულარულია ხოლმე. სწორედ ამიტომ გახდა უკრაინული პოლიტიკა პოპულისტური და თავად დემოკრატიები იქცნენ ამ ელექტორალური პროცესის მძევლებად. ერთ არჩევნებს მეორე

სამოქალაქო საზოგადოება 2005-2006 წლებში აკრიტიკებდა იმას, რასაც იუშჩენკო და მისი გუნდი აკეთებდნენ. ჩვენ სიტყვის თავისუფლებით ვტკბებოდით, ეს კი წყალს იმ ოპოზიციის წისქვილზე ასხამდა, რომელიც წინა რეჟიმს წარმოადგენდა.

რექტულად დაატოვებინეს თავდაცვის მინისტრის პოსტი. იუშჩენკოს მიერ დასახული ყველა მიზანი, პრინციპში, სწორია – ევროინტეგრაცია, ნატო, ისტორიული სამართლიანობაც და სამართლო რეფორმაც; სხვა საკითხია, რომ ეს ყველაფერი არაეფექტურად ხორციელდება და ძალიან ხშირად კონტრპროდუქტიული ხდება.

უკრაინამ დაკარგა შანსი, სწრაფად დასდგომოდა მისი დასავლელი მეზობლების გზას, რადიკალურად დაეწყო რეფორმები და 5-10 წელიწადში ევროპას მიახლოებოდა. ახლა უკვე დროში განვლილი ევოლუციური პროცესი გველის. და მაინც, ჩვენ ევროპის მიმართულებით ვივლით, იმის მიუხედავად, თუ ვინ იქნება სათავეში – რეფორმებს, მართალია ნელა, მაგრამ თვით კუჩმაჯი ატარებდა.

უკრაინელი ინტელექტუალების საერთო განწყობა დღეს ასეთია – პოლიტიკისა და პოლიტიკოსების სრული მიუღებლობა. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ეს არის ერთგვარი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების სურვილი იმაზე, რაც ბოლო წლებში ხდებოდა?

ნაწილობრივ ასეა. საზოგადოების განვითარება ელიტის, ასევე სამოქალაქო საზოგადოებისა და საშუალო ფენის გარკვეულ მომნიჭებულობას გულისხმობს. აშკარაა, რომ უკრაინაში ეს ყველაფერი სათანადო დონეზე არ აღმოჩნდა. ნაციონალურ დონეზე უკრაინაში ძლიერი სამოქალაქო ორგანიზაციები მოქმედებენ, თუმცა ადგილობრივ დონეზე ეს სექტორი არც ისე განვითარებულია. პარადოქსი ისაა, რომ სამოქალაქო საზოგადოება 2005-2006 წლებში ძალიანაც აკრიტიკებდა იმას, რასაც იუშჩენკო და მისი გუნდი აკეთებდნენ. ჩვენ სიტყვის თავისუფლებით ვტკბებით, ეს კი წყალს იმ ოპოზიციის წისქვილზე ასხამდა, რომელიც წინა რეჟიმს წარმოადგენდა. „რეგიონების პარტია“ ამ კრიტიკის რეზულტატებით ყოველთვის სარგებლობდა.

თქვენი აზრით, უკრაინისგან განსხვავებით, როგორ მოახერხეს ხელისუფლებაში დარჩენა მათ, ვინც საქართველოში ვარდების რევოლუცია მოახდინა?

ცოტა ხნის წინ ვიყავი საქართველოში და ჩემზე მართლაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა განსხვავებული ადამიანების, მათ შორის უცხოელი დიპლომატების მონაყოლმა საქართველოში რეფორმების სწრაფი ტემპის

შესახებ – კორუფციასთან ბრძოლის, სასამართლო რეფორმის, სწორედ იმის შესახებ, რის გატარებაც ჩვენთან ვერ მოხერხდა. გარდა ამისა, ვხედავთ, რომ სააკაშვილის დაუშრეტელი ენარგია კრიტიკასაც და ოპოზიციასაც შესაძლებლობებს უზღუდავს. ერთი მხრივ, ეს სიძლიერის ნიშანია, მაგრამ მეორე მხრივ, ნაწილობრივ სწორედ ეს იყო იმ მცდარი სტრატეგიის მიზეზი, რაც სამხრეთი ოსეთის პრობლემის მოგვარებისას გატარდა – სააკაშვილის გვერდით ისეთი არავინ აღმოჩნდა, ვისაც მისთვის გონივრული რჩევის მიცემა შეეძლო; განსხვავებული აზრის მქონე ადამიანები, რომლებიც სიტუაციას ჯანსაღად შეაფასებდნენ, მის გვერდით აღარ იყვნენ.

პროცესები, რაც უკრაინასა და საქართველოში 2003-2004 წლებში მოხდა – პროგრესად მიგაჩნიათ თუ ნეგატიურ მოვლენებად?

ჩემთვის ეს აშკარად პოზიტიური და ძალიან დიდი წინ გადადგმული ნაბიჯები იყო. ფერადი რევოლუციები უკრაინაშიც და საქართველოშიც პროგრესული მოვლენებია. ხოლო ის, რაც შემდეგ მოხდა, ეს ყველა რევოლუციის ბედისწერაა. ყველა მათგანი დაუსრულებელია, რაღაც სტადიამდე მიდიან, ჩერდებიან და საკუთარ პოტენციალს ვერ იყენებენ. ზოგჯერ შეიძლება სხვა მიმართულებითაც გადაუხვიონ, რაც რუსეთის რევოლუციას დაემართა. მაღლობა ღმერთს, ჩვენთან ასე არ ხდება და პლურალისტული სისტემა ნარჩუნდება.

თქვენი პროგნოზით, როგორ განვითარდება სიტუაცია უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ?

თუ ტიმოშენკოს აირჩევენ, ის ხელისუფლებაში სრული ვადით მოვა. ხოლო თუ იანუკოვიჩს აირჩევენ, მისი ურთიერთსაწინააღმდეგო პიროვნული თვისებებისა და არაეფექტური პოლიტიკის, ასევე აქტიური მოსახლეობის დიდი ნაწილის მიერ მისი მიუღებლობის გათვალისწინებით, მის წინააღმდეგ საკმაოდ ფართო ოპოზიცია ჩამოყალიბდება. ვფიქრობ, ძალიან სწრაფად მოხდება მისი თვითდისკრედიტაცია და ის საკუთარი საპრეზიდენტო ვადის ამონურვას ვერ შეძლებს. □

ესაუბრა ჟურნალისტი ოლეგ რეკა, სპეციალურად „ლიბერალისთვის“, კიევი, უკრაინა

უკრაინის არჩევანი

ფერადი რევოლუციების შემდეგ უკრაინამ დემოკრატია აირჩია, საქართველომ კი ავტორიტარული რეჟიმი.

სალომე ზურაბიშვილი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი 2004-2006 წლებში



დემონსტრანტები, კიევი 2004

უკრაინასა და საქართველოში მომხდარ პროცესებს შორის, ცხადია, რომ ბევრი საერთოა და, ამავე დროს, ძალიან დიდი განსხვავებებიც. მთავარი სხვაობა ისაა, რომ უკრაინამ უფრო სრულყოფილად მოახერხა დემოკრატიული პროცესების ბოლომდე მიყვანა. ამის დასტურია ის პერიპეტეიები, რომელიც უკრაინის რადაში ხდებოდა. ბუნებრივია, ამას თან ახლდა ბევრი სიძნელე შიდა პოლიტიკაში – უკრაინამ ვერ მიაღწია სტაბილურობას, ხელისუფლებამ ვერ გაატარა ყველა ის რეფორმა, რომელიც საჭირო იყო ქვეყნისთვის, მაგრამ მთავარია, რომ არ დაარღვია დემოკრატიული პრინციპები. ეს არის არჩევანი – შეიძლება სუსტი იყო, მაგრამ ფუნდამენტური ღირებულებების ერთგული დარჩე. საქართველომ რადიკალურად სხვა – ავტორიტარული რეჟიმის გზა აირჩია. ამას შეიძლება თავისი დადებითი მხარეც ჰქონოდა, მაგალითად ის, რომ სწრაფად გაგვეტარებინა რეფორმები. მაგრამ ჩვენ ამ მხრივაც ვერ შევძელით ისეთი ძვრების მიღწევა, რომ გვეთქვა, მოდი, დღეს გვეკონდეს ძლიერი ეკონომიკა, ძლიერი ადმინისტრაცია და ძლიერ პარლამენტზე ხვალ გადავიდეთ.

არა მგონია, რომ კორუფცია და სხვა პრობლემები, რომელიც არის უკრაინა-

უკრაინა 2010

ქართველები დონეცკში

უკრაინის არჩევნების ერთ-ერთი სკანდალი

საქართველოდან მრავალრიცხოვანი

სადამკვირვებლო მისიის ჩასვლა გახდა. დონეცკში

ჩართული რეისით ჩასულ 400-მდე მამაკაცთაგან

არც ერთს დამკვირვებლის აკრედიტაცია არ


აღმოაჩნდა.

ნატალია გუმენიუკი, კიევი

ში, არ იყოს ჩვენთან. საქართველოში კორუფცია ვითომ აღმოიფხვრა, მაგრამ სინამდვილეში კორუფცია ელიტური გახდა. იგივე ხდება უკრაინაშიც და იგივე ეხება უშუალოდ იუშჩენკოსაც, რაც გახდა კიდეც მისი დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი. მაგრამ ეს დემოკრატიული პროცესია და შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ ძლიერი პარლამენტის არსებობის პირობებში; ანუ უკრაინაში, საქართველოსგან განსხვავებით, ერთმა ხელისუფალმა, თავის კლანებთან ერთად, ვერ აიღო ყველა ბერკეტი საკუთარ ხელში. ამ მხრივ, უკრაინა ბევრად უფრო ცოცხალი ორგანიზმია დღეს, ვიდრე საქართველო. დღეს უკრაინაში არავინ ამბობს, რომ არჩევნების შედეგები გაყალბებულია. ეს არის დემოკრატია თავისი პლუსებით და მინუსებით. ჩვენთან ნასახი არ არის დემოკრატის და მსგავსი პროცესების, ამიტომ არის ქვეყანა გაყინული.

დღეს ორივე ქვეყანა ძალიან რთულ ვითარებაში იმყოფება. მე იმედი მაქვს, რომ უკრაინაში ეს არჩევნები არ შეცვლის ქვეყნის ორიენტაციას და დემოკრატიული პროცესები გაგრძელდება. მგონია, რომ თუ ტიმოშენკო გამარჯვებს, უკრაინას მკვეთრად პროევროპული ხელისუფლება ეყოლება, მაგრამ იგივე ტიმოშენკო უთუოდ დაიწყებს ურთიერთობების დალაგებას მოსკოვთან და თუ იანუკოვიჩი გახდება პრეზიდენტი, უკრაინაში არ იქნება ცალსახად პრორუსული რეჟიმი. უკრაინის მომავალი დაბალანსებულ პოლიტიკაშია, ის უნდა იყოს ევროპასა და რუსეთს შორის, მაგრამ მიმართული ევროპისკენ. სხვა არჩევანი მას არ აქვს.

არც საქართველოს აქვს სხვა ალტერნატივა, მან უნდა გააგრძელოს სვლა ევროპისკენ, უნდა შექმნას დემოკრატიული რეჟიმი და, რაც უნდა რთული იყოს, მოიფიქროს როგორ დაარეგულიროს ურთიერთობა რუსეთთან. რაც უფრო მეტი დრო გადის, ეს მით უფრო რთული ხდება.

ჩვენი და უკრაინის გზა უალტერნატივოდ ევროპისკენ მიმავალი გზაა და სწორედ ამაშია ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი პარალელი – ჩვენ ევროპის გარეშე ვერ განვიხილებით! ამის გარეშე, ორივე ქვეყანა ისევ რუსეთის არეალში დარჩება. 



ქართველი დამკვირვებელი უკრაინაში, იანვარი 2010

არჩევნებამდე ერთი დღით ადრე თბილისიდან დონეცკში ორი ჩართული რეისი დაფრინდა. თვითმფრინავებიდან ჩამოსულმა სამასზე მეტმა ადამიანმა ჟურნალისტებთან საუბარზე უარი განაცხადა.

დონეცკის საქალაქო საბჭოს მდივანმა ნიკოლაი ლეჩეკომ მაშინვე ასეთი კომენტარი გააკეთა: „ყველა ეს მამაკაცი სპორტული აღნაგობისაა, 25-დან 45 წლამდე და აქ, როგორც თავად ამბობენ, ორი ჩართული თვითმფრინავით, კერძო მიზნებით ჩამოფრინდნენ: ბუნებრივია, ეს ქალაქის ხელმძღვანელობის შემფოთებასა და ეჭვებს იწვევს“.

დამკვირვებლობის მსურველები კითხვაზე, თუ რა არის მათი ვიზიტის

მიზანი, ერთადერთ პასუხს იძლეოდნენ: „უკომენტაროდ“. ქალაქ დონეცკის თავმა ალექსანდრ ლუკიანენკომ აღნიშნა: „ჩვენ ვიკითხეთ – რა მისიით ჩამოდის ეს ხალხი, რა უნდა გააკეთონ? და არადამაჯერებელი, დაბნეული, უარგუმენტო პასუხები მივიღეთ“.

თბილისიდან ჩართული რეისებით ჩამოსულ მგზავრებს შორის არ იყვნენ ქალები. ზოგიერთ მათგანს ჰიგიენური ნიღბები ეკეთა, ისეთი, როგორც შემოდგომაზე ეკეთათ უკრაინაში ღორის გრიპთან დაკავშირებული პანიკის დროს. დონეცკელ ჟურნალისტებზე მათ კარგად ორგანიზებული ჯგუფის შთაბეჭდილება დატოვეს, ჯგუფის, რომელსაც მიღებული ჰქონდა ინს-

ტრუქცია, არ ესაუბრა პრესასთან. ერთადერთი კომენტატორი გახლდათ ამ დელეგაციის ხელმძღვანელი გივი თარგამაძე, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე. მან განმარტა, თუ რატომ ჩავიდნენ ქართველი დამკვირვებლები რეგისტრაციის გარეშე: „თუკი ამ დროის მანძილზე საქართველოს დელეგაციის სასარგებლოდ მიიღებდნენ გადაწყვეტილებას და რეგისტრაცია მოხდებოდა, ისინი წინასწარ რომ არ ჩამოგვეყვანა, არჩევნებზე აქ ყოფნას ფიზიკურად ვეღარ მოვასწრებდით“.

თუმცა, დადებითი გადაწყვეტილების მიღების შანსი ცოტა იყო. წინა დღეს უკრაინული საინფორმაციო საშუალებები არაერთმნიშვნელოვან ინფორმაციას ავრცელებდნენ საქართველოდან ჩასული დამკვირვებლების შესახებ. ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ უკრაინაში მთელი მსოფლიოდან არჩევნების მონიტორინგის ჩატარების სულ ათას ხუთასი მსურველი ჩავიდა, პატარა საქართველოდან კი – 2000-ზე მეტი.

ინტერნეტში გავრცელებულმა აუდიო ფაილმა, სადაც საქართველოს პრეზიდენტის მსგავსი ხმა, იულია ტიმოშენკოს მსგავსი ხმის მქონე ადამიანს ჰპირდებოდა, რომ უკრაინაში „ყველაზე გამოცდილ და ბრძოლისუნარიან ადამიანებს“ გაგზავნიდა, უკრაინის ოპოზიციაში ნამდვილი ისტერია გამოიწვია. ტიმოშენკოსთან

ლისუფლების“ მხრიდან, რომელთანაც საქართველოს აიგივებენ, განსაკუთრებით – პრორუსული პოლიტიკური ძალები.

უკრაინის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2011 ქართველ დამკვირვებელს აკრედიტაციაზე უარი უთხრა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ დაგვიანდა საბუთების შეტანა, თუმცა კომისიის მთავარი პრეტენზია იმას ეხებოდა, რომ ანკეტები ერთი ხელით იყო ნაწერი, მსურველთა უმეტესობას, კერძოდ კი 1500 ადამიანს, არც მუდმივი საცხოვრებელი გააჩნდა და არც სამსახური. კომისიის წარმომადგენელთა თქმით, საქართველოს 2000 მოქალაქედან მხოლოდ 300-ის მიმართ არ არსებობდა პრეტენზია. ქართველი დამკვირვებლების რეგისტრაციას ხმა მისცა კომისიის მხოლოდ 7-მა წევრმა, გადამწყვეტი მე-8 ხმა ქართველების წინააღმდეგ „რეგიონების პარტიამ“ მისცა.

საარჩევნო კომისიის მიერ უარით გასტუმრებული საქართველოს მოქალაქეები არჩევნების დღეს, დღიდანვე მაინც გამოჩნდნენ დონეცკის საარჩევნო უბნებზე და თავს ჟურნალისტებად ასალებდნენ. ბევრ მათგანს თან ჰქონდა ბექედარტყმული პრესის წიგნაკი, ხელით ჩაწერილი გვარებით, რომელიც მათ გაზეთმა „მოლოდოგვარდეცმა“ მისცა. მეზობლად მდებარე ლუგანსკის ამ გამოცემას

ვიქტორ იანუკოვიჩის მხარდამჭერ პარტიაში არ მალავენ, რომ საარჩევნო კომისიის წევრებს ურჩევდნენ, ქართველი მოქალაქეების საბუთები განსაკუთრებული ყურადღებით შემოწმებინათ. იანუკოვიჩის თანამოაზრეების მტკიცებით, საქართველოს მოქალაქეები არაერთხელ ცდილობდნენ არჩევნებისთვის ხელის შემლას. მათი თქმით, ერთ-ერთი ყველაზე აქტიური, ვახტანგ გარბელია საარჩევნო უბნის შესასვლელში უხეში ფორმით მოუწოდებდა ხალხს, მხარი არ დაეჭირათ იანუკოვიჩისთვის და ამომრჩევლებს „პუტინის მონებს“ მანამ ეძახდა, ვიდრე ის დონეცკის მილიციამ არ დააკავა.

„ქართველი ჟურნალისტების დანახვისას დონეცკის ზოგიერთი მოქალაქე და კომისიის წევრი, რომლებიც პოლიტიკოსებისგან გაფრთხილებულნი იყვნენ შესაძლო პროვოკაციებთან დაკავშირებით, ყოველთვის ვერ იქცეოდნენ ადეკვატურად და უმიზეზოდ ეძახდნენ მილიციას“, – ირწმუნებიან უკრაინელი ჟურნალისტები, რომლებიც არჩევნების დღეს დონეცკში მუშაობდნენ. მათი ნააზოობით, ქართველები კორექტულად და მშვიდად იქცეოდნენ, არ რეაგირებდნენ ბრალდებებზე.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ლევან თარხნიშვილმა კვირას განაცხადა, რომ

■ „რეგიონების პარტიის“ ქალაქში ყოველთვის უკანონო ქმედებებს ელიან „ნარინჯისფერი ხელისუფლების“ მხრიდან, რომელთანაც საქართველოს აიგივებენ, განსაკუთრებით – პრორუსული პოლიტიკური ძალები.

კონფლიქტში მყოფმა პოლიტიკოსებმა რიგრიგობით დაიწყეს განცხადებების გაკეთება „ქართველი ბოეიკების“ შესახებ, „რომლებიც უკრაინაში არჩევნების ჩაშლას აპირებენ“.

მარცვლები ნაყოფიერ ნიადაგზე გაიზნა. უკრაინელი პოლიტიკოსები ამომრჩევლებს ხშირად აპინებენ პროვოკაციებით. დონეცკში რამდენიმე ჩარტერული რეისით ლვოვიდან რომ ჩასულიყო ძლიერი აღნაგობის მამაკაცებისგან შემდგარი დელეგაცია, თუნდაც ლვოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატების საბუთებით, რეაქცია მაინც ასეთივე იქნებოდა. „რეგიონების პარტიის“ ქალაქში ყოველთვის უკანონო ქმედებებს ელიან „ნარინჯისფერი ხე-

მურვეობს ნატალია კორნევეცკაია, რომელიც იულია ტიმოშენკოს ერთი უახლოესი მეგობარი და აღმოსავლეთ უკრაინაში მისი პარტიის ყველაზე გავლენიანი წევრია. დონეცკის „რეგიონების პარტიის“ წარმომადგენლების თქმით, „მოლოდოგვარდეცის“ ქართველ „კორესპონდენტებს“ არც დიქტოფონები ჰქონდათ, არც ფოტოკამერები და არც ბლოკნოტები.

ზოგიერთები თავს სხვა გამოცემების წარმომადგენლებადაც წარადგინდნენ, მაგრამ მათთვის საბუთის მოთხოვნისთანავე ტოვებდნენ საარჩევნო უბანს; შემდეგ შესასვლელთან დგებოდნენ და ტელეფონით საუბარს იწყებდნენ.

დონეცკში ქართველ დამკვირვებლებს უბნებიდან აძევებდნენ და იჭერდნენ, რადგან ისინი არჩევნებზე გაყალბების ფაქტებს ავლენდნენ: „დღევანდელი მოვლენების შემდეგ საფუძველი მაქვს, ვიფიქრო, რომ დონეცკში გაყალბებისა და უცხოელი დამკვირვებლების მიმართ უკანონო ქმედების ყველა გამოვლინება ხელს აძლევს იმ კანდიდატს, რომელიც ამ რეგიონს აკონტროლებს“. მისი თქმით, ქართველმა დამკვირვებლებმა დააფიქსირეს „სამი ფაქტი, როდესაც ქალაქ დონეცკის 44-ე და 45-ე საარჩევნო უბნებთან რამდენიმე სამარშრუტო მანქანა ჩერდებოდა, იქიდან ერთი და იგივე ადამიანები გამოდიოდნენ, ხმას აძლევდნენ,

შემდეგ კი ისევ დისციპლინირებულად სხდებოდნენ მანქანებში და სხვა უბნებისკენ მიემართებოდნენ“. მას შემდეგ, რაც ქართველებმა სცადეს ამ საეჭვო მანქანების ნომრები ჩაენერათ და ამომრჩევლებს გასაუბრებოდნენ, ისინი საარჩევნო უბნებიდან გააძევეს.

უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრი იური ლუცენკო ადასტურებს, რომ მის უწყებას არ გააჩნია ინფორმაცია საქართველოს მოქალაქეების უკანონო ქმედებებთან დაკავშირებით. მან ისიც აღნიშნა, რომ საქართველოს დელეგაციის ირგვლივ შექმნილი სიტუაცია ნეგატიურად აისახება უკრაინის საერთაშორისო იმიჯზე.

არჩევნების მეორე დღეს ჩარტერულმა რეისებმა დონეცკი დატოვეს. უკრაინაში საქართველოს საელჩოს კონსულმა თემურ ნიშნიანიძემ განაცხადა: „ვფიქრობ, დონეცკის მოსახლეობა დავარწმუნეთ იმაში, რომ ინფორმაცია, თითქოს საქართველოდან ჩამოსული მოქალაქეები ბანდიტები არიან, არ დადასტურდა“. დიპლომატს მისია შესრულებულად მიაჩნია, თუმცა რეგისტრაციის გარეშე დაკვირვება ზედაპირული იყო. ქართველებს არ ჰქონდათ საშუალება ხმის დათვლის პროცესს დასწრებოდნენ. ქართველი დამკვირვებლები უკრაინაში დაბრუნებას აპირებენ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურზე, რომელიც 7 თებერვალსაა დაგეგმილი, და იმედი აქვთ, რომ ოფიციალურ აკრედიტაციას მიიღებენ.

დონეცკის საქალაქო საბჭომ უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ინტერპოლს მიმართა, დაადგინონ უკრაინაში ნამყოფი საქართველოს მოქალაქეების საქმიანობა, და გაარკვიონ, თუ ვინ შეუკვეთა ჩარტერული ავიარისები თბილისიდან. უკრაინულ მხარეს ამ მოქალაქეთა სრულ სიაზე ხელი არ მიუწვდება, რადგანაც საქართველოს მოქალაქეებს რეგისტრაციაზე უარი ეთქვათ, ხოლო უბნებზე მისულები ხშირ შემთხვევაში საბუთების წარდგენაზე უარს აცხადებდნენ. უკრაინული საინფორმაციო საშუალებები მკითხაობენ, თუ რა ნეგატიური მიუძღვით უკრაინის პოლიტიკურ ძალებს ქართველ დამკვირვებლებთან დაკავშირებულ ისტორიაში, და ვინ დააფინანსა თბილისიდან ამ მრავალრიცხოვანი დელეგაციის ჩაფრენა. ნებისმიერ შემთხვევაში, პროვოკაცია შედგა, რადგან რამდენიმე ათასი „საეჭვო ქართველის“ ამბავი ყველა უკრაინელმა გაიგო. ■



უკრაინა 2010

„ქართული დესანტი“ უკრაინაში

ერთადერთი, რაც ქართველ დამკვირვებლებს დონეცკსა და ლუგანსკში შეეძლოთ, იქ ჩატარებული არჩევნების შედეგების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება იყო.

ბესო კურტანიძე

არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე რუსულმა და უკრაინულმა საინფორმაციო საშუალებებმა „ქართველ დამკვირვებელთა“ სია გამოაქვეყნეს. მათ შორის მოხსენიებულნი არიან ირაკლი კოდუა, დათა ახალაია და შოთა უტიამვილი. დონეცკის მერიის მიერ გადაღებულ ფოტოებში ჩანს სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ზაზა გოროზია. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძე ამბობს, რომ უკრაინაში დამკვირვებლები ძირითადად თბილისის საკრებულოდან, პარლამენტიდან, სამთავრობო სტრუქტურებიდან და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან გაგზავნეს.

საქართველოს პრეზიდენტმა არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე საჯაროდ განაცხადა, რომ უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებში მხარს არც ერთ კანდიდატს არ უჭერდა, მისთვის უკრაინელი ხალხის ნებისმიერი არჩევანი პატივსაცემი და მისაღები იქნებოდა.

თუმცა, მალე გაჩნდა ეჭვი, რომ ეს

ასე არ იყო. არჩევნებამდე 3 დღით ადრე გავრცელდა სატელეფონო საუბრის ფარული ჩანაწერი, სადაც ხმა, რომელიც მიხეილ სააკაშვილისას ჰგავს, უკრაინის პრეზიდენტობის კანდიდატის იულია ტიმოშენკოს მსგავსი ხმის მქონე ქალბატონს „გამოცდილი და ბრძოლისუნარიანი“ ხალხით დახმარებას ჰპირდებოდა. საუბრის დასაწყისში ქართული აქცენტის მქონე პიროვნება ამბობს: გააფრთხილეთ იულია ტიმოშენკო, რომ პრეზიდენტი და პრემიერი „ღია ეთერიო“ ისაუბრებდნენ, ანუ ამ საუბრის მოსმენა შესაძლებელი იყო. საუბრისას „მიშა“ ამბობს, რომ უკრაინაში გივი ყველაფერს მიხედავს. ქალბატონი „იულია“, თავის მხრივ, მოსაუბრეს ჰპირდება, რომ უკრაინის ცესკო-ს გადანყვეტილებას სასამართლოში გაასაჩივრებდა.

ვიქტორ იანუკოვიჩის პარტიის წარმომადგენლებმა ცესკო-ში ქართველი დამკვირვებლების აკრედიტაციაზე თავიდანვე უარი განაცხადეს. იანუკოვიჩმა



ქართველი დამკვირვებლები უკრაინაში, იანვარი 2010

გამოთქვა ეჭვი, რომ ქართველ დამკვირვებლებს მიზნად დონეცკსა და ლუგანსკში არჩევნების ჩაშლა ჰქონდათ. ტრადიციულად იანუკოვიჩის მხარდამჭერი ქალაქ დონეცკის მერმა განაცხადა, რომ ვერ შეძლებდა საქართველოდან ყველა მსურველი დამკვირვებლის მიღებას. ქართველ დამკვირვებელთა უმეტესობას კი სწორედ დონეცკსა და მის მოსაზღვრე ლუგანსკში სურდათ არჩევნების მონიტორინგი. „რეგიონების პარტიის“ უარის გამო, უკრაინის ცესკო-მ ქართველებზე აკრედიტაციები ვერ გასცა.

იულია ტიმოშენკომ ცესკო-ს გადაწყვეტილება მართლაც გაასაჩივრა და კიევის საქალაქო სასამართლომ გამოიტანა განჩინება, რომ ქართველი დამკვირვებლების აკრედიტაციის თხოვნა უკრაინის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დაეკმაყოფილებინა. ეს განჩინება იანუკოვიჩის პარტიის წარმომადგენელმა სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. 17 იანვარს უკრაინის ცესკო-მ ქართველ დამკვირვებლებს აკრედიტაციაზე კვლავ უარი უთხრა.

ფარული სატელეფონო ჩანაწერების სერიალი არჩევნების მეორე დღეს გაგრძელდა. შემდეგ ჩანაწერში ხმა, რომელიც ჰგავს საქართველოს პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძისას, კონსტანტინეს ქართულად ესაუბრება. ფარული ჩანაწერი უკრაინულმა მედიამ გაავრცელა. საუბრიდან ჩანს, რომ ქართველ დამკვირვებლებს დონეცკში არჩევნებზე დასაკვირვებლად პრობლემებს უქმნიან. ახსენეს ვინმე ლაშა და გია. „გივი“ უკმაყოფილოა ლაშას დახმარებით

■ ე.წ. „ქართული დესანტის“ თემით მხოლოდ ვიქტორ იანუკოვიჩმა იხიერა. მან დონეცკში ხმების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, 76 პროცენტი მიიღო.

და იმუქრება, რომ მასზე ძებნა გამოცხადდება და უმჯობესია თავი რუსეთს შეაფაროს. ამავე სატელეფონო საუბარში ის კონსტანტინეს ჰპირდება, რომ დონეცკს დიდ პრობლემებს შეუქმნის, იქ 8 ათას კაცს გაგზავნის და ეს ამბავი მარტივად არ მორჩება. ეს საუბარი, უკრაინული მედიის ცნობით, 11 იანვარს შედგა.

კიდევ ერთ ჩანაწერში ერთმანეთს ორი მამაკაცი, პარლამენტარ გივი თარგამაძის მსგავსი ხმის მქონე პიროვნება და შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილის მსგავსი ხმის მქონე პიროვნებას ესაუბრება. საუბრიდან ირკვევა, რომ ქართველ დამკვირვებელთა უკრაინაში გადასაცხადან თვითმფრინავები არ ჰყოფნით. ხალხი, 2 საათია, აეროპორტში ზის და დონეცკში გადაფრენას ელოდება. ამ საუბრიდან ირკვევა, რომ დონეცკის აეროპორტი ქართული ავიაკომპანიის თვითმფრინავებს არ იღებს. საუბარი 14 იანვარს შედგა. ამ დღეს უამინდობის მომიზეზებით დონეცკის აეროპორტმა ქართული ავიაკომპანიის თვითმფრინავები მართლაც არ მიიღო. თუმცა, 400-მდე ქართველი დონეცკში აეროპორტის დახურვამდე უკვე ჩასული იყო. „იულიას უთხარი, თავისი თვითმფრინავები გამოუშვას“, – ასეთ

გამოსავალს პოულობს ამ საუბრის მონაწილე ვანო.

საბოლოო ჯამში ე.წ. „ქართული დესანტის“ თემით მხოლოდ ვიქტორ იანუკოვიჩმა იხიერა. მან ამომრჩეველს საგანგებო მობილიზაციისკენ მოუწოდა და დონეცკში ხმების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, 76 პროცენტი მიიღო.

უკრაინის ცესკო-მ ქართველ დამკვირვებელთა სია საეჭვოდ მიიჩნია და შესასწავლად უკრაინის გენერალურ პროკურატურას გადაუგზავნა. ქართული მხარე სიებთან დაკავშირებით თანამშრომლობაზე მზადყოფნას გამოთქვამს.

რა ევალბოდათ ქართველ დამკვირვებლებს? რას შეცვლიდნენ ისინი, აკრედიტაციების ფლობის შემთხვევაში? როგორც ჩანს, დონეცკსა და ლუგანსკში იანუკოვიჩის მოსალოდნელი მაღალი მხარდაჭერის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება. საქართველოში დაბრუნების შემდეგ უშტატო „დამკვირვებლებმა“ არაერთხელ აღნიშნეს, რომ დონეცკში ე.წ. „საარჩევნო კარუსელები“ დააფიქსირეს, თუმცა უცხოელ დამკვირვებლებს მსგავსი ინფორმაცია არ გაუვრცელებიათ. მიუხედავად იმისა, რომ ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური დამაკმაყოფილებლად შეაფასეს, „დამკვირვებელმა“ გივი თარგამაძემ თქვა, რომ დონეცკში არჩევნები უპრეცედენტოდ გაყალბდა და ქართველი დამკვირვებლები თავიანთ დასკვნაში ამას დააფიქსირებენ.

უკრაინაში კი 7 თებერვალს გადამწყვეტი მეორე ტური გაიმართება. საქართველოს ხელისუფლება კიდევ ერთხელ ეცდება დამკვირვებლების დარეგისტრირებას, თუმცა 17 იანვრის გამოცდილების შემდეგ არ არის გამორიცხული, ტიმოშენკოს ქართველი მონიტორების დახმარების გარეშე მოუწიოს ფონს გასვლა.

2000 ქართველი დამკვირვებლის სამდღიანი მივლინების ხარჯებზე არც ერთი სახელისუფლებო უწყება კომენტარს არ აკეთებს. ინფორმაციას არ ფლობს არც მერიის და არც შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურები, მიუხედავად იმისა, რომ დამკვირვებელთა სიაში ყველაზე მეტი გვარი ამ ორი უწყების თანამშრომლებს ეკუთვნის. მხოლოდ თითო ჩარტერული რეისი, თუკი ავიაკომპანიას თანხა საერთოდ გადაუხადეს, სახელმწიფოს დაახლოებით 30 ათასი ევრო უნდა დასჯდომოდა. კომუნიკაციის, სასტუმროს და სხვა ხარჯები, უხეში დათვლით, დაახლოებით 2 მილიონი დოლარი გამოდის. **■**

პოლიტიკა

მუხროვანის ამბოხი პოლიტიკური სარჩულის გარეშე

სასამართლო განხილვის დასრულებისა და განაჩენის გამოტანის შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტრო მუხროვანის ამბოხების საქმის გამოძიების დეტალებს საჯაროს ხდის. მტკიცებულებების არარსებობის გამო, სასამართლო მათ ნაწილს არ იზიარებს.

მაია ნიკლაური



2009 წლის 5 მაისს მუხროვანის სამხედრო ნაწილში არშემდგარი ამბოხის მონაწილეთა სასამართლო პროცესი 11 იანვარს დასრულდა. სასამართლო განხილვის განმავლობაში 41-დან ოცდაერთმა ბრალდებულმა საპროცესო შეთანხმება გააფორმა და დანაშაული ნაწილობრივ ან მთლიანად აღიარა. დაიკითხა 100-ზე მეტი მონწილე. სხვადასხვა მუხლით თავისუფლების აღკვეთა სულ 19 მსჯავრდებულს მიუსაჯეს. სასამართლოს ბოლო სხდომაზე ერთ-ერთი ბრალდებული დარბაზიდან გაათავისუფლეს.

რა მოხდა მუხროვანის სამხედრო ნაწილში? რას გეგმავდნენ ყოფილი და მოქმედი სამხედრო პირები – დაუმორჩილებლობას თუ სახელმწიფო გადატრიალებას? ვინ მართავდა პროცესებს? ამ კითხვებზე პასუხი 5-თვიანი სასამართლო პროცესის შემდეგაც ბუნდოვანია.

მუხროვანის საქმის 3 მთავარ განსასჯელს ბრალი ამბოხების ორგანიზებასა და დაუმორჩილებლობაში წაუყენეს. საბოლოოდ კობა ოთანაძეს – 29, ლევან ამირიძეს – 28, შოთა გორგიაშვილს კი 19 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ამირიძემ და გორგიაშვილმა დაუმორჩილებლობა აღიარეს, ოთანაძე არც ერთ წაყენებულ ბრალდებას არ აღიარებს. სამხედრო ამბოხში მონაწილეობაში კი სამივე განსასჯელი თავს უდანაშაულოდ ცნობს.

სასამართლო პროცესებზე სამივე მათგანი დუმის უფლებით სარგებლობდა. სწორედ ამიტომ, ინფორმაცია ამბოხის თუ დაუმორჩილებლობის ორგანიზატორების როლის შესახებ სასამართლომ მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოპოვებული ოპერატიული ცნობებით და დაკითხული მონაწილეთა ჩვენებებით მიიღო.

მუხროვანის საქმის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს ძირითადი ინფორმაცია ამბოხის ერთ-ერთი მონაწილის, გია ღვალაძის ჩვენებებს, ოპერატიულ ინფორმაციას, ასევე ღვალაძის რაზმში შეგზავნილ შსს-ს თანამშრომლებს ეყრდნობა.

ამბოხებამდე

გამოძიება აცხადებს, რომ 4 მაისის ღამემდე, ანუ ღვალაძის დაკავებამდე მუხროვანის ამბოხების ზუსტი გეგმა არ იცოდნენ. ღვალაძემ ამ გეგმის დეტალები პოლიციას დაკავებისთანავე გააცნო. სამართალდამცავებმა ამბოხის ჩახშობა სწორედ ამ ინფორმაციის მიღებისთანავე დაიწყეს. თუმცა, საქმეზე მუშაობა

■ „მას შემდეგ, რაც გამოაცხადებდნენ დაუმორჩილებლობას, მუხროვანს აყვებოდა ქუთაისი და გორი. აყვებოდნენ საავიაციო ნაწილებიც. უნდა მოეხდინათ თბილისის ბლოკირება, გამოეცხადებინათ კომენდანტის საათი. 40 დღეში დანიშნავდნენ არჩევნებს. დიდი ალბათობით, მათ უნდა ჩამოეყვანათ ებრალიძე და ის გახდებოდა პრეზიდენტი“.

სპეციალურმა ოპერატიულმა დეპარტამენტმა, კონტრდაზვერვამ და კონსტიტუციური უსაფრთხოების სამსახურმა 4 თვით ადრე დაიწყეს.

გამოძიების მასალების თანახმად, კანონიერი ქურდის ტარიელ ონიანის, ყოფილი პარლამენტარის ვალერი გელბახიანის, კრიმინალური ავტორიტეტის ბონდო შალიკიანის და უკრაინაში მცხოვრები ბიზნესმენის ილია რამიშვილის გადაწყვეტილებით, საქართველოში ამბოხების ორგანიზება უკრაინაში საქართველოს ყოფილ სამხედრო ატამეს გია კრიალაშვილს დაევალა. ეს შეხვედრა 3 იანვარს, ბელარუსში, ქსლაქ მინსკში შედგა. შეხვედრის მონაწილეების გეგმით, გაზაფხულისთვის დაგეგმილ ოპოზიციის აქციებს სამხედრო ძალები უნდა შეერთებოდნენ, რომ ხელისუფლება მაქსიმალურად მოკლე ვადებში შეეცვალათ. შსს-ს ინფორმაციით, გეგმის დაფინანსება მთლიანად

საკუთარ თავზე აიღო რუსეთის მოქალაქემ ალექსანდრე ებრალიძემ.


სასამართლო პროცესზე ამ ინფორმაციის ვერც უარყოფა და ვერც დადასტურება ვერ მოხერხდა. შეხვედრის მონაწილეთაგან ოთხი საქართველოს ფარგლებს გარეთ იმყოფება და დიდი ხანია იძებნება, თავად გია კრიალაშვილი კი სამართალდამცავებმა მისი დაკავების სპეცოპერაციის დროს მოკლეს.

შსს-ს ინფორმაციით, კობა ოთანაძე ამ საქმეში იანვარშივე ერთვება. ყოფილი სამხედრო მაღალჩინოსანი ამბოხების მოსაწყობად საჭირო ადამიანური და ტექნიკური რესურსის მომზადებას იწყებს. სწორედ ოთანაძე უკავშირდება ამბოხების ორგანიზებაში ბრალდებულ დანარ-

ნის შემდეგ ასახელებს.

გამოძიებისთვის ამ საქმის გახსნისას ერთ-ერთი ღირებული ინფორმაციის თავდაცვის ყოფილი მინისტრი გია ყარყარაშვილი აღმოჩნდა. სწორედ მან მიანოდა პოლიციას ინფორმაცია, რომ ყოფილი „გვარდიელი“ თემურ მელიქიძე შს მინისტრის ლიკვიდაციას გეგმავდა და ამისთვის შეიარაღებულ ჯგუფს ქმნიდა. ამ საქმის გამოძიებისას გაირკვა, რომ მელიქიძეს აქტიური კონტაქტი ჰქონდა კობა ოთანაძესთან. ამის საფუძველზე სპეცსამსახურებმა ოთანაძის თვალთვალში დაიწყეს. გამოცდილმა სამხედრომ ეს მალევე შეამჩნია და მიიშალა.

საქმის გახსნა მას შემდეგ დაჩქარდა, რაც გია ღვალაძის მიერ ამბოხში მონა-



■ ამბოხი მუხროვანში, 5 მაისი 2009

ფოტო: ნურა სულჯანოვა

ჩენ ორ პირს – რეინჯერთა ბატალიონის თავმჯდომარეს ლევან ამირიძესა და მუხროვანის სატანკო ბატალიონის მეთაურს შოთა გორგიაშვილს, ასევე სპეცდანიშნულების რაზმ „ომგას“ ყოფილ წევრს გია ღვალაძეს და მათ საკუთარ კოლეგებს შორის თანამოაზრეების შეკრებას აევალებს.

მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფის წევრები განსაკუთრებული კონფიდენციალობის დაცვით მოქმედებდნენ, ერთმანეთში საუბრობდნენ მხოლოდ საგანგებოდ შემუშავებული შიფრის გამოყენებით ან სატელეფონური ტელეფონებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს დეტალური ინფორმაცია აქვს თითქმის ყველა შეხვედრის და იქ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი შოთა უტიაშვილი ოპერატიული ინფორმაციის წყაროებს არც ახლა, საქმის გახს-

ნილობისთვის შერჩეული კადრების ნაწილმა (თამაზ ხომასურიძემ და გიორგი ჩქარეულმა) ამბოხების გეგმის შეტყობისთანავე მის შესახებ პოლიციას აცნობეს. ეს 2009 წლის 26 მარტს მოხდა. უტიაშვილი ამბობს, რომ ამ დროიდან შსს-მ ღვალაძის ჯგუფში აგენტების შეგზავნა დაიწყო.

სწორედ მათ გამოიტანეს ცნობები ამბოხის დეტალური გეგმის შესახებ. „მას შემდეგ, რაც გამოაცხადებდნენ დაუმორჩილებლობას, მუხროვანს აყვებოდა ქუთაისი და გორი. აყვებოდნენ საავიაციო ნაწილებიც. უნდა მოეხდინათ თბილისის ბლოკირება, გამოეცხადებინათ კომენდანტის საათი, ეთქვათ, რომ მართვა გადადის სამხედრო საბჭოს ხელში. 40 დღეში დანიშნავდნენ არჩევნებს. დიდი ალბათობით, მათ უნდა ჩამოეყვანათ ებრალიძე და ის გახდებოდა პრეზიდენტი“, – ამბობს შს საინფორმაციო

ანალიტიკური სამსახურის უფროსი შოთა უტიამვილი.

თუმცა, საქმეში არც ებრაიდესთან და არც რუსეთის სხვა მოქალაქესთან კავშირი კონკრეტული მტკიცებულებებით არ დასტურდება. მართალია, გია ღვალაძე შსს-ს აგენტების თანდასწრებით ხშირად ახსენებდა ფულს, რომელსაც საქმის შესრულებისთვის რუსეთიდან მიიღებდნენ, თუმცა კონკრეტულად საიდან მოდიოდა ეს ფული, არასოდეს უთქვამს. „ლიბერალთან“ საუბრისას შოთა უტიამვილიც ამბობს, რომ ღვალაძეს თავის რამდენიმე ტრავმა აქვს მიღებული და უმეტესად „სისულლეებს ლაპარაკობდა“, თუმცა გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი დახმარების განწვევის სანაცვლოდ, პროკურატურამ მას საპროცესო შეთანხმება გაუფორმა.

გამოძიების მასალებს დაცვის მხარემ თითქმის ვერაფერი დაუპირისპირა. საქმის მთავარ მონაწილეებს ჩვენებები არ მოუციათ. ამბოხების გეგმის შესახებ, ღვალაძის გარდა, არც ერთ მსჯავრდებულს და მონემეს კონკრეტული ინფორმაცია სასამართლოსთვის არ მიუწოდებია. მათი უმრავლესობა ამბობს, რომ ორგანიზატორები დახმარებას დაუმორჩილებლობის გამოცხადებაში თხოვდნენ, რადგან ყო-

წყებულებით, მაგრამ შოთა გორგიაშვილმა ეს თარიღიც უსაფრთხოების მიზნით შეცვალა. 4 მაისს კი გია ღვალაძის დააკავეს, გამოძიების აზრით, პროცესები დააჩქარა და ორგანიზატორებმა ამბოხი ნაჩქარევად, 5 მაისს სცადეს.

5 მაისი, 2009 წელი, აგზონება

დღის 12 საათზე ყველა ცენტრალური ტელეარხის საინფორმაციო გამოშვება დაიწყო ცნობით, რომ მუხროვანის სამხედრო ნაწილში ამბოხებაა. ჯარში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. მუხროვანის ბაზას სპეცდანიშნულების რაზმებმა ალყა შემოარტყეს და შტურმისთვის მზადყოფნა გამოაცხადეს. მალევე ცნობილი გახდა, რომ ამბოხებაში, მოქმედი სამხედრო პირების გარდა, ყოფილი სამხედროები და სამოქალაქო პირებიც მონაწილეობდნენ. ამბოხებულებთან მოლაპარაკებებს სახმელეთო ჯარების სარდალი შმაგი თელია აწარმოებდა. აჯანყებულებს კონკრეტული მოთხოვნები არ დაუსახელებიათ.

ტელევიზიების ცნობით, სიტუაციის განმუხტვაში ძალოვანი სტრუქტურების პირველი პირებიც ჩაერთნენ. აჯანყებულებს ტელევიზიით მიმართა პრეზიდენტიც. მიხეილ სააკაშვილმა მათ 1-საათიანი

სატელევიზიო მიმართვის დასრულებისთანავე პრეზიდენტიც სამხედრო ბაზაზე მიდის, თუმცა ამბოხება, ფაქტობრივად, ისე ჩაიშალა, რომ არც კი დაწყებულა.

ამ დროს მუხროვანის ბაზაზე კობა ოთანაძე, გია კრიალაშვილი და ლევან ამირიძე იმყოფებიან. შს ინფორმაციით, ორგანიზატორები ქუთაისის და გორის ბრიგადისგან მხარდაჭერას ელოდნენ, თუმცა ბოლო მომენტში ამ ბრიგადებმა უკან დაიხიეს. ამბოხებულები მიხვდნენ, რომ წინააღმდეგობის განწვევას აზრი არ ჰქონდა. ოთანაძე, კრიალაშვილი და ამირიძე მიიმაღლნენ, გორგიაშვილი კი იმ დღესვე დააკავეს.

საინფორმაციო პროგრამების შემდეგ გამოშვებაში კადრში პრეზიდენტი უკვე მის წინ ჩამწკრივებულ, თავჩაბრულ ჯარისკაცებს ტუქსავდა და მომხდარის გამო პასუხს სთხოვდა. სწორედ ამ საუბარში პრეზიდენტმა ეროვნული გვარდიის ყოფილი მეთაური, კობა კობალაძეც ახსენა: „გენერალი კობალაძე მისახედი იყო ბევრად უფრო ადრე. ამ ხალხს ბოროტების გარდა საქართველოსთვის არაფერი არ გაუკეთებია. ესენი არიან ჩამოყალიბებული თავისი მენტალიტეტით და აქვთ აბსოლუტურად კრიმინალური გადახრა. და ეს ყველამ ვიცოდით ... ამ ხალხს არ უნდა ებოგინა თავისუფლად ამდენი ხანი საქართველოში“. კობალაძე პირდაპირ ჩართული კამერის წინ დააკავეს. თუმცა, მოგვიანებით, არასაკმარისი მტკიცებულებების გამო, საქალაქო სასამართლომ ყოფილი გენერალი ამბოხებაში უდანაშაულოდ ცნო და მხოლოდ ციციხესასროლი იარაღისა და ხელყუმბარის უკანონო შენახვისთვის თავისუფლების აღკვეთა 8 თვითა და 6 დღით შეუფარდა. იმის გამო, რომ ეს ვადა უკვე მოხდელი ჰქონდა, კობალაძე სასამართლოს დარბაზიდან გათავისუფლდა.

მუხროვანის საქმეში ეს ერთადერთი შემთხვევა არ არის, როცა ნაჩქარევი შეფასება გამოძიებამ მტკიცებულებებით ვერ გაამყარა და ის სასამართლო პროცესზე გაბათილდა. მიუხედავად საქართველოს პრეზიდენტის და სხვა მაღალჩინოსნების არაერთი განცხადებისა, რომ მუხროვანის ამბოხი რუსეთიდან იმართებოდა, საბრალდებო დასკვნაში არაფერია ნათქვამი ამ კავშირზე. ბრალდების საქმის მასალებში რუსეთის არც ერთი მოქალაქე არ ფიგურირებს, მხოლოდ ის არის აღნიშნული, რომ გამოძიებით დადგენილი ორგანიზატორების გარდა, საქმეში „გამოძიებით დაუდგენელი“ სხვა პირებიც მონაწილეობდნენ. [A]

■ მიუხედავად საქართველოს პრეზიდენტის განცხადებისა, რომ მუხროვანის ამბოხი რუსეთიდან იმართებოდა, საბრალდებო დასკვნაში არაფერია ნათქვამი ამ კავშირზე.

ფილ და ახლანდელ სამხედროთა ნაწილში პროტესტს იწვევდა ის ფაქტი, რომ 26 მაისს ხელისუფლება სამხედრო აღლუმის ჩატარებას გეგმავდა. მათი აზრით, აგვისტოს ომში დამარცხებულ ჯარს აღლუმში მონაწილეობა არ უნდა მიეღო.

არის რამდენიმე ჩვენება, სადაც სატანკო ბატალიონის დანაყოფების ხელმძღვანელები ჰყვებიან, რომ 2009 წლის 1 მაისს 14 საათზე გორგიაშვილმა მათ აცნობა, რომ დაუმორჩილებლობის გამოცხადებას აპირებდა. გორგიაშვილის გეგმით, სატანკო ნაწილს უნდა მოეხდინა აეროპორტის, შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობის და თბილისის შესასვლელი გზების ბლოკირება. თუმცა, უკვე 5 მაისის დღით ჩატარებულ თათბირზე გორგიაშვილმა მათ განუცხადა, რომ დაუმორჩილებლობის გამოცხადებას სამხედრო ტექნიკის ადგილიდან დაუძვრელად გეგმავდა. შსს-ს წინასწარი ინფორმაციით, ამბოხება 2 მაისს უნდა და-

ვდა მისცა, რომ იარაღი საკუთარი ნებით დაეყარათ.

მაღე გაერცვლდა ამბოხების მიზნის ოფიციალური ვერსია – სახელმწიფო გადატრიალება და 6 მაისს საქართველოში დაგეგმილი ნატო-ს სამხედრო წვრთნების ჩაშლა. პრეზიდენტმა სატელევიზიო გამოსვლაში ამბოხში რუსეთის მონაწილეობაზე ისაუბრა: „ბოლო კვირების განმავლობაში რუსეთმა გაასამშავა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე თავისი სამხედრო ძალის რაოდენობა და, პრაქტიკულად, მთელი შავი ზღვის ფლოტი საქართველოს აკვატორიაში განლაგა. ვათვლა იყო, რომ საქართველოს დედაქალაქის შუაგულში მოხდებოდა მასობრივი არეულობები, ან რაიმე სახის ძალადობა განხორციელდებოდა და შემდეგ განვითარდებოდა სცენარები საქართველოს სუვერენიტეტის, თავისუფლების, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის წინააღმდეგ“.

სანტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩევნები

დანიშნული არჩეული თავმჯდომარე

ცესკო-ს თავმჯდომარის შერჩევის პროცესში გამოჩნდა, რომ ხელისუფლების მხრიდან საარჩევნო გარემოს შეცვლაში ოპოზიციისა და საზოგადოების ჩართვის ინიციატივა მხოლოდ ფორმალობა იყო.

ნინო გოგუა



ფოტო: ლევან სინკულაძე

15 იანვარს „ნაციონალური მოძრაობის“ 98 ხმით ცენტრალური საარჩევნო კომისიის ახალ თავმჯდომარედ პარლამენტმა ზურაბ ხარატიშვილი აირჩია. უახლოესი 5 წლის განმავლობაში, ყველა არჩევნებს, მათ შორის 2010-ში – თვითმმართველობის, 2012-ში – საპარლამენტო და 2013-ში საპრეზიდენტო არჩევნებს სწორედ ის ჩაატარებს.

ზურაბ ხარატიშვილი ფინანსისტია. 1992 წლიდან იგი აუდიტორად და ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობდა კერძო და არასამთავრობო სექტორში. ცესკო-ს თავმჯდომარედ არჩევამდე საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრი იყო.

სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის ლევან გახელაძის თქმით, ხარატიშვილი, მაუწყებლის ფინანსური მონიტორინგისა და ბიუჯეტის დაგეგმვის გარდა, „მუშაობდა იმაზეც, რომ ბორდის საქმიანობა მაქსიმალურად გამჭვირვალე ყოფილიყო. მისთვის ეს

■ ზურაბ ხარატიშვილი ცესკო-ს პირველი თავმჯდომარე უნდა გამხდარიყო, რომელსაც, ახალი საარჩევნო კოდექსის მიხედვით, ოპოზიციური პარტიები და არასამთავრობო სექტორი აირჩევდა. თუმცა, ეს ასე არ მოხდა.

ფასეულობათა სისტემის ძირითადი კომპონენტია“. თუმცა, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ხშირად სწორედ მისი მუშაობის ბუნდოვანობისა და დახურულობის გამო აკრიტიკებდნენ.

საარჩევნო სისტემასთან შეხება ზურაბ ხარატიშვილს პირველად 2008

წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდშიდან მოუწია. მაშინ ის ცესკო-ში ფინანსური მონიტორინგის საბჭოს წევრი იყო.

„მისი როგორც პროფესიონალი აუდიტის გამოცდილება იმ მომენტში საბჭოს ძალიან დაეხმარა“, – ამბობს იურისტი გიორგი ჩხეიძე, რომელიც ამ საბჭოში, ხარატიშვილთან ერთად, პარტიების მიერ არჩევნების პერიოდში ფინანსების არასწორი განკარგვის შემთხვევებს იკვლევდა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ალპეს“ პროექტების მენეჯერისთვის, რომელმაც ხარატიშვილის კანდიდატურა წარადგინა, მნიშვნელოვანია ახალი თავმჯდომარის პიროვნული თვისებებიც. მერაბ ბასილაია ამბობს: „ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც ჩვენ ხარატიშვილის კანდიდატურა წარვუდგინეთ პრეზიდენტს, მისი რეპუტაციაა. აქამდეც არასდროს ყოფილა რომელიმე პოლიტიკური მხარის მხარდამჭერი, რაც ყველასთვის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია. მისი მიზანია არჩევნების კანონის დაცვით ჩატარება. ის არასდროს ჩაიდენს მიუღებელ საქციელს“.

ზურაბ ხარატიშვილი ცესკო-ს პირველი თავმჯდომარე უნდა გამხდარიყო, რომელსაც, ახალი საარჩევნო კოდექსის მიხედვით, ოპოზიციური პარტიები და არასამთავრობო სექტორი აირჩევდა. თუმცა, ეს ასე არ მოხდა.

არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი 14 კანდიდატიდან პრეზიდენტის არჩევანი იმ სამ კანდიდატზე შეჩერდა, რომლებიც ხელისუფლებისადმი ლოიალური პოზიციით გამორჩეულმა სამმა ორგანიზაციამ „ალპემ“, „თავისუფლების ინსტიტუტმა“ და „ახალი თაობა ახალი ინიციატივამ“ დაასახელა. მათ შორის მოხვდა ლევან თარხნიშვილი („თავისუფლების

ინსტიტუტის“ კანდიდატი), რომელიც ოპოზიციის სრული უნდობლობით სარგებლობს და სწორედ მისი შეცვლა იყო ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა.

თარხნიშვილი ადმინისტრირებას 2008-2009 წლებში ჩატარებულ არჩევნებს უწევდა. ამ წლებში გამოქვეყნებულ ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებში საუბარია არჩევნების დროს მომხდარ დარღვევებზე და ნათქვამია, რომ ცესკო-ს აპარატს ამ დარღვევებზე რეაგირება არ მოუხდენია.

„ცესკო-ს მუშაობაში იყო ბევრი ხარვეზი, მაგრამ მთავარი იყო ის, რომ არაადეკვატურად რეაგირებდნენ დარღვევებზე. შეიძლება დასჯილიყო მხოლოდ კომისიის რამდენიმე წევრი და თავმჯდომარე ძალიან ელემენტარული სანქციებით. დარღვევაზე რეაგირება არის აუცილებელი პირობა

სხვა დიდი რეპუტაციის 26 არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატი პრეზიდენტის მიერ შერჩეულ სამეულშიც ვერ მოხვდა. მიჭირს, ვიპოვო არგუმენტი, რის გამოც ასეთი რეპუტაციის მქონე კანდიდატზე უარი ითქვა“, ამბობს თამარ ქაროსანიძე.

ეკა სირაძის არასამთავრობო ორგანიზაციას არჩევნების პროცესის მონიტორინგის დიდი გამოცდილება აქვს. მისი ხელმძღვანელობის დროს ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების“ მიერ განხორციელებულ პროექტებს შორისაა ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE), შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (SIDA) და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული მონიტორინგის მისიები. ეკა სირაძე არასოდეს ყოფილა პო-

წარდგენილი კანდიდატებიდან საკუთარი რჩეულები კოდექსით განსაზღვრულ ვადაზე გვიან – 10 იანვრის ნაცვლად, 12 იანვარს წარადგინა (პრეზიდენტის თხოვნით პარლამენტმა კანონში თარიღი შეცვალა); და მეორედ, როდესაც, მიუხედავად არასამთავრობო სექტორის ჩართულობისა, სააკაშვილის მიერ შერჩეულ კანდიდატებს შორის ვერ მოხვდა ვერც ერთი კანდიდატი, რომელსაც არასამთავრობოების უმრავლესობის და ოპოზიციის ნდობა ჰქონდა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ და კიდევ 25-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ მიხეილ სააკაშვილს ღია წერილით მიმართეს, სადაც პრეზიდენტს კანდიდატთა სამეულის შერჩევის კრიტერიუმების განმარტება სთხოვეს. პარლამენტის იურიდიული კომიტეტის წევრის, პავლე კუბლაშვილის თქმით, ცესკო-ს თავმჯდომარის არჩევნებმა ზუსტად იმ სქემით ჩაიარა, რაზეც ოპოზიციური პარტიები და არასამთავრობო ორგანიზაციები ხელისუფლებასთან შეთანხმდნენ. „თუ ვინმეს აქვს პრეტენზია, რატომ არ მოხვდა მათთვის სასურველი კანდიდატი სამეულში, იცოდნენ, რომ ეს პრეზიდენტის პრეროგატივაა და სხვა ვერავინ განმარტავს. მაგრამ პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი არც ერთი კანდიდატი არაა სადავო პიროვნება და თითოეული მათგანი არასამთავრობო სექტორმა დაასახელა, როგორც ეს კანონით იყო განსაზღვრული. რაც შეეხება ვადებს, როცა ისინი ამბობენ, რომ რალაც კატასტროფა მოხდა ვადის გადატანით, მე მგონი, ცოტა არაობიექტურები არიან“.

პრეზიდენტის მიერ დასახელებული და მხოლოდ საპარლამენტო უმრავლესობის მიერ არჩეული საარჩევნო კომისიის ახალი თავმჯდომარე მოვალეობის შესრულებას 19 იანვრიდან შეუდგა. ზურაბ ხარატიშვილს კარგად ესმის, რომ ახალ თანამდებობაზე ოპოზიციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერისა და ნდობის გარეშე მუშაობა რთული იქნება. „პოლიტიკოსებს ძალიან უყვართ ცესკო-ს თავმჯდომარისთვის პირობების წაყენება და მისგან დაპირებების მოსმენა, რაც, ჩემი აზრით, არასწორია. მთლიანად კომისიის გადაწყვეტილებაზე ერთ კაცს როგორ უნდა მოეთხოვოს პასუხი?“ – ამბობს ის „ლიბერალთან“ ინტერვიუში. **■**

■ პრეზიდენტის მიერ შერჩეულ თითოეულ კანდიდატს მხარს მხოლოდ ერთი ორგანიზაცია უჭერდა, თუმცა წარდგენილ 14 ადამიანს შორის იყო კანდიდატი, რომელიც ერთდროულად 27-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ დაასახელა.

იმისთვის, რომ მომდევნო არჩევნები იყოს უკეთესი“, – განმარტავს თამარ ქაროსანიძე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი.

2009 წლის გაზაფხულზე არასაპარლამენტო ოპოზიციის აქციების საპასუხოდ, ხელისუფლება საარჩევნო კოდექსზე სამუშაო ჯგუფის შექმნის ინიციატივით გამოვიდა, რომელიც სწორედ იმ ხარვეზებს გამოასწორებდა, რომლებიც 2 წლის განმავლობაში ლევან თარხნიშვილის ცესკო-ს თავმჯდომარეობის დროს იყო პრობლემატური. თარხნიშვილის პრეზიდენტის სამეულში მოხვედრა, ფაქტობრივად, ამ კომპრომისის გაბათილებას ნიშნავდა.

პრეზიდენტის მიერ შერჩეულ თითოეულ კანდიდატს მხარს მხოლოდ ერთი ორგანიზაცია უჭერდა, თუმცა წარდგენილ 14 ადამიანს შორის იყო „სამართლიანი არჩევნების“ ხელმძღვანელი ეკა სირაძე, რომელიც ერთდროულად 27-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ დაასახელა.

„მოულოდნელი იყო, რომ ჩვენი და

ლიტიკური პარტიის წევრი ან აქტიური მხარდამჭერი. საერთაშორისო მედიისთვის მის მიერ დაწერილი ანგარიშები საქართველოში არჩევნების შეფასებისას ერთ-ერთი ყველაზე სანდო წყაროა.

პრეზიდენტის მიერ წარდგენილი სამი კანდიდატურიდან თავმჯდომარის არჩევაზე უარი ითქვა ცესკო-ში შემავალი ოპოზიციური პარტიების უმრავლესობამ. „ხელისუფლებას ჰქონდა მიზანი, გარეშე პირებისთვის ეჩვენებინა, რომ თითქოს ის ოპოზიციასთან დათმობაზე მიდის. მაგრამ სინამდვილეში ეს იყო მაკიაჟი. სამ თარხნიშვილს შორის არჩევანის გაკეთებას ბოიკოტი ვარჩიეთ“, – ამბობს ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის წარმომადგენელი გოჩა ჯოჯოა.

ოპოზიციის წარმომადგენლების თქმით, ცესკო-ს თავმჯდომარის არჩევის სქემა, რომელიც ხელისუფლების დათმობით, კომპრომისული პოლიტიკის დადასტურება უნდა ყოფილიყო, პრეზიდენტის მიერვე ორჯერ დაირღვა. პირველად, როდესაც მიხეილ სააკაშვილმა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ

პრაზიკონდისი შიხვადრა გურულ მოსახლოვასთან

მსახიობი მოსახლოვების როლში

კარმიდამო, სადაც საქართველოს პრეზიდენტს კალანდობაზე გურული ტრადიციებით უმასპინძლეს, უკვე წლების განმავლობაში დაკეტილია და იქ არავინ ცხოვრობს. მიხეილ სააკაშვილის სალუქვაძეების ოჯახთან შეხვედრა სინამდვილეში კამერების წინ დადგმული სპექტაკლი აღმოჩნდა.

ნანა ლეჟავა, სტუდია „ჯი-ენ-ესი“



მიხეილ სააკაშვილი კალანდობაზე სოფელ ცხემლისხიდში, 13 იანვარი 2010

კოლორიტული გურული კალანდობა ტელევიზიებით მთელმა საქართველომ ნახა. ტელეჟურნალისტები გუბერნიის მიერ დარიგებულ პრესრელიზებსა და საკუთარი თვალით ნანახზე დაყრდნობით იუნჯებოდნენ, რომ მიხეილ სააკაშვილს ოზურგეთის რაიონის სოფელ ცხემლისხიდში სალუქვაძეების ოჯახმა უმასპინძლა.

ოჯახის ერთ-ერთი წევრი, რომელიც არაყს ხდიდა, პრეზიდენტს დიდი მონდომებით უხსნიდა: „ჩვენთან იციან ასე, მოაწვევს ახალი წელიწადი და იქინა ზოგს ჭაჭა აქვს შენახული, ზოგს ვაშლი აქვს შენახული, ჭურში რა თქმა უნდა და მერე გამოიტანებენ და გამოხდიან“. იქვე იყო ყაბალახში გამოწყობილი მეორე ადგილობრივი მოსახლე, რომელმაც ჟურნა-

ლისტებს განუმარტა: „კალანდობა ჩვენში არის ზეიმი, ახალ წელს ვუძახით ჩვენ კალანდობას“.

დიასახლისმა პრეზიდენტს გურული ადესა და საშობაო ღვეზელი მიართვა. ამას მოყვა ტრადიციული „მუცლის ლოცვა“. ყველა ნაციონალურმა არხმა რამდენჯერმე აჩვენა კადრები, სადაც ხანშიშესული ქალბატონი მიხეილ სააკაშვილს გარშემო უვლის, თან ულოცავს: „თქვენი ყველა სატკივარი აღმა ქარს დაღმა წყალს, თქვენი ყველა სატკივარი აღმა ქარს და დაღმა წყალს“.

პრეზიდენტისთვის არავის უთქვამს, რომ „დიასახლისი“ ოზურგეთის დრამატული თეატრის ვეტერანი მსახიობი მარგო ავაქიანი იყო, „არყის მხდელი“ –

მსახიობი ომარ ურუშაძე. კაცი, რომელიც სახლის ეზოში შეშას ჭრიდა და პრეზიდენტს გურულ ტრადიციებს აცნობდა – ასევე გურიაში ცნობილი მსახიობი ნუგზარ ბარამიძე. კალანდობა და პრეზიდენტის მასპინძლობა კი მათ მიერ კარგად შესრულებული დადგმა აღმოჩნდა. საჩვენებელი კალანდობის რეჟისორი ადგილობრივი ხელისუფლება იყო.

მსახიობი მარგო ავაქიანი ოზურგეთში ცხოვრობს. ის არ მალავს, რომ 13 იანვარს პრეზიდენტს „დიასახლისის როლში“ უმასპინძლა. „ჩემი მოვალეობა იყო, მიმელო პრეზიდენტი და ღვეზელით ჩამეტარებინა ის რიტუალი, რასაც ჰქვია მუცლის სალოცავი. სამნი ვართ იქ მსახიობი, დანარჩენები იყვნენ „აგუნას“ შე-

მსრულებლები, „შვიდკაცას“ მომღერლები. ძალიან ლამაზი სიტუაცია იყო სხვათა პრეზიდენტი, არც ველოდი. სცენაზე გასვლისას სულ ცივი ოფლი მასხამს ხოლმე, მაგრამ იმდენად მოხიბლული დავრჩი მისი პიროვნებით, რომ არ განმიცდია არაფერი. არადა, მეფისტოლა კაცია, მეფეა ჩვენთვის, ღმერთის ტოლა კაცია. მაგრამ არ მიგრძენია არც ღელვა, არც არაფერი – ვითომ 50 წელი მასთან ერთად ვიზრდებოდი“. კითხვაზე, იცოდა თუ არა პრეზიდენტმა, რომ ნამდვილი გურული ოჯახის ნაცვლად მსახიობებს ესაუბრებოდა, მარგო ავაქიანი პასუხობს:

- არა, რა თქმა უნდა, არა!
- პრეზიდენტს რატომ არ უთხრეს, რომ ეს თეატრალიზებული დადგმა იყო?
- არ შეიძლებოდა
- რატომ?
- არ ვიცი, მაგრამ არ შეიძლებოდა.

ბს გიორგი გირკელიძე, „გურია ნიუსის“ ჟურნალისტი.

იმ დღეს ცხემლისხიდის მოსახლეობას მიხელო სააკაშვილი არ უნახავს. მათ უთხრეს, რომ ღონისძიება მხოლოდ სტუმრებისთვის ტარდებოდა და სალუქვაძეების სახლთანაც მხოლოდ წინასწარ შერჩეული და სხვადასხვა სოფლიდან გამგეობის მიერ ჩამოყვანილი ხალხი დააყენეს.

„სულთ და გულთ მინდოდა ვყოფილიყავი ღონისძიებაზე და როცა ვიკითხე, – მანდ მარტო მიწვევით არიანო. ნატუნებელი თუ მივიდა და მისი სოფლის გაჭირვებაზე ილაპარაკა, ცხემლისხიდში ერთხელ მოგვეცა ამის შესაძლებლობა და რატომ არ შეგვახვედრეს?“ – კითხულობს ცხემლისხიდელი ნათელა არველაძე.

„უგზობა, უშუქობა – გაჭირვება დიდია ძალიან. უყურადღებოდა ჩვენი სოფელი. თუ მოგვხვდავს მაი გასახარებელი,

ძე, „ეროვნული ფორუმის“ რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

დადგმული იმ დღეს გურიაში მხოლოდ კალანდობის დღესასწაულის რიტუალი არ ყოფილა. ცენტრალური ტელევიზიების ცნობით, „სალუქვაძეების ოჯახიდან მიხელო სააკაშვილმა სოფელ ცხემლისხიდში გაიარა და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა“. თუმცა, გურულებმა „იმედის“ და „რუსთავი 2“-ის ეთერში მსახიობები და ადგილობრივი ხელისუფლების წევრები იმ ხალხშიც ამოიცნეს, ვისაც „მოსახლეობის“ სახელით მიხელო სააკაშვილთან შეხვედრის პატივი ერგო. პატარა რეგიონში არც ის დამალულა, რომ ის მამაკაცი, რომელიც პრეზიდენტს მანდარინის სახელმწიფოსთვის სარფიანად ჩაბარებაზე ესაუბრებოდა, გამგებლის ახლო ნათესავია. „გამგებლის ცოლის მამა გახლდათ, ანუ სიმამრი. იქ ძირითადად ვინც იყვნენ, მსახიობები იყვნენ და

■ პრეზიდენტისთვის არავის უთქვამს, რომ „დიასახლისი“ ოზურგეთის თეატრის ვეტერანი მსახიობი მარგო ავაქიანი იყო, „არყის მხდელი“ – მსახიობი ომარ ურუშაძე.

მარგო ავაქიანი იხსენებს, რომ რადგან სალუქვაძეების ოჯახში დიდი ხანია, არავინ ცხოვრობს, საქმელ-სასმელი იქ ღონისძიების ორგანიზატორებმა მიიტანეს. მამაკაცი კი, რომელიც პრეზიდენტს სალუქვაძეების ოჯახის მასპინძლად წარუდგინეს და გიდის როლს ასრულებდა, სოსო ნაკაიძეა, ოზურგეთის თეატრის ყოფილი ხელმძღვანელი. „სოსო ჩვენი ყოფილი დირექტორია, ხელოვნება ესმის და იმანაც კი მოითხრა, ისეთი უბრალო იყავი მარგო, როგორც ნამდვილი გლეხის ქალი და არა მსახიობი, რომელიც სცენაზე თამაშობს“. წინასწარ გავარჯიშეს? – ვკითხე ქალბატონ მარგოს. „რა ვარჯიში მინდოდა, აგერ რძალმა მასწავლა ეს სალოცავი“, – მიპასუხა მან.

დადგმაში მონაწილე მსახიობები ჰყვებიან, რომ მოსამზადებლად ძალიან ცოტა დრო, ორი დღე ჰქონდათ. ადგილობრივი ჟურნალისტები იხსენებენ, რომ კალანდობის სცენა მსახიობებმა წინასწარ პრეზიდენტის წარმომადგენლის, მარიკა ვერულაშვილის მონაწილეობით გაითამაშეს.

„პირველად ეს იყო მარიკა ვერულაშვილისთვის, ანუ გზა ჭოჭორიდან სახლამდე გაიარა მარიკა ვერულაშვილმა, მეორედ მიხელო სააკაშვილმა და პრეზიდენტის წასვლის შემდეგ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა – „იმედისთვის“. ეს ტელეკომპანია დოკუმენტურ ფილმს იღებს კალანდობაზე“, – ამბობს

კარგი იქნება. ბევრი გააკეთა სხვაგან, ჩვენთვის ჯერ არ მოუცლია, ალბათ მოიცლის და თუ მოგვხვდავს, მაგის უკეთესი რა იქნება ქვეყანაზე“, – ამბობს ცხემლისხიდელი თამარ გოგიბერიძე.

კალანდობაზე პრეზიდენტის სტუმრობა გურულებისთვის მოულოდნელი იყო. რაიონის მცხოვრებთა უმეტესობამ სააკაშვილის სტუმრობის შესახებ ტელევიზიებით შეიტყო. გურულებისთვის ყველაზე მოულოდნელი კალანდობაზე მათი საყვარელი მსახიობების გამოჩენა გახდა, რომლებიც პრეზიდენტს სალუქვაძეების ნაცვლად უწვევდნენ მასპინძლობას. კიდევ ერთი, რაც გურულების უმრავლესობას თვალში მოხვდა, პრეზიდენტისთვის ნაჩვენები დოვლათი იყო.

„ეტყობა, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ გურიაში არ მოიძებნება ოჯახი, სადაც პრეზიდენტი შეიძლება ასტუმრო. აქ, ამ საშინელ სიდუხჭირეში ოჯახიც კი ვერ შეარჩიეს, რომ ცოცხალი, მშრომელი გლეხური გარემო მოენახათ, და იქ მიენვიათ პრეზიდენტი. ამიტომაც დადგეს ის სპექტაკლი. აჩვენეს ადამიანებს, რომ აი, გურიაში ასე ცხოვრობს ხალხი. სინამდვილეში, მე არ მეგულება არც ჩემს სამეგობროში, არც სანათესაოში, არც საახლობლოში ოჯახი, სადაც მივალთ და ასეთი დოვლათით იქნება სავე“, – ამბობს ოზურგეთელი შოთა გოგიბერი-

სხვადასხვა სოფლიდან მიყვანილი ხალხი. ერთი ქალი ლანჩხუთიდანაც კი ჩამოიყვანეს. ეს მოსახლეობის შეურაცხყოფაა. ყველა ერთმანეთს ვიცნობთ“, – ამბობს მარინე სუნგულია, რესპუბლიკური პარტიის რეგიონული ოფისის წევრი.

ადგილობრივი გაზეთის „გურია ნიუსის“ ინფორმაციით, კალანდობის სცენარის ერთ-ერთი ავტორი იყო ოზურგეთის გამგებელი ავთანდილ მექვაბიშვილი. გაზეთთან საუბრისას მექვაბიშვილი ამბობს: „რას ნიშნავს დადგმული? ქორნილი არ არის დადგმული? ბერიკაობა არ არის სპექტაკლი? დაანებეთ თავი სისულელეების ჩხიკინს. მხოლოდ დეგენერატი თუ ლაპარაკობს ამას. იქ იყო ჩვეულებრივი დიასახლისი. მერე რა, რომ მსახიობია. მსახიობი არ შეიძლება დიასახლისი იყოს?!“

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ვებგვერდზე ამ დრომდე დევს ინფორმაცია, რომ „საქართველოს პრეზიდენტი მიხელო სააკაშვილი გურიაში ჩავიდა და კალანდის დღესასწაულის დადგომამდე სოფელ ცხემლისხიდში სალუქვაძეების ოჯახს ესტუმრა. მიხელო სააკაშვილმა საჩუქრად ჩიჩილაკი მიიღო, რომლის დამზადებაში თავადაც მიიღო მონაწილეობა. ტრადიციულ გურულ ოჯახში პრეზიდენტმა გურული „ადესა“ დააჭაშნიკა და მას საშობაო ღვეზელითაც გაუმასპინძლდნენ.“



სტატია მომზადდა ევროკავშირის ფინანსური დახმარებით, ბრიტანულ-ქართული პროფესიული ქსელის მიერ განხორციელებული CSE-PFM პროექტის ფარგლებში. სტატიის შინაარსზე პასუხისმგებელია ურნალი „ლიბერალი“. სტატია არ წარმოადგენს ევროკავშირის ან ბრიტანულ-ქართული პროფესიული ქსელის პოზიციას.

ეკონომიკა

„ქაბრახის შემოჭარის“ საეჭვო ეფექტი

2010 წელს საინვესტიციო რესურსების ნაკლებობის გადაფარვა სახელმწიფოს ნაწილობრივ ბიუჯეტიდან მოუწევს.

რევაზ საყვარიშვილი

„საქართველოს ეკონომიკაში გამოცოცხლება შეინიშნება. თუმცა, მისი სრული გაჯანსაღება გლობალური პრობლემების გადაჭრასა და საკრედიტო პირობების გამარტივებაზე დამოკიდებული“, – ასეთია საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლის, ედუარდ გარდნერის მოსაზრება. გარდნერის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებამ გლობალური ფინანსური კრიზისის დასაძლევად სასურველი პირობები შექმნა. ეკონომიკის გამოცოცხლების პროცესი მიიმედ, მაგრამ მაინც დაინყო და ის 2010-თან ერთად, 2011 წელსაც გაგრძელდება.

„საერთაშორისო სავალუტო ფონდმა მის მიერ გამოყოფილი ფინანსებით ქვეყა-

ნაში ფინანსური სტაბილურობის მიღწევა შეძლო. ახლა კი ყურადღება მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაზე ფოკუსირდება“, – დასძინა გარდნერმა.

ეკონომიკის ზრდას ოფიციალური ქართული სტატისტიკა უკვე 2009 წლის მეოთხე კვარტალში ელოდა, რომლის შედეგებიც ჯერ არ შეუჯამებია. მანამდე არსებული მონაცემები კი კვლავინდებურად ეკონომიკის დაცემის, მართალია, შენელებულ, მაგრამ მაინც თვალსაჩინო ტრენდზე მიუთითებს.

2009 წლის პირველი 3 კვარტლის მონაცემებით, 9 თვეში ნომინალური მშპ-ს კლებას მისი ფიზიკური მოცულობისა და მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით მშპ-ს ვარდნაც მოჰყვა. რეალუ-

რი მშპ 2009 წლის იანვარ-სექტემბერში 5,5%-ით შემცირდა (პირველ კვარტალში 5,9%-ით, მეორე კვარტალში – 10,7%-ით, მესამეში – 1,3%-ით).

ეკონომიკის დაცემის მიზეზი, წმინდა პოლიტიკური მიზეზების გარდა (პოსტ-საომარი მდგომარეობა, გაზრდილი შიდა და გარე პოლიტიკური რისკები და რყევები), ქვეყნის შიგნით საქმიანი აქტივობის შემცირება, საინვესტიციო ნაკადების მნიშვნელოვანი კლება და კრედიტებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა გახდა.

2009 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოდენობა 60%-ით შემცირდა და 505 მილიონი დოლარი შეადგინა, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში არსებულ 1,27 მილიარდ დოლართან შედარებით (შედარებისთვის: 2008 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 1,564 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო 2007 წელს — 2,014 მილიარდი აშშ დოლარი).

ამ ფაქტორების ჯამი განაპირობებს როგორც საერთოდ საგარეო ეკონომიკური ბრუნვის შემცირებას, ასევე ექსპორტის და იმპორტის კლებას. 2009 წლის იანვარ-ნოემბერში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა, არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე, 31,5%-ით შემცირდა და 4,95 მლრდ დოლარი შეადგინა, ექსპორტი 1,028 მლრდ დოლარი, ანუ შარშანდელ 11 თვეზე 27,7%-ით ნაკლები იყო, იმპორტი კი 3,92 მლრდ დოლარი – შარშანდელზე 32,5%-ით ნაკლები.

2010 წელს გათვალისწინებული ეკონომიკის 2%-იანი ზრდა დიდწილად დამოკიდებული იქნება უცხოური კერძო კაპიტალის განახლებულ შემოდინებასა და ბანკების მიერ ეკონომიკის აქტიური დაკრედიტების განახლებაზე, რაც ამჟამად პრობლემური სესხების დიდი მოცულობის გამო იზღუდება.

სახელმწიფო ბიუჯეტში კი გაისად ქვეყნის შიდა შემოსავლები საერთო მოცულობის 76% იქნება. შესაბამისად, ბიუჯეტის დაახლოებით 25% საგარეო ვალდებულებით უნდა შეივსოს ანუ საგაიხოს ბიუჯეტის ყოველი მეოთხე ლარი საგარეო ვალიდან იქნება. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სერიოზულ ეჭვს იწვევს ქვეყნის ეკონომიკის უნარი, მოახერხოს იმ ოპტიმისტურ მაჩვენებლებზე გასვლა, რაც 2010 წლის ბიუჯეტშია ჩადებული.

ყველა ნეგატიური გარემოების გათვალისწინებით, საქართველოს წმინდა საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია უარყოფითია და 2009 წლის მესამე კვარტალის ბოლოს –11 მლრდ დოლარს

შეადგენს, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 10,3%-ით აღემატება. პორტფელური ინვესტიციების ვალდებულებებმა 880 მლნ დოლარი შეადგინა, საიდანაც 500 მლნ აშშ დოლარი სამთავრობო ვერობონდებია. წინა წლის შესაბამისი პერიოდთან შედარებით, 2009 წლის თვეში ეროვნული ბანკის სასესხო ვალდებულებები 1,5-ჯერ გაიზარდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტების ხარჯზე და 700 მლნ დოლარი შეადგინა. სამთავრობო სექტორის სასესხო ვალდებულებებმა კი მესამედით იმატა.

2010 წელსაც ფინანსთა სამინისტრო 370 მლნ ლარის სახაზინო ვალდებულებების გამოშვებას გეგმავს. სხვათა შორის, სამინისტრო 2-წლიან კუპონურ სახაზინო ობლიგაციებსაც გამოუშვებს; კერძოდ, 2010 წლის პირველ კვარტალში ფინანსთა სამინისტრო 10 მლნ ლარის კუპონური ობლიგაციების გამოშვებას გეგმავს. აღსანიშნავია, რომ სახაზინო ვალდებულებებისგან განსხვავებით, კუპონური ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთის დაფარვა ყოველ 6 თვეში ერთხელ მოხდება. 2009 წელს კი ფინანსთა სამინისტრომ 270 მლნ ლარის ფასიანი ქაღალ-

ადასტურებს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი, რომელმაც 20 იანვრის სხდომაზე პირდაპირ აღნიშნა, რომ „ეკონომიკის აღდგენის ნიშნები არსებობს, თუმცა, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნების შემთხვევაში, საქართველოს ეკონომიკისთვისაც აღდგენის ტემპი გაურკვეველია“.

შესაბამისად, გაურკვეველია იმ პროგნოზების ცდომილების ხარისხი, რომელთაც 2010 წლის ბიუჯეტი დაგეგმილი თავის შემოსავლებითა და ხარჯებით. ერთი რამ ცხადია: საქართველოს მთავრობა ყველანაირად უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ წლევანდელი ბიუჯეტი შარშანდელის მემკვიდრეა და მასში ცვლილებები მხოლოდ კრიზისის გავლენით და „ქამრების შემოჭერის პოლიტიკის“ კონტექსტში შევიდა.

თუმცა, რამდენად იყო 2009 წლის ბიუჯეტი „ქამრშემოჭერილი“, ეს ცალკე დავის საგანია. თანამედროვე ქართული ეკონომიკური რეფორმების არქიტექტორი კახა ბენდუქიძე მიიჩნევს, რომ 2009 წლის ბიუჯეტი „ქამრების შემოჭერის“ პრინციპით არ დაგეგმილა, რადგან ბევრი ისეთი ხარჯი დაფინანსდა, რომლის გაუქმებაც

საგულისხმოა, რომ 2009 წელს მთავრობამ ხარჯების ხელახალი გადანაწილების დროს 300 მილიონი ლარის გამოთავისუფლებული სახსრებიდან 150 მილიონი სწორედ ადმინისტრაციული ხარჯების შემცირების გზით მოიძია. თუმცა, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ამ რესურსიდან გაცილებით მეტის დაზოგვა შეიძლება, თუ სახელმწიფო უფრო მცირერიცხოვანი, მოქნილი და ეფექტიანი სახელმწიფო აპარატის შექმნის გზით წავა.

რაც შეეხება გზების დაგებაზე მიმართული თანხების სიდიდეს და ეფექტიანობას, როგორც ჩანს, ეს საკითხი 2010 წელსაც ერთ-ერთი ყველაზე აქტიური განხილვის საგანი იქნება. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 815-მილიონიანი ბიუჯეტიდან ლომის წილი – 708 მლნ ლარი საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე მიიმართება.

ეს მიმართულება აქტუალობას არც მომდევნო წლებში დაკარგავს. მაგალითად, იმ მილიარდი დოლარიდან, რომელსაც საქართველოს აზიის განვითარების ბანკი გამოუყოფს, ნახევარი სწორედ გზების რეაბილიტაციაზე მიიმართება და

■ ეკონომიკური რეფორმების არქიტექტორი კახა ბენდუქიძე მიიჩნევს, რომ 2009 წლის ბიუჯეტი „ქამრების შემოჭერის“ პრინციპით არ დაგეგმილა, რადგან ბევრი ისეთი ხარჯი დაფინანსდა, რომლის გაუქმებაც სახელმწიფოსათვის უფრო მომგებიანი იქნებოდა.

დები გამოუშვა, რათა ბიუჯეტის მზარდი დეფიციტი შეეგვსო.

დეფიციტის შევსება სხვა წყაროებიდანაც აქტიურად ხდებოდა. ახალი წლის წინა პერიოდში ნაკლები ყურადღება მიექცა იმას, რომ „საქართველოს რკინიგზამ“ შარშან წლის ბოლოს გამოშვებული ობლიგაციების განთავსების შედეგად 25 მლნ ლარი მიიღო. რკინიგზის ინფორმაციით, ობლიგაციების გამოშვება მიზნობრივი იყო და იგი პირველი ქართული მატარებლის დამზადებასა და რკინიგზის მოდერნიზაციის პროექტის დაფინანსებას მოხმარდება. თუმცა, ეს ტრანზაქცია ნამდვილად არ გახდებოდა საჭირო, რკინიგზის ანგარიშებზე არსებული 36 მილიონი ლარი სახელმწიფოს, დევიდენდის სახით, ბიუჯეტში რომ არ მიექცია.

ასე რომ, ის წინაპირობები, რომლის გათვალისწინებითაც 2010 წლის ბიუჯეტი დაიგეგმა, ნამდვილად არ არის მდგრადი და მათი ცვლილება ნებისმიერ დროს შეიძლება მოხდეს. ამას კიდევ ერთხელ

სახელმწიფოსათვის უფრო მომგებიანი იქნებოდა. მაგალითად, ბენდუქიძე აცხადებს, რომ 2009 წელს ლოკალური გზების დაგებაზე გაუმართლებელი დიდი თანხები დაიხარჯა. ამ ხარჯების შემცირებით ბიუჯეტი დაახლოებით 200 მილიონ ლარს დაზოგავდა. გარდა ამისა, ბენდუქიძე მიიჩნევს, რომ საბიუჯეტო ხარჯებს სახელმწიფო აპარატში შტატების შემცირებაც მნიშვნელოვნად დაზოგავს და ეს ნაბიჯი აუცილებლად უნდა გადაიდგას.

ბიუჯეტი ბიუროკრატიულ აპარატს გაუმართლებლად ხელგამლილად რომ აფინანსებს, ამაზე ფინანსთა ყოფილი მინისტრი დავით ონოფრიშვილიც მიუთითებს. მისი აზრით, 2009 წლის ბიუჯეტი, დაგეგმვის კუთხით, კრიზისული წლის ბიუჯეტს ნამდვილად არ ჰგავდა. მთავრობამ პრიორიტეტები არასწორად განსაზღვრა და ისეთი ხარჯები დააფინანსა, რომელზეც, ეკონომიკური კრიზისის გამო, უარს თუ არ იტყოდა, სამომავლოდ მაინც უნდა გადაეღო.

ორ წელიწადში უნდა დაიხარჯოს.

აქედან 120-მილიონიან კონტრაქტს ჯერ კიდევ 2009 წელს მოენერა ხელი. ამ თანხით ქობულეთის შემოვლითი გზის მშენებლობა დაფინანსდა. კიდევ 120-მილიონიანს, რომელიც ბათუმის შემოვლითი გზის მშენებლობისთვისაა განკუთვნილი, ხელი წელს მოენერება. სხვა პროექტების „წარმოებაში ჩაშვებაც“ 2010-2011 წელს არის დაგეგმილი. და ეს მთავრობის საბიუჯეტო პოლიტიკის ნაწილია, რომლის მიხედვითაც, პოსტკრიზისულ 2010 წელს მეტი ფული უნდა ჩაიდოს ინფრასტრუქტურაში, რადგან ეს ამოძრავებს ეკონომიკას, უზრუნველყოფს დამატებით კონტრაქტებს ქართული კომპანიებისათვის, ქმნის სამუშაო ადგილებს და ა.შ.

უკვე ნათელია, რომ 2010 წელს საინვესტიციო რესურსების ნაკლებობის გადაფარვას სახელმწიფო ნაწილობრივ კვლავაც საბიუჯეტო აქტივობებით შეეცდება. ■



B | S | T The Black Sea Trust
for Regional Cooperation

A PROJECT OF THE GERMAN MARSHALL FUND

სტატია დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების German Marshal Fund-ის პროექტის The Black Sea Trust-ის მიერ. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოსატყვევებს German Marshal Fund-ის, The Black Sea Trust-ის და მისი პარტნიორების შეხედულებებს.

ჟურნალისტური გამოძიება

სახელმწიფო შენჯე ჭკვიანია

დაცვითი საქმიანობის ლიცენზიის შემოღებით სახელმწიფო კერძო სექტორში უხეშად ჩაერია. გაიზარდა დაცვის პოლიციის გავლენა კონკურენტებზე, მოქალაქეებმა კი გაძვირებული მომსახურება და ბიზნესის დაწყების გართულებული პირობები მიიღეს.

ნინო გოგუა

თუ გსურთ საკუთარი ბინის, ოფისის ან სხვა სახის ქონების დასაცავად კერძო დაცვის სამსახურს მიმართოთ, არჩევანის გაკეთება 41 ფირმის მომსახურებას შორის მოგიწევთ. 2009 წლის მარტამდე ათჯერ უფრო ფართო არჩევანი გქონდათ. მაშინ 400-ზე მეტი კერძო დაცვის კომპანია არსებობდა, რომელთა რაოდენობა რადიკალურად მას შემდეგ შემცირდა, რაც კანონმდებლობაში კერძო დაცვითი საქმიანობის ლიცენზია გაჩნდა.

ახალმა რეგულაციამ კერძო დაცვის ბიზნესის წარმოება მოქმედი და დაძვინჯები ბიზნესმენებისთვის შეუძლებელი გახადა. ამ სფეროში ბიზნესის დასაწყებად სალიცენზიო პირობები უნდა დააკმაყოფილოთ:

1) გადარიცხოთ 50 000 ლარი ბიუჯეტში – რათა შინაგან საქმეთა სამინისტრო დარწმუნდეს, რომ ბიზნესს სერიოზულად ეკიდებით.

2) ლიცენზიის აღებისას და შემდეგ ყოველწლიურად მოიძიოთ 200 000 ლარის საბანკო, ან სადაზღვევო ფასიანი გარანტია. ეს იმისთვის, რომ თუ კი კლიენტი თქვენი არაკომპეტენტურობის გამო დაზარალდა,

ტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზაზა გელაშვილი. 2007 წელს გელაშვილი დაცვის სისტემების ბაზარზე ყველაზე მსხვილი მოთამაშის – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის უფროსად მუშაობდა. მასვე ეკუთვნის პარლამენტში კერძო დაცვის ფირმების ლიცენზირების ინიციატივა. პიროვნულად იგი უფრო მაღალი სალიცენზიო მოსაკრებლის მომხრეა და თვლის, რომ 50 000 ლარი არაა ფირმებისთვის რთული გადასახდელი. 41 მოთამაშის ბაზარზე დარჩენაც, მისი აზრით, რისკებთან იყო დაკავშირებული.

ლიცენზიის შემოღებამდე თავისუფალი ბაზრის პირობებში მომხმარებელსა და კომპანიას შორის არსებული რისკები ისედაც დარეგულირებული და მინიმუმამდე იყო დაყვანილი.

კერძო დაცვის ფირმების ინტერესებშივე იყო დაცვის ობიექტების დაზღვევა, რაც მათ იმის გარანტიას აძლევდა, რომ თუ, მაგალითად, მათი მიზეზით ბინა გაიქურდებოდა, ზარალის ანაზღაურება შეძლებოდათ. უკვე დახურული ფირმების უმრავ-

ლიცენზიის მოულოდნელად შემოღების შემდეგ ბაზარზე დარჩენილ 40-ივე კომპანიას გაუთვალისწინებელი დიდი თანხის 1 თვის ვადაში მოძიება დასჭირდა. მათი გაზრდილი ხარჯების შესაბამისად, გაიზარდა კლიენტებისთვის მომსახურების ღირებულებაც. ამან, მოქალაქეების გარდა, კერძო დაცვის ფირმებიც დააზარალა. „ალიგატორის“ დირექტორის მოადგილე მიშა მელუა: ამ ცვლილებების გამო, „უკიდურესად გაძნელდა კლიენტის შენარჩუნება. მომსახურების ფასმა დანახარჯსა და მოგებას შორის მინიმალურ სხვაობას მიაღწია, ლიცენზირებული კომპანიების შემოსავალი კი არ გაზრდილა“. მიუხედავად იმისა, რომ „ალიგატორი“ გადარჩენილ ფირმებს შორისაა და ლიცენზიის დანებების შედეგად 300-ით ნაკები კონკურენტი ჰყავს, მელუას თქმით, ლიზენციას არ უნდა ჰქონდეს კერძო კომპანიების მოწესრიგების ფუნქცია. ფირმებს კანონის რეგულაციის გარეშეც ესმით, რომ მცველი თუ ნორმალურ ფორმაში არაა და ნასვამია, კლიენტს დაკარგავს.

■ კერძო დაცვითი საქმიანობის ლიცენზიის შემოღება ეწინააღმდეგება საქართველოს დეკლარირებულ პოლიტიკას თავისუფალი საბაზრო და ლიბერალური ეკონომიკისკენ.

დაცვის კომპანიას ჰქონდეს იმის ფინანსური შესაძლებლობა, რომ მას ეს ზარალი აუნაზღაუროს.

3) შინაგან საქმეთა სამინისტრო უნდა გაცნოს კერძო დაცვის ფირმის თანამშრომლების და ხელმძღვანელების ჯანმრთელობის და ნასამართლობის ცნობებს, რათა დარწმუნდეს, რომ მოქალაქეების ქონება და ჯანმრთელობა საიმედო ხელშია.

4) დაცვის ფირმას უნდა ჰქონდეს საკუთარი ლოგო, მის თანამშრომლებს უნდა ეცვათ ინდივიდუალური ფორმა და მუშაობის დროს თან იქონიონ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული მოწმობა.

„იმისათვის, რომ ყველა მეორე მათხოვარმა არ გააკეთოს ფირმა და არ ჰქონდეს პრეტენზია იმაზე, რომ ვიღაცის სიცოცხლე უზრუნველჰყოს, უნდა იყოს რაღაც გონივრული ბარიერი, რომლითაც დაცული იქნება ბაზარი“, – განმარტავს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტე-

ლესობა თავის დროზე კლიენტთან მომსახურების პირობებს ხელშეკრულებით ამონებდა.

ზაზა გელაშვილი ამბობს, რომ კერძო დაცვის კომპანიები სტაჟირების საბაბით ხანმოკლე ვადით იყვანდნენ თანამშრომლებს და ხელფასს არ უხდიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შრომითი ურთიერთობა კანონსაწინააღმდეგო არ არის, გელაშვილის აზრით, კერძო დაცვის ფირმებში ამ პრობლემის გადასაჭრელად სწორედ ლიცენზიის შემოღება იყო აუცილებელი: „როგორ ფიქრობთ, ჩვენი მოსახლეობის სწავლისა და განათლების დონე, თუნდაც იურიდიული განათლების მხრივ, ისეთი მაღალია, რომ ყველა გაჭირვებული ადამიანი, რომელიც 100 ლარისთვის მიდის სამსახურში, დამსაქმებელს ხელშეკრულებას მოსთხოვს? როცა ადამიანი სამსახურში მიდის, ხელშეკრულება რომ უნდა მოითხოვოს, ამას მთელ მოსახლეობას ვერ ასწავლი“.

კერძო დაცვის ფირმებზე ლიცენზიის ადმინისტრაციულად გამცემი ორგანო დაცვის პოლიციაა. თუმცა ის გარემოება, რომ ბაზრის ყველაზე დიდი, სახელმწიფო მოთამაშე არეგულირებს თავისივე კონკურენტებს – კერძო კომპანიებს, საქართველოს პარლამენტში მნიშვნელოვან ინტერესთა კონფლიქტად არ აღიქმება და გამართლებაც აქვს. გელაშვილის თქმით, მათ დამატებითი ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსები დაზოგეს და რეგულაცია შსს-ს უკვე არსებულ დეპარტამენტს ჩააბარეს.

ამ გადაწყვეტილებამ ისედაც პრივილეგირებული სახელმწიფო უწყების გავლენა კერძო ბაზარზე კიდევ უფრო გააღრმავა. მხოლოდ დაცვის პოლიციის მცველს აქვს იარაღის ტარების უფლება, რითაც მსხვილ და ყველაზე მნიშვნელოვან კლიენტებს (ბანკები, უცხოური ორგანიზაციები) სრულად ართმევს კერძო სექტორს; აქვს მუდმივად გარანტირებული

დიდი შემოსავალი – ყველა სახელმწიფო დაწესებულებას სახელმწიფო სტრუქტურების დაკვეთით (მუზეუმები, შენობები) დაცვის პოლიცია და არა კერძო ფირმები იცავს.

ამ გარემოებების გათვალისწინებით, კერძო დაცვითი საქმიანობის ლიცენზიის შემოღება პრინციპულად ენიშნა დეკლარირებულ პოლიტიკას თავისუფალი საბაზრო და ლიბერალური ეკონომიკისკენ. ახალი ლიცენზიის შემოღებას უკან გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევს „ახალი ეკონომიკური სკოლა – საქართველოს“ პრეზიდენტი პაატა შველიძე:

„ლიცენზირება მენარმეობის თავისუფლების შეზღუდვაა და მომხმარებლების უფლებებს ზღუდავს. ცხადია, რომ ბიზნესზე ნებისმიერი შეზღუდვის დაწესების უკან, გარკვეული ინტერესი ჯგუფი უნდა ვეძიოთ. როგორც წესი, ეს პრივილეგირებული, ხელისუფლებასთან დაახლოებული და მისი ფინანსური მხარდაჭერი ჯგუფია, რომელიც ამ გზით კონკურენტებს იშორებს და შესაძლებლობის ნაკლები დანახარჯებით

დირექტორი, რომელიც ანონიმურად დარჩენას ამჯობინებს, – თუ ლიცენზიის შემოღებამდე ბაზარი თანაბრად ჰქონდა გაყოფილი 400-მდე კერძო ფირმას და დაცვის პოლიციას, ახლა ეს სივრცე და საბაზრო მოგება ერთ საჯარო სტრუქტურასა და მხოლოდ 41 ფირმას რჩება. ყველა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ქვეყანაში, მათ შორის ბალტიისპირეთში, ამ სფეროს მთლიანად კერძო კომპანიები მოიცავს. „დაცვის პოლიცია არის საბჭოთა კავშირის გადმონაშთი, მაგრამ კარგად აწყობილი. ლიცენზიის შემოღებამდე ის ბაზრის 50%-ს ფლობდა თბილისში, რეგიონებში – 70%-ს. წლის განმავლობაში დაახლოებით 16 მილიონ ლარს იხდიდა ბიუჯეტში, კერძო ფირმები ჯამში მთლიანად მილიონ ლარზე ნაკლებს. იმდენად ჰქონდა ავსებული ბაზარი, რომ დასაქმებული 12000 ადამიანის სახლში გაშვება და ბაზრის ჩაშლა საკმაოდ დისონანსური შეიძლებოდა ყოფილიყო. კონკრეტულად რატომ არ მოხდა ამ დეპარტამენტის დემონტაჟი, არ ვიცი, და არც დავინტერესებულვარ. თუმცა ცუდს ვერაფერს ვხედავ

■ ლიცენზირებამ ისედაც პრივილეგირებული სახელმწიფო უწყების გავლენა კერძო ბაზარზე კიდევ უფრო გააღრმავა.

მიღების იმედი აქვს. მომხმარებელი შედეგად გაძვირებულ და ხარისხობრივად გაუარესებულ პროდუქციას და მომსახურებას იღებს“.


ზაზა გელაშვილი ადასტურებს, რომ ლიცენზიის შემოღების ინიციატორი სწორედ მსხვილი კერძო კომპანიები იყვნენ, რომლებსაც 50 000 ლარის გადახდა არ გასჭირვებიათ და 350-მდე სხვადასხვა მოცულობის კონკურენტი ერთ თვეში ჩამოიშორეს. სახელმწიფო ბიუჯეტში კი ამ მცირე პერიოდში 2 000 000 ლარი შევიდა.

„რაც შეიძლება ნდომებოდათ, ეს იყო ბიუჯეტის შევსება. იცოდნენ, რომ თუ ყველა ვერა, აუცილებლად გაერთიანდებოდა ფირმების ნაწილი და როგორღაც შეძლებდნენ სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდას. კონკურენტები ჩამოიშორეს იმ პოლიტიკოსებმაც, რომელთა ახლობლებსაც ან მეგობრებსაც აქვთ მსხვილი დაცვის ფირმები“, – აცხადებს ერთ-ერთი გადარჩენილი კომპანიის

იმამი, რომ არსებობს“.

სახელმწიფომ თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა, როცა თავისი ჩარევით რამდენიმე ასეული ფირმიდან ბაზარზე მხოლოდ „ლირსეულები“ დატოვა. მოქალაქისგან განსხვავებით, რომელიც 400 კერძო კომპანიის მომსახურების არჩევისას შეიძლება შეცდეს და თავისი ქონება არაპროფესიონალებს ანდოს, მთავრობის აპარატს „ეს არ დაემართება“. ამიტომაც სახელმწიფო რეგულაციის წყალობით, არჩევანი ბაზარზე ახლა გაცილებით მცირე, მაგრამ ლიცენზირებულია. შედეგად, თუ გსურთ ქონების დასაცავად კერძო დაცვის სამსახურს მიმართოთ, 2009 წლის მარტიდან მოგინევთ უფრო მეტი გადაიხადოთ, მიუხედავად იმისა, რომ თქვენი ქონება ახლაც ისევეა დაცული, როგორც აქამდეც შეიძლება ყოფილიყო. ■

გამოინათეთ შურნალი
„ლიბერალი“
და მიიღეთ იგი
გამოსვლის დღეს
(ყოველ მეორე ოთხშაბათს)
თქვენთვის სასურველ
მისამართზე



6 ნომერი (3 თვე) – 16,80 ლარი
13 ნომერი (6 თვე) – 36,40 ლარი
25 ნომერი (1 წელი) 70 ლარი

შურნალის გამოსანართალ
დაგვიკავშირდით ტელეფონზე:
23 37 31, (899) 48 62 41
ან მოგვანათეთ თქვენი საკონტაქტო
ინფორმაცია
ელ-ფოსტით: info@liberali.ge



კონფლიქტები

კავკასიური დილემა

კრემლში დღემდე არავინ იცის, რა უყონ სამხრეთ ოსეთს მომავალში.

ვალერი ძუცუვი

დეკემბერში რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმირ პუტინმა ხელი მოაწერა განკარგულებას სამხრეთი ოსეთის აღდგენისა და რეკონსტრუქციისთვის 5 მილიარდი რუბლის (160 მილიონი აშშ დოლარი) გამოყოფის შესახებ. ასეთი რამ უკვე თითქმის აღარავის აკვირვებს. სამხრეთ ოსეთის ოფიციალური პირებიც კი ხშირად რუსეთის ხელისუფლებას „ფედერალურ ხელისუფლებად“ მოიხსენიებენ. ზუსტად ისე, როგორც რუსეთის რომელიმე რეგიონის ხელმძღვანელი უწოდებს კრემლის მაღალჩინოსნებს.

მიუხედავად ამისა, რუსეთის ძალისხმევით, გასულ წელს სამხრეთი ოსეთი, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, ორმა სახელმწიფომ აღიარა: ჩავეის ვენესუელამ და სადღაც წყნარ ოკეანეში ჩაკარგულმა, პანანინა ნაურუმ,

რომლის მოსახლეობა და ტერიტორია ცხინვალისაზე მცირეა. ისმის კითხვა – რაში სჭირდება სამხრეთ ოსეთს დიპლომატიური ურთიერთობები ან ერთ-თან და ან მეორესთან? მიუხედავად ამისა, ვენესუელისა და ნაურუს „კეთილმა ნებამ“ ცხინვალისა და მოსკოვიც ძალიან გაახალისა. თუკი სამხრეთ ოსეთში ეს აღიარება პოლიტიკური სტატუსის ლეგიტიმაციისკენ გადადგმულ ნაბიჯად მოინათლა, მოსკოვისთვის იგი საკუთარი საერთაშორისო გავლენის დემონსტრაცია იყო.

ცხადია, რუსეთი ცდილობს ამ თემის ირგვლივ მუდმივად „მაღალი ტემპერატურა“ შეინარჩუნოს. თუმცა, სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის აღიარების პროცესში ძალიან შორსაც ვერ შეტოპავს. ერთი ნუთით წარმოვიდგინოთ, რომ სამხრეთი ოსეთი და აფხაზეთი

საქართველომ, აშშ-მ და ევროკავშირმა აღიარონ... ვინმეს ეჭვი ეპარება იმაში, რომ მოვლენების ამგვარი განვითარება ყველაზე მეტად სწორედ რუსეთს არ აწყობს? ცხადია, რომ ეს საფრთხეს შეუქმნის ცხინვალისა და სოხუმის უპირობო ლოიალობას მოსკოვისადმი. მაგრამ, ეს არ არის მთავარი. მთავარი საფრთხე რუსეთისთვის ისაა, რომ ეს გარემოება გარდაუვალად გაზრდის სეპარატისტულ განწყობებს ჩრდილოეთ კავკასიაში.

თუმცა, თანამედროვე მსოფლიოში, ძალთა დღევანდელი გადანაწილების ფონზე, ამგვარი სცენარი ნაკლებად მოსალოდნელია.

არც ერთი მეზობელი ქვეყანა, მათ შორის არც ბელარუსი და მისი მოქნილი მეთაური ალექსანდრ ლუკაშენკო, არ ცდილობს სამხრეთი ოსეთისა და

აფხაზეთის აღიარება-არაღიარებასთან დაკავშირებით მკაფიოდ გამოხატოს საკუთარი აზრი. ბელარუსის პარლამენტმა აიღვე ერთხელ გადადო ამ საკითხის განხილვა.

ცნობილი რუსი პოლიტოლოგი სერგეი მარკედონოვი ამბობს: „ვერც ერთი პოსტსაბჭოთა ქვეყანა რუსეთსა და ამერიკას შორის არჩევანს ვერ აკეთებს, რადგან ისინი ორი განსხვავებული ცენტრია. რუსეთი – უახლოესი ცენტრი, აშშ – გლობალური ლიდერი“. ეს მოცემულობა განსაკუთრებულად ნათლად მას მერე ჩამოყალიბდა, რაც ყოფილი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებიდან ერთადერთმა – საქართველომ მაინც გარისკა ამ არჩევანის იმდენად ცალსახად გაკეთება, რამდენადაც ეს მას შეეძლო.

ამასობაში, თავად სამხრეთი ოსეთი მოულოდნელად გემრიელი ლუქმა ხდებდა. არა, იქ არც საინვესტიციო ბუმი

ლი ამ იოლ ფულს დაეპატრონონ.

ლოგიკის მიხედვით, სამხრეთი ოსეთის ოპოზიცია, თუ ცხინვალში არა, ვლადიკავკაზში მაინც უნდა შეკრებილიყო. თუმცა, ყრილობა მოსკოვში შედგა, რადგან სწორედ იქ წყდება სამხრეთი ოსეთის მეთაურის ბედი და ეს ყველა იცის, მათ შორის ოპოზიციამაც.

და საერთოდ, რას წარმოადგენს დღეს სამხრეთი ოსეთი? საერთაშორისო-საკანონმდებლო თვალსაზრისით, ის პრაქტიკულად არც არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ ოსეთში რუსეთის ფედერაციასთან შეერთების იდეას ბევრი მომხრე ჰყავს, უახლოეს წლებში რუსეთი მის ღიად ანექსირებას ვერ გაბედავს და ვერც იმას უზრუნველყოფს, რომ ეს რესპუბლიკა მნიშვნელოვანმა საერთაშორისო მოთამაშეებმა აღიარონ. თუმცა, სამხრეთი ოსეთის 30-ათასიანი მოსახლეობის რუსულ

ობითაც მოსკოვი წარმატებულად მანიპულირებდა საქართველოთი. აგვისტოს ომის შემდეგ ეს თამაში გაძნელდა, თუმცა, როგორც ჩანს, უკეთესი სცენარის არქონის გამო, კრემლი ისევ იგივე თამაშის გაგრძელებას ცდილობს. აშკარაა, რომ პუტინის განცხადებაც ამავე რეპერტუარიდანაა.

სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის ბუნდოვანი პოლიტიკური სტატუსით არსებობა შესამჩნევ გაველენას ახდენს მთლიანად ჩრდილოეთ კავკასიაზე.

2008 წლის აგვისტოდან მოყოლებული ამ რეგიონმა დესტაბილიზაციის ყველა რეკორდი მოხსნა. ფაქტობრივად, სახელმწიფო საზღვრების ცვლილებამ ამ მშფოთვარე რეგიონში ბევრი დააფიქრა. რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის აღიარებამ ჩრდილოეთ კავკასიაში ბევრს თვალი აუხილა იმაზე, რომ მუდმივი და ხელშეუხებელი

■ სამხრეთ ოსეთში რუსეთთან შეერთების იდეას ბევრი მომხრე ჰყავს, თუმცა უახლოეს წლებში რუსეთი მის ღიად ანექსირებას ვერ გაბედავს და ვერც იმას უზრუნველყოფს, რომ ეს რესპუბლიკა მნიშვნელოვანმა საერთაშორისო მოთამაშეებმა აღიარონ.

ინყება, და არც გაზი ან ნავთობი აღმოუჩინიათ. საქმე ისაა, რომ მოსკოვი ამ პატარა ტერიტორიისთვის შეუფერებელ, საკმაოდ მნიშვნელოვან სახსრებს გამოყოფს და კიდევ მეტის გამოყოფას ჰპირდება. რუსული კვლევითი ცენტრის – „დემოსის“ წარმომადგენლის ვარვარა პახომენკოს ინფორმაციით, 2009 წლის სექტემბრისთვის სამხრეთ ოსეთში 30 ათას ადამიანზე მეტი ცხოვრობდა. სამხრეთი ოსეთის ახლანდელი ეკონომიკური წყობის პირობებში, როდესაც ტერიტორია მხოლოდ საგარეო ფინანსური შედინების ხარჯზე არსებობს, იქ მოსახლეობის ყოფნის აუცილებლობა არც არის. რაც ნაკლები ადამიანია, მით მეტი დარჩება მოსკოვიდან გამოყოფილი სახსრებიდან.

ცხინვალის ხელისუფლება მოსკოვიდან ფულს იოლად იღებს. მის მისაღებად არ არის საჭირო რეფორმების გატარება, საერთოდ არანაირი ძალისხმევა არ არის საჭირო, მხოლოდ კრემლის საჭირო კაბინეტებში თავაზიანი ვიზიტები, სახელმწიფო თანამდებობებზე საჭირო ადამიანების დანიშვნა და რიტუალური განცხადებები.

ოქტომბერში კოკოითის ოპოზიციის მიერ მოსკოვში ჩატარებული ყრილობა ცხადყოფს, რომ სხვებსაც აქვთ სურვი-

ბაზარზე თავისუფლად შეშვებამ შეიძლება სრულფასოვანი აღიარება ჩაანაცვლოს.

რუსეთის პოზიცია თავისთავად უამრავ კითხვას ბადებს. იქ პოლიტიკას ისევ პოლიტიკურ მოღვაწეთა ძალიან ვიწრო წრე წარმართავს – თითოეული ფესტი, მიმიკა, ოფიციალური განცხადება თუ ვიწრო წრეში ნათქვამი სადღეგრძელო მითქმა-მოთქმისა და მსჯელობის საბაზი ხდება. მაგალითად, ვლადიმირ პუტინის ცნობილი სადღეგრძელო ევგენი პრიმაკოვის დაბადების დღეზე, სადაც მან თითქოსდა თქვა, რომ სამხრეთი ოსეთი სულ მალე საქართველოს შეუერთდება. ეს სიტყვები სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის მიზეზი გახდა – ზოგმა თქვა, რომ შესაძლოა, რუსეთმა სამხრეთი ოსეთი საქართველოს რაღაცის სანაცვლოდ დაუთმო; სხვები კი მიიჩნევენ, რომ პუტინმა იგულისხმა, სულ მალე რუსეთი მთლიანად დაიპყრობს საქართველოსო. სინამდვილეში კი, თვით კრემლშიც ვერ გაუგიათ ბოლომდე, რა უქნან მომავალში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს.

1980-იანების ბოლოდან 2008 წლის აგვისტომდე აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი კრემლის ხელში იმ ძაფების როლს ასრულებდნენ, რომელთა მეშვე-

არაფერია, მათ შორის არც სახელმწიფო საზღვრები. უახლოეს მომავალში ჩრდილოეთ კავკასიაში სულ უფრო მკაფიოდ გამოჩნდებიან ოპორტუნისტული ძალები, რომლებსაც რუსეთი ან უნდა ებრძოლოს, როგორც დღეს, ან მათთან საერთო ენა გამოიხატოს.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ საქართველოს უბრალო სტატისტიკის როლი ერგო, რომელიც შორიდან თვალყურს ადევნებს დიდ ჩრდილოელი მეზობლის თამაშებს?

სრულიად შესაძლებელია, რომ უახლოეს წლებში საქართველოს მხრიდან სიტუაციაზე გავლენის მოხდენა მხოლოდ იმით ამოიწიროს, თუ რამდენად მოახერხებს ის თავისი სახელმწიფო ინსტიტუტების რეფორმირებას, სახელმწიფოს დემოკრატიული საფუძვლების გამყარებას და ეკონომიკური განვითარების მხრივ წინსვლას. ეს არც ისე ცოტაა, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. თანაც, სწორედ ისაა, რასაც საქართველოსგან დასავლელი პარტნიორები მოელოან, და რაც ყველაზე ნაკლებად სასიამოვნოა რუსეთის ხელისუფლებისთვის. პოლიტიკაში ყველაზე მყარი და ამავე დროს არაძალადობრივი არგუმენტი საკუთარი მაგალითის ძალაა. ■



ვლადიმირ პუტინი და ალექსანდრ ხლოპონინი

ჩრდილოეთ კავკასია

კავკასიის უფროსი

განტევების ვაცი თუ კადროვის საპირწონე – ვინ არის ჩრდილოეთ კავკასიის ახალი მენეჯერი?

სოფო ბუკია

ამერიდან დმიტრი მედვედევსა და ვლადიმირ პუტინს ჩრდილოეთ კავკასიაზე შეუძლიათ აღარ იდარდონ. ამას მათ ნაცვლად ალექსანდრ ხლოპონინი გააკეთებს, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიის ახლად შექმნილ ფედერალურ ოლქში არა მხოლოდ პრეზიდენტის, არამედ თვით პრემიერ-მინისტრის სრულუფლებიან წარმომადგენლადაც დაინიშნა.

რუსი ექსპერტების აზრით, ხლოპონინის პოსტი კრემლში იმისთვის გამოიგონეს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილ უიმედო მდგომარეობაზე პასუხი სხვას მოსთხოვონ. თუმცა არის კიდევ ერთი ვერსია – ხლოპონინმა რეგიონში ჩეჩნეთის პრეზიდენტის რამზან კადროვის მზარდი ძალაუფლება უნდა განეიტრალოს.

კრემლი რომ ჩრდილოეთ კავკასიის მერვე ფედერალურ ოლქად გაფორმებას გეგმავდა, ჯერ კიდევ ნოემბერში გახდა ცნობილი, რუსეთის პრეზიდენტის დმიტრი მედვედევის გამოსვლისას ფედერალური კრების წინაშე (მანამდე ჩრდილოეთი კავკასია სამხრეთის ფედერალურ ოლქში შედიოდა).

სიტყვიდან საქმემდე ორ თვეზე მეტი გავიდა, რაც მოწმობს, რომ კრემლში ცხარედ კამათობდნენ, ვინ დაენიშნათ

„კავკასიის უფროსად“, რა უფლებამოსილებებითა და მისიით დაეტვირთათ იგი.

საბოლოოდ არჩევანი რუსეთის სამთო-მეტალურგიული ჯგუფის „ნორიისკის ნიკელის“ ყოფილ გენერალურ დირექტორზე, კრასნოიარსკის მხარის ყოფილ გუბერნატორზე, ალექსანდრ ხლოპონინზე შეჩერდა.

ახალ ჩინოვნიკს უპრეცედენტოდ ფართო უფლებამოსილებები მიენიჭა – ხლოპონინი, ერთი მხრივ, პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენელია ჩრდილოეთ კავკასიაში და, მეორე მხრივ, ამავე ოლქში რუსეთის მთავრობის ხელმძღვანელის მოადგილე, ანუ ვიცე-პრემიერი. შესაბამისად, მასვე დაევალა რეგიონში როგორც ეკონომიკური წესრიგის დამყარება, ასევე – საკადრო პოლიტიკა და ძალოვან უწყებებთან ურთიერთობა.

მიუხედავად ამისა, ბევრი ამბობს, რომ ხლოპონინის მიმართ დღეს სამძიმრის მეტი არაფერი ითქმის. მის ამ უნიკალურ თანამდებობას „ჩასადირ“ პოსტად მიიჩნევენ. მაგალითად ისეთად, როგორც საბჭოთა დროს სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობა იყო. მინისტრს, როგორც წესი, არარეალურ ამოცანებს უსახა-

ვდნენ. დღევანდელ ჩრდილოეთ კავკასიაში ეკონომიკის აღორძინება ზუსტად მაგ რეპერტუარიდანაა.

ილუზია იმისა, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ვითარება რეალურად შეიცვლება, არავის აქვს. პირიქით, არ არის გამორიცხული, ახალი ადამიანის გამოჩენამ იგი უფრო დაძაბოს. ახალი თანამდებობა ერთმნიშვნელოვანი, საგულისხმო გზავნილია ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკების პრეზიდენტებისთვის, პირველ რიგში კი – ჩეჩნეთის რესპუბლიკის მეთაურისთვის, რომლის მზარდი ამბიცია და გავლენა, კარგა ხანია, გასცდა უშუალოდ მის დაქვემდებარებაში არსებული რესპუბლიკის ფარგლებს.

ცეილონში დაბადებული და ციმბირში სამუშაო სტაჟის მქონე ეფექტიანი მენეჯერის ერთ-ერთი თავისებურება ისიც არის, რომ ხლოპონინისთვის სრულიად უცხოა კავკასია და ისიც უცხოა კავკასიისთვის. თუმცა, ამ ფაქტს მას პლუსად უთვლიან, რადგან საკმაოდ მდიდარი, ადგილობრივი ელიტისთვის სრულიად უცნობი ხლოპონინი კლანურ კორუფციულ გარიგებებს გაემიჯნება.

ექვები, რომ კადროვი ხლოპონინს მთელი თავისი უფლებამოსილებებით ძალიან მაღე „შეჭამს“, არცთუ უსაფუძვლოა. ასეა თუ ისე, ეს იქნება ტესტი როგორც ჩეჩნეთის პრეზიდენტისთვის, ისე ხლოპონინისთვის, რომელსაც ერთ დროს პუტინის მემკვიდრედაც კი მიიჩნევდნენ.

ხისტმა კადროვმა წლების მანძილზე ბევრი მტერი შეიძინა. მან გადაიმტერა მთელი ლიბერალური საზოგადოება როგორც რუსეთში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. კრემლს არ შეიძლება არ ალერგებდეს ის, რომ პუტინის პროტყე კადროვი ძალიან ხშირად უხერხულ მდგომარეობაში აგდებს რუსეთის პრეზიდენტს.

თუ აქამდე კადროვი კავკასიის მთავარი ჩინოვნიკი იყო, დღეიდან ეს ასე აღარ იქნება და მთავარი ინტრიგაც სწორედ ესაა. აქედან გამომდინარე, ჩრდილოეთ კავკასიის ფედერალური ოლქის შექმნასა და იქ ხლოპონინის დანიშვნას რუსი ექსპერტები მედვედევის ერთ-ერთ ყველაზე ბრძნულ გადაწყვეტილებად ავასებენ.

თუმცა, ეს ნაბიჯი, შესაძლოა, უკვე ძალზე დაგვიანებული იყოს – კადროვმა ჩრდილოკავკასიაში მყარად გაიდგა ფესვები. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ჩეჩნეთის შიგნით მას ღირსეული საპირწონე გამოუჩნდეს. **ღ**

აზერბაიჯანი

აზერბაიჯანული პროპაგანდა სომხურ ენაზე

აზერბაიჯანის მედია ნაღვეს ანტისომხურმა პროპაგანდამ.

შაჰინ რზაევი, ბაქო

20 იანვარს აზერბაიჯანმა 1990 წელს მომხდარი საშინელი ტრაგედიის 20 წლისთავი აღნიშნა. იმ დღეს ბაქოში საბჭოთა ჯარები შევიდნენ. დაიღუპა 131 ბაქოელი, 700 დაშავდა.

წლებადელი სამგლოვიარო ღონისძიებები წინა წლების მსგავსი ღონისძიებებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. ამ თარიღამდე სამი დღით ადრე აზერბაიჯანის სახელმწიფო ტელევიზიამ „შავ იანვართან“ დაკავშირებული სპეციალური გადაცემების ჩვენება დაიწყო. შიგადაშიგ სამგლოვიარო მუსიკა უკრავდა. წინა წლებში მსგავსი არაფერი ყოფილა.

მართლაც, აზერბაიჯანის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში სახელმწიფო პროპაგანდის ხვედრითი წილი ბოლო დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა და „შავი იანვრის“ ახლებურად აღნიშვნა ამის ერთ-ერთი მაგალითია.

აზერბაიჯანული არხების საპროგრამო ბადე მას შემდეგ შეიცვალა, რაც 2 ოქტომბერს სამთავრობო გაზეთ „აზერბაიჯანში“ პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა რამიზ მეხტიევმა ვრცელი სტატია გამოაქვეყნა.

მეხტიევი სხვადასხვა ტელეარხებს გასართობი პროგრამების სიმრავლის გამო აკრიტიკებდა და მოუწოდებდა მეტი ადგილი დაეთმოთ პატრიოტული გადაცემებისთვის.

მეხტიევის პირით, როგორც წესი, თავად აზერბაიჯანის პრეზიდენტი ღალადებს. ასე რომ, ტელეკომპანიებმა ეს პირდაპირ მითითებად აღიქვეს. ამის თქმა იყო და, ნაციონალურ ტელეარხებზე პროპაგანდისტული, მათ შორის, ანტისომხური გადაცემები გაიმოჩნდა.

მანამდე შეურიგებელი ანტისომხური პოზიციით მხოლოდ ერთი კერძო არხი – ATV გამოირჩეოდა. მაგალითად, ამ არხზე ახალი ამბების ყველა გადაცემა შემდეგი სიტყვებით იწყება, – „სომხეთი განაგრძობს აგრესიას აზერბაიჯანის წინააღმდეგ“. აქ მუდმივად ატრიალებენ ცნობილი რეპ-ჯგუფის

„დეიირმანის“ ანტისომხური შინაარსის კლიპს. როცა აზერბაიჯანელმა მოჭადრაკემ თემურ რაჯაბოვმა სომეხ დიდოსტატ ლევონ არონიანს მოუგო, ამ სპორტული მოვლენისგან უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის ახალი ამბავი შექმნეს და საინფორმაციო გამოშვება ამ სიახლით დაიწყო. ხოლო, როცა რაჯაბოვმა არონიანთან წააგო, ამის შესახებ ინფორმაცია არც კი გასულა.

თუ ადრე მსგავსი მიდგომა მხოლოდ ATV-ს ჰქონდა, დღეს უკვე ყველა არხი ასე იქცევა.



მომიტინგები, ბაქო

■ მიმდინარე პროპაგანდისტული კამპანიის ფონზე აზერბაიჯანული საზოგადოებისთვის უკიდურესად რთული იქნება რაიმე დათმოს ყარაბაღის საკითხში.

აზერბაიჯანმა რომ პროპაგანდისტული ომის გაჩაღება გადაწყვიტა, ამას ახალი ტელეარხი – ATV International-ის გახსნაც მოწმობს, რომელიც თანამგზავრის მეშვეობით მაუწყებლობს. ფორმალურად, არხი კერძოა, მაგრამ არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ მისი მფარველი და სპონსორი აზერბაიჯანის დიასპორასთან ურთიერთობის მინისტრი, საზღვარგარეთ მცხოვრები ნაზიმ იბრაგიმოვია. არხი სპარსულ, ინგლისურ და რუსულ ენაზე მაუწყებლობს, არის საინფორმაციო გამოშვება სომხურ ენაზეც. მისი ხელმძღვანელობა არ მალავს, რომ, პირველ რიგში, გადაცემები სომხურ აუდიტორიაზეა გათვლილი. „ახალი ამბები სომხურ ენაზე ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, – განაცხადა არხის ახალი ამბების განყოფილების გენერალურმა დირექტორმა ვაგიფ აი-დინოგლუმ, – ჩვენი მიზანია სომხური პუბლიკისთვის აზერბაიჯანის შესახებ სწორი ინფორმაციის მიწოდება“.

საინტერესოა, რომ ეს პროპაგანდისტული აქტივობები წინააღმდეგობაში მოდის ყარაბაღის სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესის გააქტიურებასთან. გასულ წელს ამ მოლაპარაკებებზე მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული. არ არის გამორიცხული, რომ 25 იანვარს სოჭში დაგეგმილ აზერბაიჯანის, სომხეთისა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრაზე სერიოზული გადწყვეტილებები მიიღონ.

ასეთ შემთხვევაში, ორივე ქვეყნის საზოგადოება გარდაუვალი დათმობებისთვის უნდა მოემზადოს, ამის გაკეთება კი მიმდინარე პროპაგანდისტული კამპანიის ფონზე უკიდურესად რთული იქნება.

ან ყარაბაღის სამშვიდობო პროცესის გააქტიურება მხოლოდ ბლეფია, რომელშიც აზერბაიჯანი თურქეთისა და მინსკის ჯგუფის ზენოლის შედეგად მონაწილეობს და, რეალურად, არანაირ დათმობაზე წასვლას არ აპირებს. ■



საზოგადოება

ჯარისკაცები საკლასო ოთახში

საქართველოს ხელისუფლება მტრისგან სამშობლოს დაცვის ცოდნას სკოლის მოსწავლეებსაც მოსთხოვს.

რუსუდან ფანოზიშვილი, თამარ ბაბუაძე



1 სექტემბრის „ცოცხალი ჯაჭვის“ მონაწილეები, რუსთაველის გამზირი, თბილისი 2008

განათლების მინისტრი დიმიტრი შაშკინი, პრეზიდენტის პრეს-სპიკერი მანანა მანჯგალაძე, თავდაცვის მინისტრი ბაჩო ახალაია ერთმანეთს ეცილებოდნენ იმის ახსნაში, თუ რა იგულისხმა პრეზიდენტმა, როცა აჭარელ პედაგოგებთან და მოსწავლეებთან შეხვედრისას განათლების სისტემაში დაგეგმილი მნიშვნელოვანი ცვლილებები პირდაპირ ეთერში სრულიად საპოზიტიურად და ემოციურად გააცნო საზოგადოებას.

„ღმერთმა არ დაგვაჭირვოს, მაგრამ ქართველებს უნდა შეეძლოთ თავისი სოფლის დაცვა მაინც. მარტო 20-30-ათასიანი ჯარისკაცი ქვეყანას ვერ დაიცავს 5-მილიონიან საქართველოში. ეს ამ 5 მილიონის საქმეა, ისევე, როგორც საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების საქმე“, – სკოლებში სამხედრო-პატრიოტულ სწავლებასთან დაკავშირებით პრეზიდენტის ეს სიტყვები მანანა მანჯგალაძემ ასე განმარტა:

„ეს იქნება სკოლებში სამხედრო სწავლების სრულიად ახლებური მეთოდი და მიდგომა. სამხედრო-პატრიოტული აღზრდა გულისხმობს სამოქალაქო თავდაცვის სწავლებას, მხედრული სუ-

ცვის გაკვეთილები იგულისხმება:

„როცა 2008 წელს საქართველოს ტერიტორია იზომებოდა და კასეტური ბომბები ჩამოიყარა ქვეყანაში, არც ერთ სახელმძღვანელოში არ ეწერა, რომ მათ ხელი არ უნდა ახლო, ბავშვმა კი ეს უნდა იცოდეს. ამას გულისხმობდა პრეზიდენტი“, – განაცხადა დიმიტრი შაშკინმა.

მინისტრის ვრცელ მონოლოგში, სადაც მან ისაუბრა სისტემაში დაგეგმილ სიახლეებზე – დანყებულ სკოლის როლის გაძლიერებით, დამთავრებული მოსწავლის ზურგჩანთის წონით, მხოლოდ 4 წუთი დაეთმო ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანს, ახალი დისციპლინის – სამხედრო-პატრიოტული აღზრდის შემოღებას, რომლის არსი მრავალრიცხოვანმა განმარტებებმა არათუ გამოკვეთა, არამედ კიდევ უფრო ბუნდოვანი გახდა.

გაუგებარია მომავალი დისციპლინის ზუსტი დეფინიცია, რომელიც „მხედრული სულისკვეთების გაღვივებიდან“ სამოქალაქო თავდაცვის საფუძვლებამდე მერყეობს. არავის აქვს პასუხი ელემენტარულ კითხვებზე. მაგალითად, რომელი კლასიდან დაიწყება მოსწავლეთა სამხედრო-

შაშკინი პატრიოტიზმის სკოლებში სწავლების წარმატებულ მაგალითად ისრაელს ასახელებს, ქვეყნის, სადაც რამდენიმე წუთით მიტოვებული ზურგჩანთაც კი სამხედრო განგაშის მიზეზი ხდება.

„ისრაელი არის ქვეყანა, რომელიც იმყოფება მუდმივი სტრესის ქვეშ. მუდმივად აქვს პრობლემები მეზობლებთან, ისევე, როგორც ჩვენ. იქ ამას ასწავლიან. ბავშვმა კარგად იცის, რა უნდა გააკეთოს, თუ მის ქვეყანას ემუქრება საფრთხე და იცის, როგორ დაიცვას თავისი სოფელი ან ქალაქი, თავისი სახლი“.

ყოფილი თავდაცვის მინისტრი გიორგი ბარამიძე, რომელსაც დღეს საქართველოს ევროპულ სტრუქტურებთან დაახლოება ევალება, მიიჩნევს, რომ „საზოგადოებაში ის სულისკვეთება არაა, როგორც ოკუპირებულ ქვეყანაში უნდა იყოს“.

„ქვეყანა უნდა გრძობდეს, რომ მას დიდი ამოცანები აქვს გადასაწყვეტი. მეტი მობილიზება, შემართება მართებს. მეტი პატრიოტიზმი უნდა ჩანდეს ჩვენ ყოველდღიურობაში. აი, რომ გავიაროთ ქუჩაში, რესტორანში, საჯარო დაწესებულებაში, ეს ნამდვილად არ ჩანს“, – აცხადებს გიორგი ბარამიძე.

■ პრეზენტაციაზე მისულ ჟურნალისტებს ღონისძიების დაწყებამდე დაურიგდათ პრეს-რელიზები, სადაც აღნიშნული იყო, რომ პრეზენტაციამ წარმატებით ჩაიარა და მოწვეულ სტუმრებს სიახლეები მოეწონათ.

ლისკვეთების გაღვივებას, რაც ქართველებსა და საქართველოში ისტორიულად მცხოვრებ ხალხს ყოველთვის ბუნებაში ჰქონდათ.

ბაჩო ახალაია – ასე: „მაღალ კლასებს აქვთ საშუალება, შეისწავლონ სამხედრო დისციპლინის ძირითადი პრინციპები. ექნებათ საშუალება, შეისწავლონ ძირითადი უნარ-ჩვევები, ძირითადი შეიარაღებული ძალების სტრუქტურა და ასევე პრაქტიკულად დაეუფლონ ცალკეული სახის იარაღის გამოყენებას. ეს ემსახურება ძირითადად იმას, რომ ახალგაზრდებს ჰქონდეთ სრული წარმოდგენა, თუ რას ნიშნავს სახელმწიფოსთვის შეიარაღებული ძალები“.

განათლების მინისტრი დიმიტრი შაშკინი კი პედაგოგებსა და მოსწავლეებს არწმუნებდა, რომ სამხედრო-პატრიოტიზმში სამოქალაქო თავდა-

პატრიოტული აღზრდა და სემესტრში რამდენი საათი ეყოფა ამ საქმეს, შემომხდება თუ არა თადარიგის ოფიცრების პედაგოგიური უნარები, ვინ შეადგენს და რა ჩაინერება სახელმძღვანელოში.

ამ მნიშვნელოვან კითხვებს განათლების სამინისტროს ექსპერტთა ჯგუფი რამდენიმე თვეში გასცემს პასუხს. ამ საგნის სწავლება კი თბილისის რამდენიმე სკოლაში უკვე სექტემბრიდან დაიწყება.

მანამდე კი იდეის ავტორებს საზოგადოების ნაწილისთვის იმის ახსნა უნებდა, თუ რატომ გახდა საჭირო სკოლის მოსწავლეების სამხედრო-პატრიოტულად აღზრდა და რა კონკრეტულ შედეგს ელიან ამ დისციპლინის სასკოლო პროგრამაში წარმატებით დანერგვის შემთხვევაში.

განათლების მინისტრი დიმიტრი

გადაწყვეტილია, რომ საჯარო სკოლებში ამ სულისკვეთების გაღვივებას თადარიგის ოფიცრები შეეცდებიან. რაც შეეხება პედაგოგებს, მათ ნაწილს პატრიოტიზმის კონკრეტულ საგნად სწავლება აბნევს. თუმცა, მასწავლებლების ზედმეტი კითხვები სამინისტროს გეგმებში გათვალისწინებული არ არის. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ დიმიტრი შაშკინის მიერ გამართულ პრეზენტაციაზე მისულ ჟურნალისტებს ღონისძიების დაწყებამდე დაურიგდათ პრეს-რელიზები, სადაც აღნიშნული იყო, რომ პრეზენტაციაში წარმატებით ჩაიარა და მოწვეულ სტუმრებს სიახლეები მოეწონათ. პრეს-რელიზი წინასწარ იუწყებოდა, რომ „შეხვედრამ, რომელიც კითხვა-პასუხის რეჟიმში გაიმართა, მოსწავლეების, მასწავლებლების და დირექტორების დიდი დაინტერესება

გამოიწვია და, როგორც მათ აღნიშნეს, რეფორმების განხორციელების პროცესში ისინიც აქტიურად ჩაერთვებიან“.

წინასწარმეტყველება გამართლდა. შეხვედრამ მკაცრად გრაფიკის მიხედვით ჩაიარა. მასწავლებლებმა მინისტრს მადლობა გადაუხადეს მნიშვნელოვანი და დროული ცვლილებებისთვის.

ლევან გიგინეიშვილი ამერიკულ აკადემიაში ქართულ ლიტერატურას ასწავლის. ეს ის სკოლაა, რომელზე სწორებასაც შაშკინი საქართველოს ყველა საჯარო სკოლას ურჩევს. „პატრიოტიზმს ბავშვებს, ასე ვთქვათ, ინექციით ვერ შეუყვან, – აცხადებს გიგინეიშვილი, – წინათ ჩვენც ვასწავლიდით პატრიოტიზმს ცალკე საგნად, მაგრამ არ გამართლა. მივხვდით, რომ ეს ხელოვნური იყო, რადგან ბავშვები ხელოვნურობას მაშინვე გრძნობენ და გული უცრუვდებათ“.

მზია ბოლქვაძე მე-20 საჯარო სკოლის პედაგოგია და ამბობს, რომ უკვე წლებია, მოსწავლეებს პატრიოტიზმს ასწავლის, ოღონდ ამას ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილე-

ზეზის გამო უფრო ხის. სხვებს კი ბიუროკრატიული ბარიერების გადალახვა და სამინისტროსთან ყოველი ინტერვიუს შეთანხმება უწევთ – ასეთია ახალი წესი, რომელიც სასჯელალსრულების ყოფილმა მინისტრმა განათლების უწყებაში დანერგა.

სამოქალაქო უსაფრთხოების საფუძვლები ქართულ სკოლებში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგაც ისწავლებოდა და მისი პროგრამიდან ამოღება პრეზიდენტ სააკაშვილს დღეს განათლების რეფორმის მორიგ შეცდომად მიაჩნია.

„აუცილებლად უნდა შემოვიტანოთ სამხედრო-პატრიოტული აღზრდა სერიოზულად. ჩვენ ეს ნაჩქარევად გავუქმეთ“, – თქვა მან აჭარელ პედაგოგებთან შეხვედრისას.

„დღეს ბევრი რამ შეიცვალა. ქვეყანა ოკუპირებულია. ფიქრობთ, რომ ეს არ არის საკმარისად მნიშვნელოვანი ფაქტორი განწყობების შესაცვლელად? თუ ადრე არ გვინდოდა, რომ ეს ცუდ ტონად აღქმულიყო, ახლა გვინდა, რომ ეს სწორედ ასე გაიგონ. საქართველო ყველაფრისთვის უნდა იყოს მზად“, – აცხადებს თავდაცვის ყოფილი მინისტრი გიორგი ბარამიძე.

ტროსთან ერთობლივი პროგრამით შექმნილი მთავარი მოსწავლეები და სტუდენტები“.

საბჭოთა კავშირის დროინდელ სკოლებში სამხედრო განათლებას საკმაოდ ეთმობოდა. მართალია, საგნის სახელწოდებაში სიტყვა „პატრიოტული“ არ ფიგურირებდა, მაგრამ იმდროინდელი მოსწავლეები იხსენებენ, რომ ავტომატის დაშლა-აწყობასთან ერთად მათ იმასაც ასწავლიდნენ, რომ საბჭოთა კავშირი უძლეველი სახელმწიფოა, რომელსაც დაუძინებელი მტერი – ამერიკა ჰყავს და თითოეული საბჭოთა მოქალაქე მისი აგრესიის მოსაგერიებლად მზად უნდა იყოს. თითოეულ საბჭოთა მოქალაქეს ბავშვობიდანვე ამ იდეოლოგიით ზრდიდნენ.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი სიმონ ჯანაშია ამბობს, რომ „ნებისმიერი პოლიტიკური იდეოლოგია, თუნდაც მას მთელი ქვეყანა ერთსულოვნად იზიარებდეს, მოსწავლეებს თავისუფალი მსჯელობისთვის უნდა შევთავაზოთ, და არა იმისთვის, რომ იგი უპირობოდ მიიღონ“.

ნებისმიერი ტიპის პოლიტიკური სწავლება საქართველოში კანონით აკრძალულია. ზოგადი განათლების

■ „ქვეყანა უნდა გრძნობდეს, რომ მას დიდი ამოცანები აქვს გადასაწყვეტი.

მეტი მობილიზება, შემართება მართებს. მეტი პატრიოტიზმი უნდა ჩანდეს ჩვენ ყოველდღიურობაში“ – გიორგი ბარამიძე.

ბზე აკეთებს. მისი აზრით, სამხედრო-პატრიოტიზმის ცალკე დისციპლინად დანერგვა, შესაძლოა, საშიში აღმოჩნდეს. „მეშინია, რომ ბავშვებს აგრესია არ გაუძლიერდეთ. მტრის ხატის შექმნაზე არ დაიწყონ ფიქრი“.

თუმცა, მსგავსი არაფერი თქმულა განათლების სამინისტროში ორგანიზებულ პრეზენტაციაზე, რომლის მიზანიც, წესით, მასწავლებლებისთვის სიახლეების გაცნობასთან ერთად, მათი აზრისა და შენიშვნების მოსმენაც უნდა ყოფილიყო.

პედაგოგების დიდ ნაწილს შეკითხვები გულწრფელად არ აქვს, რადგან ისინიც იმ საზოგადოებას წარმოადგენენ, რომელიც ძალაუფლებურად ყოველდღიურად იკვებება პატრიოტული პროპაგანდით და იზიარებს მას. ნაწილი კრიტიკული შენიშვნების საჯაროდ გამოთქმას სხვადასხვა მი-

ქართულ სკოლებში სამხედრო-პატრიოტიზმის შემოღების საჭიროებაზე აგვისტოს ომის შემდეგ მეტი სიმწვავეთ ალაპარაკდნენ. მას შემდეგ სამხედრო სწავლებაში ბევრი სხვა ცვლილებაც მოხდა – სააკაშვილის ხელისუფლებამ 2009 წელს აღადგინა მანამდე მის მიერვე დახურული კადეტთა კორპუსი, ხოლო თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში სექცესტრირებული სასწავლო პროგრამა კვლავ გააფართოვა.

თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ დოკუმენტში, სახელწოდებით „ეროვნული გვარდიის ხედვა“, რომელიც გასული წლის ნოემბერში გამოქვეყნდა, აღნიშნულია, რომ „მნიშვნელოვანია ეფექტური სამოქალაქო სისტემის დანერგვა სკოლებსა და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში, სადაც გვარდიის სამხედრო მოსამსახურეებს განათლების სამინისტ-

ეროვნულ მიზნებში კი წერია: „სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, რომ სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები, და მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა“.

პრეზიდენტისა და მისი გუნდის წევრების ბუნდოვანი და დამბნეველი განმარტებები ბადებს ეჭვს, რომ ახალი ინიციატივა განათლების ეროვნულ მიზნებს თვისობრივად ეწინააღმდეგება. სამშობლოს სიყვარულსა და პატრიოტიზმის ბურუსში გახვეული სამოქალაქო უსაფრთხოების იდეა ამ ეტაპზე სკოლებში ხელისუფლების პოლიტიკური იდეოლოგიისა და მილიტარისტული პროპაგანდის დანერგვის მცდელობას უფრო ჰგავს. ■

გამოსაშვები გამოსდები, როგორც განათლების ხარისხის მართვის შევადგენელი ელემენტი



განათლებისა და მეცნიერების ყოფილი მინისტრი სისტემაში დაგეგმილ ცვლილებათა პაკეტს აფასებს.

ალექსანდრე (ახა) ლომაია, საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი 2004 - 2007

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გამოაცხადა, რომ საჯარო სკოლებში შემოღებული იქნება გამოსაშვები გამოცდები („განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინაშე არსებული გამოწვევები 2010-2011“ www.mes.gov.ge). თავისი ზოგადი მიზნებით, ახალი ინიციატივა განათლების რეფორმის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს. გამოცდებისთვის სწორი პარამეტრების განსაზღვრა, როგორცაა დრო, ადგილი, მასშტაბი, ფუნქცია და ადმინისტრირება, საკვანძო იქნება მათი წარმატებისთვის.

ქვემოთ განვიხილოთ ახალი ინიციატივის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები, და გამოვთქვათ რამდენიმე მოსაზრება პროცესის დაგეგმვის შესახებ.

რეფორმის კონცეფცია იმთავითვე ითვალისწინებდა სისტემის იმგვარ ევოლუციას, რომელიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აბიტურიენტთა ჩარიცხვის პროცესში სკოლების როლს გაზრდიდა. ჩარიცხვის პერსპექტიული სქემა შემდეგნაირად გამოიყურებოდა: ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგი + ჯამური სასკოლო შეფასება (რომელიც, შესაძლოა, გამოსაშვებ გამოცდებსაც მოიცავდეს) + დამატებითი ცნობები აბიტურიენტის აკადემიური ან სამოქალაქო ღირსებების შესახებ (კონკურსების შედეგები, სპორტული მიღწევები, საქველმოქმედო საქმიანობა და ა.შ.) + გასაუბრება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

გამოსაშვები გამოცდები, როგორც ვხედავთ, შესაძლებელია, გახდეს ამ ხედვის განხორციელების საფეხური. ამისათვის საჭიროა მათი ეტაპობრივი ჩატარება, სკოლაში შეფასებისათვის საჭირო რესურსების თანმიმდევრული განვითარებით, და მთლიანობაში პროცესში სკოლის აქტიური მონაწილეობით. ამასთან ერთად, გამო-

საშვებ გამოცდებს უნდა ჰქონდეთ უნიკალური, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ფუნქცია.

ინიციატივის მიზნები

სამინისტროს დოკუმენტი ასახელებს ახალი ინიციატივის ორ ძირითად მიზანს: „სკოლის ატესტატის პრე-

თლაც მივიღოთ დადებითი ეფექტი. თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში გამოცდების რაოდენობასა და განათლების ხარისხს შორის სანდო კორელაცია დადგენილი არ არის. ამავე დროს, არსებობს რისკი იმისა, რომ გამოცდების რაოდენობის მკვეთრ ზრდას, შესაძლოა, მოყვეს მოსწავლეთა



ფოტო: ლაშვილი ალექს

ტიჟის ამაღლება“ და „მოსწავლეთა დასწრების გაუმჯობესება“.

„სკოლის ატესტატის პრესტიჟის ამაღლება“

ამ მიზნის გააზრებისას მნიშვნელოვანია ადეკვატური მოლოდინების ჩამოყალიბება. განვიხილოთ ორი ერთმანეთთან დაკავშირებული მოლოდინი, რომელზეც ხშირად საუბრობენ. პირველი – გამოცდის დაწესების გამო, მოსწავლეები უკეთ ისწავლიან და, მეორე – რაც მეტია გამოცდა, უკეთესია.

სისტემის ზოგიერთ ნაწილებში და გარკვეული დროით, შესაძლოა, მარ-

■ გამოცდების რაოდენობასა და განათლების ხარისხს შორის სანდო კორელაცია დადგენილი არ არის. ამავე დროს, არსებობს რისკი იმისა, რომ გამოცდების რაოდენობის მკვეთრ ზრდას, შესაძლოა, მოჰყვეს მოსწავლეთა ჩართულობის შემცირება, რაც ობიექტურად უარყოფითი მოვლენაა.

ჩართულობის შემცირება, რაც ობიექტურად უარყოფითი მოვლენაა, და ამასთან ერთად ენინაალმდებება ინიციატივის მეორე მიზანს.

სკოლის პრესტიჟი უპირატესად დამოკიდებულია მოსწავლისთვის მიწოდებულ ცოდნაზე, ამ ცოდნის გამოყენების უნარსა და ღირებულებებზე. განათლების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება, რაც განათლების სისტემის უნივერსალურ ამოცანას წარმოადგენს, მიიღწევა მთელ საგანმანათლებლო ციკლზე ეფექტური კონტროლის დაწესებით. განათლების ხარისხის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს – მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამებს სამინისტროს დოკუმენტი ჯეროვან ყურადღებას უთმობს. ხარისხის მართვის სისტემაში საკუთარი ადგილი უნდა დაიკავოს აგრეთვე სკოლების აკრედიტაციამ. მხოლოდ ერთჯერადი აქტით – თუნდაც მაღალ პროფესიულ დონეზე ჩატარებული გამოსაშვები გამოცდებით – შეუძლებელია 12-წლიანი საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესების მოლოდინი გვექონდეს.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, მოსწავლის კომპეტენციები ფასდება მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში. მოსწავლემ, მშობელმა, მასწავლებელმა და ადმინისტრაციამ იციან, რომ მოსწავლის ჯამური შეფასება არის მათი ერთობლივი მრავალწლიანი შრომის შედეგი. გამოცდებმა შეიძლება ხელი შეუწყოს სკოლის პრესტიჟის ამაღლებას. ამისთვის ისინი უნდა „ჩავაშენოთ“ ზოგადი განათლების ხარისხის მართვის სისტემაში, როგორც მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტი.

„მოსწავლეთა დასწრების ბაზუმჯომჯანაბა“

ცნობილია, რომ მაღალ კლასებში დასწრება უფრო დაბალია, ვიდრე დაბალ კლასებში. ამავე დროს, იმისთვის, რომ გარკვეული დროის შემდეგ გავიგოთ, თუ როგორ შეიცვალა ვითარება, ზუსტად უნდა დავადგინოთ ამ ფენომენის სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და გეოგრაფიული ძრავები და შევისწავლოთ მისი გამომწვევი მიზეზები.

მოსწავლეთა დაბალ დასწრებაზე საუბრისას ხშირად გავიგებთ შემდეგ ახსნას: მოსწავლე მხოლოდ იმ

საგნებით ინტერესდება, რომლებსაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აბარებს. ამ საგნებში ის კერძო რეპეტიტორთან ემზადება, ხოლო დანარჩენ საგნებს აცდენს. თუ ეს ასეა, ჩნდება ორი კითხვა: 1. გამოსაშვები გამოცდები როგორ შეცვლის ამ რეალობას და 2. როგორ იმოქმედებს გამოცდები იმ მოსწავლეებზე, რომლებიც არ აპირებენ სწავლის გაგრძელებას?

„დასწრება, როგორც მოსწავლის შეფასების სავალდებულო კომპონენტი“, აღნიშნავს სამინისტროს დოკუმენტი. ეს მოთხოვნა სრულიად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, რომელიც ავალდებულებს სკოლებს, შეფასების სქემაში გაითვალისწინონ მოსწავლის დასწრების მონაცემები. ყველა წარმატებულ საგანმანათლებლო სისტემაში, საპატიო მიზეზის გარეშე, გაკვეთილზე დაგვიანება ან გაცდენა მოსწავლისთვის მიმე შედეგებით მთავრდება – ნიშნის დაკლებიდან იმავე კლასში დატოვებამდე.

მაშასადამე, მოსწავლეთა დასწრების მაჩვენებლის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება შესაძლებელია ორი ძირითადი ფაქტორის შეხამებით – განათლების ხარისხის გაუმჯობესებითა და ადმინისტრირების გამკაცრებით. მოსწავლეს უნდა მოეთხოვოს დასწრება, პედაგოგს დასწრების მიუკერძოებელი აღწუსება, სკოლას კონტროლის სის-

ითავსებს ერთიანი ეროვნული გამოცდების ფუნქციას. გამოსაშვები და მისაღები გამოცდები სხვადასხვა ცოდნა-სა და უნარებს ამონებს. გამოსაშვები გამოცდა არის მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც ნაწილი სკოლის ძალისხმევისა, დაადგინოს თუ რამდენად შეესაბამება კურსდამთავრებულის კომპეტენცია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. მისაღები გამოცდა კი მიზნად ისახავს იმის ამოცნობას, თუ რამდენად არის მზად აბიტურიენტი ახალი, უფრო რთული ცოდნის მისაღებად. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენ ვსაუბრობთ გამოსაშვებ გამოცდებზე, რომელიც არის სასკოლო შეფასების ორგანული ნაწილი, და არა სკოლის გასასვლელში დადგმული შლაგბაუმი.

2. ერთობლივი ადმინისტრირება – გამოსაშვებ გამოცდებს ერთობლივად ატარებენ სკოლები და გამოცდების ეროვნული ცენტრი. სკოლები ჩართულები არიან, როგორც გამოცდების მომზადებაში, აგრეთვე მათ ადმინისტრირებაში. ამგვარი მიდგომა შესაძლებლობას მოგვცემს, სკოლებს განვუვითაროთ შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგია, რაც ასევე ხელს შეუწყობს ინიციატივის პირველი მიზნის მიღწევას – სკოლის პრესტიჟის ზრდას.

3. ეტაპობრივი მიდგომა – თავდაპირველად, 2011 წლიდან გამოცდები

■ ხარისხის მართვის სისტემაში საკუთარი ადგილი უნდა დაიკავოს სკოლების აკრედიტაციამ. მხოლოდ ერთჯერადი აქტით შეუძლებელია 12-წლიანი საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესების მოლოდინი გვექონდეს.

ტემის გამართული მუშაობა, ხოლო რესურს-ცენტრს – მონიტორინგი. 2008-2009 წლებში ადმინისტრირების გამკაცრების მიმართულებით რამდენიმე წარმატებული ნაბიჯი გადაიდგა, და ეს მიმართულება უნდა გაძლიერდეს.

პროცესის დაბეჭდვა

საგამოცდო ინიციატივის მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების შეფარდების ანალიზს შემდეგ საგამოცდო პარამეტრებამდე მივყავართ.

1. ფუნქციითა გამოიწვევა – გამოსაშვები გამოცდა თავისთავადია, ის არ

ტარდება რომელიმე ერთ ქალაქში, სადაც სკოლების რაოდენობა 5-6-ს არ აღემატება, წარმატებული გამოცდილების შემდგომი გავრცელებით.

პილოტირება შესაძლებლობას მოგვცემს, უკეთ დავაკვირდეთ პროცესს, გავანალიზოთ მიღებული შედეგები და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტივები შევიტანოთ ამ ახალ, განათლების ხარისხის გაუმჯობესების პოტენციალის მქონე ინიციატივაში. □

სტატია დაიწერა „ლიბერალის“ რედაქციის თხოვნით

ქართველი ოლიგარქის „ჯილა“



ერთდროულად ქველმოქმედმა და ოლიგარქმა ბიძინა ივანიშვილმა თბილისს თავზე უსახური და მდარე შენობა დაადგა, რაც, უკანონობის გარდა, უძველესი ქალაქის თვითმყოფადობის შელახვაა.

ნესტან თათარაშვილი, არქიტექტორ-რესტავრატორი

მნიშვნელობა არ აქვს, ეს დაზიანებული მცხეთის ძეგლები და ბაგრატიის ტაძარია, თუ აბანოთუბანში ლამის მთელი უბნისხელა სასტუმრო; ბათუმის „შერატონი“ თუ თბილისის „რედისონი“; პრეზიდენტის სასახლე თუ სიღნაღის „რატუშა“; ან ქუთაისში მშენებარე, ლომების ქანდაკებებით დახუნძლული ოპერა – ეს ყველაფერი მხოლოდ უკანონობისა და არქიტექტურის ტოტალური პოლიტიზირების შედეგია. არა მარტო გავლენიანი და მდიდარი ადამიანები, არამედ მერიისა და ხელისუფლების წარმომადგენლებიც კანონს დღემდე შეუნიღბავად არღვევენ.

კანონდარღვევების ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი კოჯრის გზის გვერდით, სოლოლაკის ქედზე შუშის უზარმაზარი შენობაა. ის რუსეთში მოღვაწე ოლიგარქის, ბიძინა ივანიშვილის საკუთრებაა.

კოჯრის გზის მიმდებარედ, სოლოლაკის ქედის განაშენიანების გეგმაზე მოსკოვის საპროექტო ინსტიტუტებში ჯერ კიდევ XX ს-ის 80-იანი წლებიდან ფიქრობდნენ. შესაბამისი პროექტებიც არსებობდა. ერთი მათგანი თავად მაქვს ნანახი „თბილქალაქპროექტში“. 90-იანი წლებიდან ამ ადგილის ათვისება ივანიშვილის ფულით დაიწყო, თუმცა, თუ მშენებლობის არეალს შევაფასებთ, დასრულებაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა.

ის ფაქტი, რომ ივანიშვილისთვის 1996 წელს გადაცემული ტერიტორია თბილისის ისტორიულ ნაწილს, ხოლო კოჯრის გზა მიმდებარე ფერდობებით ლანდშაფტის დაცვის ზონას ეკუთვნის – არავინ გაითვალისწინა. იმ დროს კორუმპირებული საქმიანი წრეებისთვის ძველ უბნებში უკანონო და შეუსაბამო მშენებლობების წამოწყება იოლი იყო.

1996 წლის 14 მაისის თბილისის მერიის №08.70.554. განკარგულებით, „საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოებას“ (ანუ ბიძინა ივანიშვილს) მთანმინდის რაიონში, სოლოლაკის



ბიძინა ივანიშვილის საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა, იანვარი 2010

ფოტო: თემო ბაპიაშვილი

■ ივანიშვილმა, ერთი მხრივ, ქველმოქმედება დაიწყო თავის სამშობლოში, მეორე მხრივ კი, საკუთარი ქვეყნის დედაქალაქს, მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესვლის კანდიდატ ქალაქს თავზე ჯილასავით დაადგა უსახური და მდარე არქიტექტურა, რაც უკანონობის გარდა, თბილისის თვითმყოფადობის გაუფასურება და არად ჩაგდებაა.

ხეივანში, სასტუმროსა და ბიზნეს-ცენტრის ასაშენებლად 4750კვმ. ფართობი გამოეყო. როცა საქართველოს მთავარი საქმშენისსპექციის უფროსის თანამდებობაზე ყოფნისას საქმის შესწავლა დაიწყო, მაშინდელი დოკუმენტებიც შევამოწმეთ და ივანიშვილის სახელი არსად ფიგურირებდა, სამაგიეროდ თავიდანვე ცნობილი იყო პროექტის განმახორციელებელი შპს „ინტერსერვისი“, რომლის მისამართიც ბანკი „ქართუს“ მისამართს ემთხვეოდა. ისე კი, „ინტერსერვისის“ თანამშრომლები ჩვენთან საუბრებში არც არასდროს მალავდნენ, რომ ეს მიწა და შენობაც ივანიშვილის საკუთრება იყო.

ორი წლის შემდეგ აქ საცხოვრებელი კომპლექსის აშენება გადანყდა. მომდევნო წლებში ივანიშვილის საკუთრებაში, აგრეთვე, აღმოჩნდა კოჯრის გზაზე ყოფილი წყალსაცავის ნაგებობა, რომლის ადგილზეც 2004 წელს ახალი შენობა აღიმართა – ივანიშვილის კომპლექსის „სამეთვალყურეო სახლი“. ამას მოჰყვა ბოტანიკური ბაღის ხელოვნური კაშხლისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის დასაკუთრებაც.

2004 წელს, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ქვეკომისიის ერთსულოვნად უარყოფითი დასკვნის მიუხედავად (ოქმი №3 15.10.1004ფ.), მაშინდელმა მინისტრმა

გოკა გაბაშვილმა ივანიშვილს ხელოვნური ტბის გაშენებისა და საცხოვრებელი კომპლექსის აგების ნებაც მისცა. საპროექტო დოკუმენტაციის გაცნობაზე კულტურის სამინისტრომ უარი გვითხრა და ეს 2005 წელს მხოლოდ სასამართლოს ძალით შევძელით. ამ ობიექტის შიგნიდან დათვალიერებისა და შემონახვის უფლება ვერ მივიღეთ.

„სამეთვალყურეო სახლის“ ზემოთ არსებული ცოტაძე/ტიფანის „მინი სასტუმროც“ მალე ივანიშვილის საკუთრება გახდა. ამის შემდეგ მცირე აეროდრომის, ხელოვნური გვირაბისა და ტბის გაშენება, აგრეთვე მოპირდაპირე ფერდობზე ახალი გზისა და მოცულობებისთვის გრუნტის მომზადება დაიწყო, რომელიც ბოტანიკის ინსტიტუტის ტერიტორიასთან ერთად (იქ მდგარი რამდენიმე ძველი შენობით) ივანიშვილის საკუთრებად იქცა.

დღეს აქტიურად მიმდინარეობს ახალი მშენებლობა ხელოვნური გვირაბის მეორე მხარეს და რა ფუნქციის შენობა (თუ შენობები) შენდება ამ ადგილას, უცნობია. თუმცა, ყველა ეს აშენებული თუ მშენებარე ნაგებობები, გვირაბთან ერთად, ამ ადგილის „ოკუპაციას“ უფრო ჰგავს, ვიდრე საცხოვრებელ კომპლექსს. ამ ტერიტორიის

„ათვისების“ იდეა თავში ქართველებს არასდროს მოსვლიათ. ალბათ იმიტომაც, რომ სოღანლულ-შავნაბადა-ტაბახმელას ქედთან ერთად, თბილისთან დამაკავშირებელ კოჯრის გზასაც ყოველთვის სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. დღეს კი სამხედრო ფუნქციას თავი რომ დავანებოთ, ამ გზაზე უზარმაზარი კომპლექსის წამოჭიმვა მიუღებელია ურბანისტული თვალსაზრისითაც. შინდისი-ტაბახმელა-ოქროყანის ახალი განაშენიანების შემდეგ იქაურ მრავალრიცხოვან მოსახლეობას მხოლოდ ეს გზა აკავშირებს თბილისთან და ამიტომ შეზღუდული სიგანის მქონე გზის ხელოვნური გვირაბით გადასურვა და იქვე წინასწარ შეუსწავლელი და აშკარად სტიქიური მშენებლობების წამოწყება დაუშვებელია.

შუშის ეს მონსტრი, ძველი თბილისისა და მისი არქიტექტურული მემკვიდრეობის გარდა, არსებული ლანდშაფტის სრული უგულვებელყოფით არის აგებული, რაც არქიტექტურის უპირველესი პირობაა – ადამიანის შექმნილი ჰარმონიულად უნდა ესადაგებოდეს არსებულ გარემოს. რაც შეეხება მეორე მხარეს – შენობის ფუნქციურ გამართულობას – შენობათა ეს ერთობლიობა, საცხოვრებელი სახლის გარ-

და, ყველაფრის ასოციაციას ბადებს.

ისტორია სხვა ყველაფერთან ერთად არქიტექტურითაც იწერება. ივანიშვილი ჩვენ თვალწინ საკუთარი მოსაზრებითა და გემოვნებით შექმნილი არქიტექტურით წერს „ახალი“ თბილისის (აგრეთვე გრიგოლეთის, ბაკურიანის და სხვ.) ისტორიას. მან, ერთი მხრივ, ქველმოქმედება დაიწყო თავის სამშობლოში, მეორე მხრივ კი, საკუთარი ქვეყნის დედაქალაქს, მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესვლის კანდიდატ ქალაქს თავზე ჯილასავით დაადგა უსახური და მდარე არქიტექტურა, რაც უკანონობის გარდა, თბილისის, როგორც უძველესი ქალაქის, თვითმყოფადობის გაუფასურება და არად ჩაგდებაა.

ქველმოქმედება უდიდესი სიკეთეა, მაგრამ როგორ შეიძლება თუნდაც უდიდესი ქველმოქმედება საკუთარი დედაქალაქის აუთენტურობის შელახვის საპირწონედ იქცეს?

ვეროკავშირში ინტეგრაციამდე ჯერ ძალიან შორია, მაგრამ თუკი საქართველო ოდესმე მართლაც გახდა დემოკრატიული და სამართლებრივი ქვეყანა, მაშინ მას მოუწევს სწორი არჩევანის გაკეთება ივანიშვილის „ჯილასა“ და ძველ თბილისს შორის. ■

დეგაპრინტი
DEGAPRINT

სიფრული ოფსეტური ბეჭდვა
ტელ.: +995 32 995007 / 998843
ფაქსი: +995 32 995681

degaprint@caucasus.net

მომხმარებლის უფლებები

პრარსებული არჩევანი

თუ გგონიათ, რომ წარწერა პროდუქტის შეფუთვაზე – „დამზადებულია საქართველოში“ – ბიოლოგიურად სუფთას ნიშნავს, ცდებით. ჩვენთან არც იმპორტული და არც ადგილობრივი ნაწარმის ბიოლოგიური სისუფთავე არ მონმდება.

ნინო რობაქიძე



„მომავალი წლიდან სამომხმარებლო ბაზარზე შემოსული გენმოდიფიცირებული პროდუქცია მარკირებული იქნება და მომხმარებელი მის შესახებ სრულ ინფორმაციას მიიღებს“, – განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა ბაკურ კვეზერელმა ოქტომბერში. გენმოდიფიცირებული პროდუქტის ნიშანდებაზე პრინციპული გადაწყვეტილება თითქოს უკვე მიღებულია. ორთვიანი ვადაც, რაც გენმოდიფიცირებული პროდუქტის მარკირების შესახებ კანონპროექტის მოსამზადებლად იყო საჭირო – ამონურული. მიუხედავად ამისა, არც კანონპროექტი არსებობს და არც პოლიტიკური ნება. ქართველ მომხმარებელს კი ისევ არ აქვს საშუალება, იცოდეს, ნამდვილად ბიოლოგიურად სუფთა ნაწარმს ყიდულობს თუ – არა.

პრობლემას ართულებს ისიც, რომ საზოგადოებას ზოგადად ურჩევნია ნატურალური პროდუქტის შექმნა, მაგრამ

ბევრი არაფერი იცის გენური ინჟინერიის შედეგად მიღებული საკვები ნაწარმის ავ-კარგზე. კომპანია „ეი-სი-თი კვლევის“ მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემების თანახმად, საქართველოს ურბანული მოსახლეობის მხოლოდ ნახევარმა იცის, რას ნიშნავს გენმოდიფიცირებული პროდუქცია. მათი 80% ამ ტიპის პროდუქციას ჯანმრთელობისათვის უკიდურესად საშიშად აღიქვამს. უპირატესობას კი ქართული წარმოების ნატურალურ პროდუქტს ანიჭებს.

თუმცა, ეს არჩევანიც გაუაზრებელია. მეცნიერები ჯერ კიდევ დაგობენ გენმოდიფიცირებული საკვები პროდუქტის საზიანობაზე. მიუხედავად ამისა, არსებობს რამდენიმე ავტორიტეტული ევროპული კვლევითი ცენტრის მიერ უამრავ სამეცნიერო ცდაზე დამყარებული მოსაზრება, რომ გენური ინჟინერიით დამზადებული საკვების მიღება მომხმარებლის სასიცოცხლო

ორგანოების დეგრადირებას იწვევს, რასაც შედეგად იმუნიტეტის დაქვეითება, ალერგიები, ნივთიერებათა ცვლის მოშლა და მრავალჯერადი ინტოქსიკაციის საფრთხე მოჰყვება.

ამ კვლევებს ანგარიშს უწევს მთელ მსოფლიოში და განვითარებული ქვეყნების მოსახლეობამ ყოველთვის იცის – გენურად დამუშავებულ პროდუქტს ყიდულობს თუ არა. რამდენიმე ევროპული ქვეყანა უკვე გამოცხადდა გენმოდიფიცირებული პროდუქტისგან თავისუფალ ზონად, მათ შორისაა საბერძნეთიც. იმ ქვეყნებში კი, სადაც აკრძალვები არ მოქმედებს, მოქმედებს მკაცრი კანონმდებლობა გენმოდიფიცირებული პროდუქტის მარკირების შესახებ, რამაც ასეთ პროდუქტზე ფასების მკვეთრი დაცემა გამოიწვია – მომხმარებლის აბოლუტური უმრავლესობა ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტს ირჩევს.

ჩვენთან კი არც პროდუქტის ხარისხზე, არც ეკოლოგიურ სისუფთავეზე და არც ჯანმრთელობისათვის საშიშ დანამატებზე მონაცემები არაფერს ამბობს. არ არსებობს გენმოდიფიცირებული პროდუქტის კონტროლის მექანიზმიც, მიუხედავად იმისა, რომ ამის დადგენა საქართველოში არსებულ კერძო და სახელმწიფო ლაბორატორიებშიც შეიძლება. კანონი მომწოდებლებს მხოლოდ იმას ავალდებულებს, რომ მყიდველს ინფორმაცია მწარმოებელი ქვეყნისა და პროდუქტის შემადგენლობის შესახებ მიანოდოს. მთავრობა ამას წლების განმავლობაში ამართლებდა იმით, რომ არ სურდა, ქვეყანაში იმპორტისთვის შეეშალა ხელი. ამიტომ ის, რომ გენმოდიფიცირებული პროდუქტი ჩვენთან 1996 წლიდან შემოდის, მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციების ექსპერიმენტებით დგინდება, რომლებიც პროდუქციას შესამოწმებლად პერიოდულად მუდამ აგზავნიან

უცხოურ ლაბორატორიებში.

საქართველომ, უკვე მეორე წელია, აიღო საერთაშორისო ვალდებულება, აკონტროლოს გენმოდირეცირებული პროდუქტების იმპორტი და რეალიზაცია და მისცეს მომხმარებელს საშუალება, თავად აირჩიოს ეკოლოგიურად სუფთა და გენმოდირეცირებულ პროდუქტს შორის სასურველი.

თუმცა, გენდირეცირებულ ინგრედიენტებს ქართველი მწარმოებლებიც ისე მოიხმარენ ადგილობრივი პროდუქციის შესაქმნელად, რომ ამის შესახებ წარმოდგენაც არ აქვთ. ამიტომ ქართული წარმოება ავტომატურად ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს სულაც არ ნიშნავს. ანუ, თუ ვთქვათ, კარტოფილი ახალქალაქისაა, მის ეკოლოგიურ სისუფთავეზე ეს ფაქტორი სულაც არ მეტყველებს. გლეხმა შეიძლება, არც იცოდეს, რომ გენმოდირეცირებულ თესლს იყენებს, რადგან არ არსებობს შესაბამისი მარკირება. „საქართველოს მწვანეთა მოძრაობის“ ხელმძღვანელის, გიორგი მალრაძის აზრით, „საწარმოები, რომლებიც საკუთარ პროდუქტს იმპორტირებულ ინგრედიენტებზე, მაგალითად სოიოს ფხვნილზე ამზადებენ, უნდა იყვნენ ინფორმირებული ამ პრო-

რის, რომელიც საკუთარი ინიციატივით 4 წლის განმავლობაში გერმანულ ლაბორატორიებში ამონიშნება, იყო თუ არა მისი პროდუქტი გენმოდირეცირებული. „ბედია“ მხოლოდ საქართველოში დამზადებულ საკვებ ინგრედიენტებს იყენებდა და შედეგიც შესაბამისი იყო – პროდუქტი ეკოლოგიურად სუფთა რჩებოდა. თუმცა „ბედიას“ პროდუქციაზე განსაკუთრებული მოთხოვნა ბაზარზე არ იყო, რადგან არ ხდებოდა და დღემდე არ ხდება სუფთა და გენმოდირეცირებული პროდუქტის ერთმანეთისგან გარჩევა. ამიტომ ვერც „ბედიას“ უპირატესობა მტკიცდებოდა.

როგორც გიორგი მალრაძემ აღნიშნა, ეს ის შემთხვევაა, როდესაც კომპანიის მიერ საკუთარ პროდუქტზე ზრუნვა მომხმარებლის ჯანმრთელობაზე ზრუნვას უდრის, მაგრამ ეს ბევრ მწარმეს არ ესმის. გიორგი მალრაძის აზრით, იმპორტირებული პროდუქტების მარკირება პირველი და აუცილებელი ნაბიჯი უნდა იყოს ქართული სამომხმარებლო ბაზრის სწორი განვითარებისთვის. თუმცა იმ პირობებში, როცა პარლამენტის მიერ ხუთი წლის წინ „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ მიღებული კანონის ამოქმედება კიდევ ხუთი

მდგომარეობას განსაკუთრებით ართულებს საქართველოს მეზობლად ორი მსხვილი მომწოდებლის ბაზარზე არსებული ვითარებაც. რუსეთში „როსსელხოზნადზორმა“ არაერთხელ აღმოაჩინა გენმოდირეცირებული შემცველობის ლაბორატორიულად შემოწმებული ტონობით თევზის პროდუქცია და ძეხვეული. ეს ის პროდუქციაა, რომელიც შემდეგ ქართულ ბაზარზე ხვდება. „რაც შეეხება თურქეთს, ამ ქვეყნიდან ჩვენთან გენმოდირეცირებულთან ერთად ვადაგასულიც დიდი რაოდენობით შემოდის“, – ამტკიცებს გიორგი მალრაძე, თუმცა კონკრეტულ იმპორტიორებს ვერ ასახელებს.

„მომავალი წლიდან საბაჟო-გამშვები პუნქტები პროდუქტის ნიმუშის აღების საშუალებებით აღიჭურვება და მათი შემოწმებაც საქართველოს შესაბამის ლაბორატორიებში მოხდება“, – განაცხადა ოქტომბერში სოფლის მეურნეობის მინისტრმა ბაკურ კვეზერელმა, თუმცა სამინისტროს წარმომადგენლები დღემდე ერიდებიან, დაასახელონ ამ ინიციატივის ამოქმედების კონკრეტული თარიღი.

შესაძლოა, ხელისუფლების წარმომადგენლების ერთ-ერთი არგუმენტი

■ არასამთავრობო ორგანიზაციების დათვლებით, ბაზარზე საკვები დანამატები და მარცვლეული კულტურების თესლების 90% გენმოდირეცირებულია.

დუქტის შესახებ. ისე, როგორც ყველა მომხმარებელს აქვს უფლება, იცოდეს, რაში იხდის ფულს – გენმოდირეცირებულ და ჯანმრთელობისთვის საშიშ პროდუქტში თუ ეკოლოგიურად სუფთა ნაწარმში“.

არასამთავრობო ორგანიზაციების დათვლებით, ბაზარზე საკვები დანამატები და მარცვლეული კულტურების თესლების 90% გენმოდირეცირებულია. ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტის შექმნა მხოლოდ მაშინ არის გარანტირებული, თუ მომხმარებელი ბიოპროდუქციის დილერს მიმართავს ან ლაბორატორიულად შეამოწმებს შესაძენ პროდუქტს.

ფაქტი კი ის არის, რომ ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტი ვერანაირად ვერ უწევს კონკურენციას გენმოდირეცირებულ პროდუქტს. მაიონეზებისა და სხვა საკვები პროდუქტების მწარმოებელი კომპანია „ბედია“ ერთ-ერთია იმ რამდენიმე ქართულ კომპანიას შორის,

წლით გადაიდო, მწვანეთა მოძრაობის ლიდერი განსაკუთრებულ აქტივობას მთავრობის მხრიდან არც გენმოდირეცირებული პროდუქტებისათვის ნიშანდების დართვის საკითხში ელოდება.

„ქრისტიან-დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ახვლედიანი მიიჩნევს, რომ ხელისუფლების მაღალ ეშელონებში არიან ადამიანები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ამ საკითხზე მუშაობის გაჭიანურებით. კონკრეტული სახელებისა და გვარების დასახელება უჭირთ, თუმცა იმავეს ამტკიცებენ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები – რომ არა კონფლიქტი მთავრობის მიერ ზურგამაგრებული კომპანიებისა თუ კერძო პირების ინტერესებთან, საქართველოს, განვითარებული ქვეყნების მსგავსად, უკვე დიდი ხნის წინ ექნებოდა გენმოდირეცირებული პროდუქტისა და ცოცხალი ორგანიზმების შესახებ შესაბამისი კანონმდებლობა.

გენმოდირეცირებული პროდუქციის შესახებ კანონის წინააღმდეგ ახლაც ის იყო, რომ არ სურთ, ქვეყანაში იმპორტსა და ბიზნესის განვითარებას შეუშალონ ხელი. თუმცა, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები და ექსპერტებისა და მწარმოების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ეს არგუმენტი მცდარია. გენმოდირეცირებული შემცველობის პროდუქტზე, შესაძლოა, მოთხოვნა ბუნებრივად მართლაც შემცირდეს, ბიოპროდუქციის ფასი კი გაიზარდოს, მაგრამ ეს შედეგი მხოლოდ დროებითია და ამ სფეროს მარეგულირებელი კანონის წინააღმდეგ არგუმენტად ვერ გამოდგება. მით უფრო, რომ კანონის გაჭიანურებით და საერთაშორისო ვალდებულებების იგნორირებით იზღუდება მოქალაქეების უფლება, გააზრებული არჩევანი გააკეთონ ჯანმრთელობისათვის უსაფრთხოსა და საეჭვო პროდუქტს შორის. ■

4-ოთახიან ბინაში ახლა 11 ადამიანი ცხოვრობს. მეტს ვერ მიიღებენ. ერთ ოთახს სამი ან ოთხი იზიარებს. დილით, სანამ ერთი მათგანი საერთო ოთახში სოციალურ მუშაკს ესაუბრება, მეორე სამზარეულოშია, ჩაის იღუღებს. მესამე სამუშაოდაა წასული, შვილები კი სკოლაში ჰყავს. ბინა გადასარევი რემონტით არ გამოირჩევა, სამაგიეროდ მყუდროა, სუფთა და თბილა. საკვებით და სხვა საჭირო წვრილმანებით უზრუნველყოფილები არიან. ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ოჯახი გგონია. მხოლოდ ამ „ოჯახში“ არ არიან მამები, ბებიები, ბაბუები. აქ ყველა დედაა, ან შვილი. ოჯახის ყველა წევრს საკუთარი ამბავი აქვს, თუმცა მათ ერთი რამ აერთიანებთ – თითოეული მათგანი ოჯახური ძალადობის მსხვერპლია. სწორედ ამიტომ ცხოვრობენ ახლა აქ, ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის თავშესაფარში.

2006 წელს, ოჯახში ძალადობის შესახებ კანონპროექტის პარლამენტში განხილვისას თემა ქართველმა დეპუტატებმა სასაცილოდ აიგდეს. მართალია, მაშინ არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურობით კანონი მაინც მიიღეს, თუმცა მისთვის არც სახელმწიფო და არც საზოგადოება მზად არ აღმოჩნდა. განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც გენდერული თუ სხვა სახის სტერეოტიპები მყარად ფესვგადგმულია, ფაქტს, რომ ოჯახში ძალადობა ხდება, ხშირად დაზარალებულიც ვერ აცნობიერებს. საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი კი ოჯახში გამართულ ჩხუბს, ფიზიკურ შეურაცხყოფას და ურთიერთობის სხვა ძალადობრივ ფორმებს ბუნებრივ მოვლენად მიიჩნევს.

ოჯახური ძალადობა მრავალპლასტიანი პრობლემაა, რომელიც ორი ადამიანის ურთიერთობას სცდება და პირდაპირ თუ ირიბ გავლენას ოჯახის დანარჩენ წევრებზეც ახდენს. პრობლემის გადაჭრას კი ხელს ის სტერეოტიპი უშლის, თითქოს ოჯახური ძალადობა მხოლოდ ისაა, როცა ქმარი ცოლს სცემს. „მოძალადეებად არ იზადებიან, მიზეზი ყველა ადამიანს სხვადასხვაგვარი შეიძლება ჰქონდეს, მათ შორისაა ბავშვობაში მიღებული ტრავმაც, რადგან ბავშვი ყველაფერს განაზოგადებს და ფიქრობს, რომ თუკი მის ოჯახში, ვთქვათ, მამა სცემს დედას, ეს ნორმალურია და ყველგან ასე ხდება“, – აცხადებს ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრ „საფარის“ დირექტორი ნატო ზაზაშვილი.

ოჯახური ძალადობის შესახებ ჩატარებული 2008 წლის კვლევის მიხედვით, საქართველოში, შემთხვევათა 47 პრო-

ქალადობა ოჯახში

მსხვერპლისა და მოძალადის ჩაკეტილი წრე

მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთის მიმართ ძალადობისგან ოჯახის წევრებს კანონი იცავს, მსხვერპლი ხშირად ბედს ეგუება. ამის მთავარი მიზეზი საზოგადოების სტერეოტიპებია.

ნათია გულიაშვილი



ილუსტრაცია: სურფი ქოჩიაძე / ნინო სანდუჩი

ცენტში ოჯახური ძალადობის მსხვერპლი დედაა. დაახლოებით 25 პროცენტში – შვილები, ბებია და ბაბუა – 15%, მამა კი – 11 პროცენტში. ამავე კვლევის მიხედვით, ძალადობის გავრცელებული ტიპებიდან ჩვენთან ყველაზე ხშირია ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობა.

29 წლის ლეილა თბილისიდან ოციოდე კილომეტრის დაშორებით მდებარე გარდაბნის რაიონის სოფელ გაჩინიდანაა. მეუღლის მშობლების სახლში 9 წელი იცხოვრა. „მიუხედავად იმისა, რომ ოჯახს კიდევ 2 ბინა ჰქონდა, 13 ადამიანი ვცხოვრობდით ერთად. დედამთილი მეუბნებოდა, – მხოლოდ ჩემი სიკვდილის შე-

მდეგ შეძლებთ ცალკე ცხოვრებასო. ჩემ ქმარს წინააღმდეგობა მისთვის არასოდეს გაუწევია და მეც, თუ რამეს ვიტყვოდი, რამდენიმე თვე ხმას არ მცემდა. 9 წელი ჩადრით ვიარე, და ოდნავ მოკლე კაბას ვერ ვიცვამდი, იმიტომ რომ დედამთილს ასე სურდა. იქ არარაობა ვიყავი. უფროსი შვილი სკოლაში დადიოდა, მაგრამ არ ვიცოდი რომელში, მხოლოდ შვილების გაჩენა და რეცხვა მევალებოდა. არც ის ვიცოდი, ჩემი ქმარი სად მუშაობდა და რამდენს გამოიმუშავებდა. ვერ გავუძელი ასე ცხოვრებას და გამოვიქეცი, უფრო სწორად გამომაგდეს 3 შვილით, მეოთხეზე ორსულად ვიყავი“. ლეილა ახლა

ქალთა დახმარების ქსელის თავშესაფარში ცხოვრობს. იქვე ჰყავს შვილებიც და სურს, ცხოვრება თავიდან დაიწყოს; რამე ხელობა შეისწავლოს, მაგალითად პარიკ-მასწერობა, და მუშაობა დაიწყოს.

გართულებული ანდა მუდმივი ოჯახური კონფლიქტის გამო, სარეაბილიტაციო ცენტრის მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში მიმართავენ. ეს მაშინ, როცა, კვლევის მიხედვით, პატრულის ცხელ ხაზზე შესული ყოველი მე-4 ზარი ოჯახურ ძალადობას ეხება.

პატრულის გამოძახების უფლებას დაზარალებულებს 2006 წელს მიღებული კანონი აძლევს. ამავე კანონის მიხედვით, ძალადობის მსხვერპლს უფლება აქვს, ე.წ. შემაკავებელი ორდერის გაცემა მოითხოვოს. ამ შემთხვევაში ოჯახის მოძალადე წევრი ვალდებულია, დაზარალებულისგან გარკვეული ვადით დისტანცია დაიცვას. თუმცა, ოჯახში მომხდარი ინტიმური დრამა ხშირად სახლის კედლებს შიგნით რჩება. კვლევის მიხედვით, მოძალადისთვის ორდერის გამოწერაზე თვითონ დაზარალებულები ამბობენ უარს, რადგან მათი სურვილი ოჯახის წევრის დასჯაზე მეტად, ოჯახის შენარჩუნებაა.

ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როცა ქალები ისევ ბრუნდებიან სახლში, სადაც საშინელი შეურაცხყოფა მიაყენეს. ფსიქოლოგები კი ამბობენ, რომ ძალადობა არასდროსაა ერთჯერადი. „შეიძლება მშვიდი პერიოდი დიდხანს გაგრძელდეს, თუმცა პრობლემა ოდესმე ისევ თავს იჩენს“, – ამბობს ფსიქოლოგი რუსუდან ფხაკაძე. ამიტომ თავშესაფარებში ძალადობის მსხვერპლ ადამიანებს მათ პოტენციურ მოძალადესთან ურთიერთობასაც ასწავლიან.

ფსიქოლოგები იმასაც ამბობენ, რომ აუცილებელია ოჯახის მოძალადე წევრთან მუშაობაც, მით უფრო მაშინ, თუ ფსიქოლოგიური ტრავმა ძალიან მძიმეა ან მსხვერპლს ერთდროულად ოჯახის რამდენიმე წევრი ჩაგრაავს.

ამ პრობლემებით თავშესაფარს ძირითადად ის ქალები აკითხავენ, რომლებიც ქორწინების გარეშე ორსულდებიან და აღარც მშობლების ოჯახები უშვებენ შინ.

გორის რაიონიდან დევენილი 23 წლის მია ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარ „სახლში“ ცხოვრობს. ორსულობის პერიოდში ძალადობა მან ჯერ ქმრისგან განიცადა, მასთან დაშორების შემდეგ კი სახლში ანალოგიურ დამოკიდებულებას ძმისგან იტანდა. ამან მისი და ბავშვის ჯანმრთელობაც შეარყია. დედა-შვილს რამდენიმე ოპერაცია დასჭირდა, თუმცა

ძალადობის კვალი კვლავაც ეტყობათ. მაიას სამედიცინოსთან დაკავშირებული პრობლემები აქვს, ბავშვს ნერვული სისტემა დაუზიანდა.

ოჯახში, თუნდაც არაპირდაპირი ძალადობის დროს, ბავშვი ყოველთვის ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლია, და ამას სტატისტიკაც ადასტურებს. „3 წლიდან ბავშვებს ენურეზი, უმიზეზო ტირილი, შფოთვები აქვთ, ისევე როგორც კუჭის პრობლემები, ებმით ენა, შიშები აქვთ ხმაურზე. გარდატეხის ასაკში ძალიან აგრესიულები არიან. ახასიათებთ უნდობლობა. ინტერესის დაკარგვა მეგობრების, სკოლის მიმართ“, – აცხადებს ფსიქოლოგი ელენე სამუშია. ზოგჯერ ბავშვებს მსგავს მდგომარეობაში დედის უყურადღებობა აგდებს, რომელსაც, მუუღვლესთან გამუდმებული კონფლიქტის გამო, შვილზე ზრუნვის ძალა აღარ რჩება და უყურადღებობით თვითონვე ძალადობს ბავშვზე.

თუმცა, ხდება ისეც, რომ მუდმივი ფსიქიკური სტრესით გადაღლილი და დაშინებული დედა შვილის ფსიქიკას მასზე გადაამეტებული ზრუნვით აზიანებს. ქალბატონ ცირას ქმარმა და მულმა უფროსი შვილი წაართვეს. თვითონ უმცროს ვაჟთან ერთად ახლა თავშესაფარში ცხოვრობს. 11 წლის ბიჭს დედა გვერდიდან არ იცილებს იმის შიშით, რომ ეს ბავშვიც არ დაკარგოს. შედეგად, ბიჭი იმდენად მიეჯაჭვა მშობელს, რომ სკოლაშიც ველარ დადის მარტო და დამოუკიდებლად მარტივი გადაწყვეტილების მიღებაც კი უჭირს.

■ პატრულის ცხელ ხაზზე შესული ყოველი მე-4 ზარი ოჯახურ ძალადობას ეხება.

ხშირად ბავშვები დანაშაულის გრძნობითაც იტანჯებიან, რადგან მშობლებს შორის ძალადობრივი ურთიერთობის მიზეზად საკუთარი თავი მიაჩნიათ.

ოჯახში ძალადობის საკითხებზე, არასამთავრობო სექტორის პარალელურად, ერთადერთი სახელმწიფო სტრუქტურა – ტრენინგის მსხვერპლთა დაცვის სახელმწიფო ფონდი მუშაობს. ორგანიზაციას პროფილი საგანგებოდ გაუფართოვეს, რადგან სახელმწიფომ ვერ შეასრულა პირობა და ოჯახური ძალადობის მსხვერპლთათვის თავშესაფარების მშენებლობა აგვისტოს ომის მიზეზით დღემდე ვერ დაასრულა. ჯანდაცვის სამინისტროში ამბობენ, რომ დაპირებული ორი თავშესაფარი თბილისსა და გორში წელს აუცილებლად დასრულდება.

ორი თვის წინ შედარებით დაიხვეწა კანონმდებლობა. ოჯახური ძალადობის შესახებ კანონის მიღებიდან 4 წლის თავზე კანონმდებლებს ამ თემაზე აღარ უცინიათ. სიახლეა ისიც, რომ მოძალადე ოჯახის წევრს შემაკავებელი ან დამცავი ორდერების დარღვევებისას პირველ ჯერზე მხოლოდ ადმინისტრაციული სასჯელი დაეკისრება, რომ მკაცრმა სანქციამ მსხვერპლიც არ დააშინოს და ეს არ გახდეს პატრულის გამოძახებისგან თავის შეკავების მიზეზი. ადმინისტრაციული სასჯელი კატეგორიულად არ ითვალისწინებს ფულად ჯარიმას, რომ არ დამძიმდეს ისედაც სტრესში მყოფი ოჯახის ფინანსური მდგომარეობა და ახალი კონფლიქტის საფუძველი არ გახდეს. „ამიტომ ადმინისტრაციული ჯარიმა 7-დან 30 დღემდე პატიმრობა იქნება და მხოლოდ მეორედ დარღვევის შემთხვევაში აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე“, – ამბობს ფონდის ხელმძღვანელი მარი მესხი.

წელსვე უნდა შეიქმნას ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მუდმივმოქმედი საბჭოც. თუკი მსხვერპლს არ სურს პოლიციასთან დაკავშირება, შეიძლება, დასახმარებლად საბჭოს მიმართოს. თუმცა, სახელმწიფოს ეს ინიციატივები პრობლემის აღმოსაფხვრელად საკმარისი არაა. არანაკლებ მნიშვნელოვანია საზოგადოების ინფორმირება

და ძალადობის გამაღვივებელ სტერეოტიპებთან დაპირისპირება. წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოების უდიდესი ნაწილი, განსაკუთრებით კი რაიონებში მცხოვრები მოსახლეობა, დიდხანს ვერ გააცნობიერებს, რომ ფიზიკური და ფსიქოლოგიური შეურაცხყოფის მოთმენით საკუთარ შვილებსაც აზარალებენ. მხოლოდ სტერეოტიპების შერბილების შემდეგ იქნება შესაძლებელი, მსხვერპლმაც და მოძალადემაც გაიზრდონ, რომ ოჯახში ძალადობა – ეს არა მხოლოდ ინტიმური კონფლიქტია, არამედ დანაშაული, რომელიც კანონით ისჯება. **■**



პროლოგი

თუ არ ვცდები, ზაზა ფირალიშვილის ერთი ძველი სტატიის სათაური იყო „დაბრუნება ისტორიაში“. ავტორი, თავის მხრივ, მერაბ მამარდაშვილს დაესესხა, რომელიც ხშირად ამბობდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა თუნდაც იმიტომაც აუცილებელია, რომ ჩვენი თავი დავინახოთ, გავარკვიოთ, ვინ ვართ და რას წარმოვადგენთ.

ოცი წლის წინ ჩვენ დავბრუნდით ისტორიაში და დავინახეთ ჩვენი თავი. დიდად აღფრთოვანებული არ დავრჩით ნანახით, მაგრამ თუკი ისტორიის ყველაზე დიდი გაკვეთილი ისაა, რომ ამ გაკვეთილს არავინ სწავლობს, საქართველოს შემთხვევაში, ასე ნამდვილად არ არის. მთელი ჩვენი უახლესი ისტორია სწორედაც რომ ერთგვარი განსწავლის პერიოდიცაა, გარკვეულ ილუზიებთან დამშვიდობების წლები, უნდა ვთქვა, რომ საკმაოდ საინფათო ილუზიებთან და საკმაოდ მძიმე დამშვიდობების.

და ყოველი მათგანი იყო არა მარტო ილუზია, არამედ ერთგვარი სახადიც, ავადმყოფობა, რომელიც არცთუ სასიამოვნო გადასატანია, მაგრამ გადატანის შემდეგ იმუნიტეტს გიმუშავებს და მთორედ უკვე აღარ შეგეყრება. ვერ ვიტყვი, რომ გამოჯანმრთელების შემდეგ ეს იმუნიტეტი მთელ საზოგადოებას გამოუმუშავდა, მაგრამ პოლიტიკურად აქტიურ ნაწილში, იმ წრეებში, სადაც გადაწყვეტილებები მიიღება და ხორციელდება, ამგვარი ტენდენცია აშკარაა.

ამ თვალთახედვით, საქართველოს ისტორია პერმანენტული ავადმყოფობა-გამოჯანმრთელების ისტორიაა, ოღონდ გამოჯანმრთელების პერიოდი ძალიან ხანმოკლეა ხოლმე, თან გადატანილ სახადს გართულებებიც სჩვევია და მანკიერი ეფექტებიც.

სახადი №1. ეთნოცენტრული

პირველად იყო ზვიადი. უფრო ზუსტად, ეთნოცენტრული ნაციონალიზმი, რომელ-

საუბრები ლიბერალიზმზე

სახადი № 5

ოპტიმისტური ტრაგედია პროლოგით და ეპილოგით

დავით ზურაბიშვილი

მაც ეროვნული მოძრაობის პერიოდში ვულკანივით ამოხეთქა და ისეთი ამაზრზენი სახით წარდგა ჩვენ წინაშე, კინაღამ სრულ ნიპილიზმში გადაისროლა მთელი მოაზროვნე საზოგადოება. აქ არ იყო არაფერი ახალი. ათწლეულების მანძილზე იკვებებოდა ქართული ნაციონალიზმი იმ მითით, რომ არაქართველები შეგნებულად ცდილობენ, ფეხი მოიკიდონ ჩვენ მიწაზე, ნელ-ნელა შეგვავინროვონ და განგვედევნონ. ეს მიენერებოდა არა მარტო კრემლის ფარულ ზრახვებს, არამედ თვით არაქართულ ეთნოსებსაც, რომლებიც დემოგრაფიული ანექსიისთვის გამზადებულ ზომებზედ იყვნენ წარმოდგენილები. მარტო ლიბერალური ნაწარმოებები იმდენია შექმნილი ამ თემაზე, რომ მთელი ანთოლოგიაც კი შეიძლება შეადგინო – მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებიდან“ დაწყებული, მუხრან მაჭავარიანის ლექსებით დამთავრებული („გუგულის კვერცხი ესოდენ უხვად ჯერ არ ყოფილა ჩვენში“ და ა. შ.).

მოკლედ, ეს ინფექციური დაავადება, კარგა ხანია, გვჭირდა, ოღონდ შედარებით მიუჩვენებელი ფორმით. დამოუკიდებლობის მათრობელა ჰაერმა მხოლოდ მისი აქტივიზირება მოახდინა. აქტივიზირებული მითი კი ძალიან მახინჯე გამოდგა. ის გამოიხატა ბორჯომის რაიონიდან ოსი მოსახლეობის მასობრივ გამოსახლებაში, ეთნიკური ნიშნით ხალხის სამსახურებიდან დათხოვნასა თუ საშინლად შეურაცხყოფელი ეპითეტების რახარუხში ყველაზე მაღალი ტრიბუ-

ნებიდან. როდენ უარყოფითადაც უნდა შევაფასოთ 1991-92 წლების საშობაო გადატრიალება (და ცხადია, უარყოფითად უნდა შევაფასოთ), შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ ეს კომპარი ფაქტობრივად გამსახურდიას ხელისუფლებასთან ერთად დამთავრდა. არანაირი პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი დივიდენდების მომტანი ეთნოცენტრული ნაციონალიზმი მას შემდეგ აღარ არის. ერთხანს პირადობის მოწმობაში ეროვნების აღნიშვნა და მიწაზე კერძო საკუთრების არაქართველებისთვის დაკანონება რჩებოდა უკანასკნელ ბასტიონებად, მაგრამ ეს ორი ბასტიონიც ისე დაეცა, სერიოზული რყევები არ გამოუწვევია. დღეს მხოლოდ მარგინალური ჯგუფები თუ ოპერირებენ იმ სქემებით, ოდესღაც ეროვნულობისა და ქართველობის უცილობელ ატრიბუტად რომ ითვლებოდა. ეთნიკურ დაპირისპირებაზე აპელირება გახდა არაპოპულარული და პრინციპულად მიუღებელი.

კონტრარგუმენტის სახით, ვილაცამ, შესაძლოა, აფხაზეთის ომი და ცხინვალის რეგიონში განვითარებული მოვლენები გაისვენოს, მაგრამ აქ უფრო პოლიტიკური ფაქტორები მოქმედებდა, თუ არ ჩავთვლით სამხრეთ ოსეთის ოლქის გაუქმებას, რაც გამსახურდიას დროს მოხდა და დიდწილად იყო გაპრობებული ეთნოცენტრული ნაციონალიზმის სტერეოტიპებით.

მოკლედ, ეთნოცენტრული ნაციონალიზმის სახადი მძიმე დანაკარგებით, მა-



ელუარდ შევარდნაძე



მიხეილ სააკაშვილი და ილია II ბაგრატიონის ტაძარში

გრამ მაინც მოვიხადეთ, თუმცა, საბჭოთა პერიოდში შეყრილი ინფექციური დაავადებების ნუსხა ამით არ ამოწურულა.

სახალი №2. ქურდული

შემდეგი სახადი, რომელმაც გამასახურდა და მამხობის შემდეგ უღარესად მწვავე და ჯანმრთელობისთვის საშიში ფორმა მიიღო, იყო კრიმინალური რომანტიზმის მითი.

ეს მითიც დიდი ხნის განმავლობაში იძინებოდა ჩვენ ცნობიერებაში. მართალია, „კეთილშობილი ყაჩაღის“ სტერეოტიპი მართო ქართული კულტურისთვის არაა დამახასიათებელი, მაგრამ ეს ვერაფერი შევება. ლეგენდებს „ინტელექტუალ ქურდებზე“, „მაგარ მომპარავ ტიპებზე“ თუ უბრალოდ „კაი ბიჭებზე“ ქართულ-საბჭოურ მითოპოეტურ სამყაროში საპატიო ადგილი ეკავა. კრიმინალური რომანტიზმი აღიქმებოდა სიყალბით სავსე საბჭოური რეალობის ალტერნატივად და ცოტა ვინმე თუ ფიქრობდა, რომ ეს ალტერნატივა კი არ იყო, არამედ ამ რეალობის ნაწილი.

მაგრამ ჯაბა იოსელიანმა და მხედრიონმა შეძლო ის, რასაც ვერანაირი პროპაგანდა ვერ შეძლებდა. კრიმინალური რომანტიზმი რეკორდულად მოკლე დროში დისკრედიტირდა. თანამედროვე დათა თუთაშვილებს და არსენა ოძელაშვილებს ლიტერატურული არქეტიპების კეთილშობილებისა არაფერი ეცხობო, ქურდებზე ხომ საერთოდ აღარც ღირს სიტყვის დაძვრა. ძალმომრეობის და უსამართლობის შემხედვარე ქართული საზოგადოება შეუძლებელია, დარჩენილიყო ძველი ილუზიების ტყვეობაში. კრიმინალური რომანტიზმი მორალურად სწორედ იმ პერიოდში მოკვდა. დღეს სააკაშვილი ტყუილად წარმოადგენს ქურდული სამყაროს განადგურებას დიდ შეროიკულ ქმედებად – ეს მხოლოდ ტექნიკური საკითხი იყო, თან საზოგადოების მიერ მხარდაჭერილი. ქურდული მაგიისგან განხიზვლა გაცილებით ადრე მოხდა.

სახალი №3. ინტელიგენტური

შევარდნაძის მმართველობის დროს დასრულდა კიდევ ერთი დიდი ილუზია – მითი ქართულ ინტელიგენციაზე. ამ სოციალურმა ფენამ, რომელიც საბჭოთა პერიოდში ქვეყნის უდიდეს მორალურ და ინტელექტუალურ ავტორიტეტს წარმოადგენდა, 90-იან წლებში ფაქტობრივად შეწყვიტა არსებობა. ეს ცხადია, არ ნიშნავს, რომ კარგ ხელოვანს თუ მეცნიერს არავინ აფასებდეს მისი პროფესიული საქმიანობის გამო, მაგრამ ინტელიგენციამ დაკარგა პოლიტიკური ავტორიტეტი, ერის ლიდერისა და წინამძღოლის მისია. თუკი ადრე ქვეყნის მოწყობის საკითხებზე მწერალს პირდაპირ მოეთხოვებოდა პოლიტიკური ლიდერობა და, თუკი თავს არიდებდნენ ამ საქმეს, ყველა მიტინგზე ისმოდა, – სად არიან ქართველი მწერლებიო, – ეს სოციალური როლი ინტელიგენციამ დაკარგა, სხვა სოციალური როლი კი არც ჰქონია.

90-იანი წლების ბოლოსთვის ინტელიგენციის გავლენა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებზე პრაქტიკულად ნულამდე დავიდა, მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძე მუდმივად ცდილობდა წომენკლავტურული ინტელიგენციის აქტივიზირებას. „რუსთავი2“-ის ჟურნალისტები და არასამთავრობო სექტორის „ცნობილი სახეები“ გაცილებით ქმედით ზემოქმედებას ახდენდნენ მიმდინარე პროცესებზე, ვიდრე პრეზიდენტთან დაახლოებული მეცნიერები თუ პოეტები. პოსტსაბჭოთა პერიოდის პირველ წლებში ასეთი რამ უბრალოდ წარმოუდგენელი იყო.

ისიც უნდა ვთქვა, რომ ინტელიგენციის, როგორც გავლენიანი სოციალური ფენომენის მნიშვნელობა ბოლო დროს უკიდურესადაა გაზვიადებული როგორც ხელი-სუფლების, ისე ოპოზიციის ერთი ნაწილის მიერ. ამის ნათელი მაგალითი იყო სააკაშვილის რეკლამირებული ვიზიტები გურამ დოჩანაშვილთან და მუხრან მაჭავარიანთან, ასევე ძველი ინტელიგენციის წარმომადგენელთა ხშირი სტუმრობები „მაეს-

ტროს“ საკანში. სინამდვილეში არანაირი პოლიტიკური სარგებელი ინტელიგენციის სოციალური როლის რეანიმირების მცდელობას არ მოაქვს. ამას ადასტურებს ყველა სოციოლოგიური კვლევა, რაც კი საქართველოში ჩატარებულა. პოლიტიკოსებს ხშირად აკრიტიკებენ, მაგრამ არავის აღარ მოსდის თავში, მოუწოდოს მათ, – რომელიმე ხელოვანს ან მეცნიერს დაუფერეთო.

და ეს სწორია, რადგან იყო კულტურული ადამიანი, კარგი რეჟისორი ან ფიზიკოსი, სულაც არ ნიშნავს ერის ლიდერობას. მითი ინტელიგენციის წინამძღოლობაზე წარსულს ჩაბარდა, ინტელიგენციამ ვერ შეძლო იმ მოლოდინების გამართლება, რასაც საზოგადოება მათზე ამყარებდა. პატიოსანი ინტელიგენტები ჩუმად იყვნენ, ამ ფენის ნომენკლავტურულმა წარმომადგენლებმა კი იმდენჯერ წარმოაჩინეს თავი რეტორგადებად და ხელისუფლების უპრინციპო მხარდაჭერებად, რომ იმ სოციალური კაპიტალის წარჩენებაც გაფლანგეს, რაც შემორჩენილი ჰქონდათ.

სახალი №4. ნომენკლავტურული

ორიოდ სიტყვით კიდევ ერთ, შედარებით მსუბუქ სახადზე.

თუკი ეთნოცენტრული ნაციონალიზმი, კრიმინალური რომანტიზმი და ინტელიგენციის პოლიტიკური ავტორიტეტი თითქმის მთლიანად იყო გაპირობებული ადრეულ ეპოქებში ჩამოყალიბებული სააზროვნო სტერეოტიპებით და თავისი ისტორიული ფესვები ჰქონდა, მითი კომუნისტური ნომენკლავტურის პროფესიონალიზმის შესახებ პრაქტიკულად გამასახურდას მმართველობის ხანაში იშვა. ეს იყო ერთგვარი უკურეაქცია კარვის ქალების, მედოლე პრეფექტების და სხვა არაკომპეტენტური კადრების აღზევებაზე. მათ ფონზე ძველი საბჭოთა ნომენკლავტურა მართლაც ზესოლიდურად გამოიყურებოდა,

გამასახურდას ხანმოკლე ზეობა საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რათა 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ ბრალეულობის კომპლექსით დამძიმებული ნომენკლავტურა, მთლიანად გათავისუფლებულიყო ყოველგვარი მორალური პასუხისმგებლობისგან. შეუწყნარებლობის ისტერიული ატმოსფერო, არაკვალიფიციური კადრები, ხელი-სუფლების ოპონენტების მოლაპატეებად, მტრებად და კრემლის აგენტებად შერაცხვა – დროზე უფრო კარგი მკურნალი აღმოჩნდა. ნომენკლავტურის საზოგადოებრივი რეაბილიტაცია იმდენად სწრაფად მოხდა, რომ 1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს ელუარდ შევარდნაძის მთავარი კონკურენტი ჯუმბერ პატიაშვილი გახდა.

არადა, როდესაც ზვიად გამსახურდია პირველი მრავალპარტიული არჩევნების შედეგად მოვიდა ხელისუფლების სათავეში, ცეკას ორი მდივნის სამომავლო კონკურენტის დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე ყველაზე გამოუსწორებელი ფანტაზიორიც ვერ წარმოიდგენდა.

მიუხედავად იმისა, რომ გამსახურდიას დამხობა თავის დროზე „ნომენკლატურულ რევენშად“ მოინათლა, სწორედ შევარდნაძის მმართველობამ დაამსხვრია კომუნისტური ნომენკლატურის პროფესიონალიზმის ახლადფეხადგმული მითი. როგორც კი მართვის სადავეები კვლავ ამ ხალხის ხელში აღმოჩნდა, მაშინვე ცხადი გახდა, რომ ნომენკლატურა უფრო კორუფციული ურთიერთობების აწყობასა და წილში ჩაჯდომაში იყო დახელოვნებული, ვიდრე სახელმწიფო სტრუქტურების მართვაში.

ერთი შეხედვით, ეს დიდი არაფერი სახადია, მაგრამ განსხვავებით, ვთქვათ, ბალტიისპირეთის ნომენკლატურისგან, ქართული ბიუროკრატია გაცილებით კორუმპირებული გახლდათ და ძალიან შორს იდგა სახელმწიფოებრიობისგან. ეს პრაქტიკაშიც დაადასტურა და იმდენად დამაჯერებლად დაადასტურა, რომ საქართველო ერთადერთი ქვეყანა აღმოჩნდა მთელი პოსტკომუნისტური სივრცის მასშტაბით, სადაც ნომენკლატურის წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს დაეკავებინათ წამყვანი პოზიციები პოლიტიკურ სპექტრში.

უპასუხი

შეიძლება ითქვას, რომ მიხეილ სააკაშვილს, თუკი იგი სერიოზულად მოინადინებდა ევროპული ტიპის დემოკრატიული სახელმწიფოს აშენებას, საამისოდ თითქმის იდეალური პირობები დახვდა.

დისკრედიტირებული ეთნოცენტრიზმი, დისკრედიტირებული ქურდები, დისკრედიტირებული ნომენკლატურა და გავლენადაკარგული ინტელიგენცია – ასეთ წინაპირობებს ნებისმიერი დემოკრატი ხელისუფალი ინაგრებდა ნებისმიერ პოსტკომუნისტურ ქვეყანაში, ხოლო თუ იმასაც გაკეთავლისწინებთ, რამხელა მხარდაჭერა ჰქონდა სააკაშვილს იმ დროისათვის როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ, უკეთესი სასტარტო პოზიცია მართლაც ძნელი თარმოსადგენია.

თუმცა, ძველი ილუზიებისგან გათავისუფლების საფასური გაცილებით მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანდა. ვარდების რევოლუციის შედეგად ხელისუფლებაში მოვიდა პოლიტიკოსებისა და საზოგადოებრივი აქტივისტების ის ახალგაზრდა თაობა, რომელიც 90-იან წლებში გამოიზარდა და საქართველოშიც

და საზღვარგარეთაც აღიქმებოდა ქვეყნის ლიბერალურ რესურსად. ამასთან, ეს იყო თაობა, რომელმაც საკუთარ თავზე გადაიტანა ფასეულობათა გადაფასების მტკივნეული პროცესი. ცხადია, ამ პროცესს უკვალოდ არ ჩაუვლია, შეიძლება ითქვას, რომ სააკაშვილი და მისი გუნდი პრაქტიკულად განასახიერებენ მთელი იმ მანკიერი ეფექტების აკუმულირებულ ერთობას, რაც თან ახლდა წინა ოთხი სახადის მოხდას.

ეთნიკური ნაციონალიზმის დისკრედიტაციის მანკიერი ეფექტი იყო ნიჰილისტური დამოკიდებულება „ქართველობის“ ანუ, ფაქტობრივად, ქართული კულტურის და ისტორიის მიმართ. რამდენადაც ქართული იდენტობა დიდწილად ასოცირდებოდა ეთნოცენტრიზმთან, გამსახურდიას მმართველობამ ახალგაზრდა თაობის ლიბერალურ ნაწილში გააჩინა სერიოზული კონსერნები საერთოდ ქართული იდენტობის მიმართ, რომელიც წმინდა წყლის ნიჰილიზმში გადაიზარდა, მათთვის „ქართული“ და „ნეგატიური“ პრაქტიკულად სინონიმებად იქცა.

კრიმინალური რომანტიზმის დისკრედიტაციამ გამოიწვია იმ მორალურ ღირებულებებში ეჭვის შეტანა, რომელიც დეფორმირებული სახით ფიგურირებდა ე. წ. ქურდულ გაგებაში, მაგრამ წარმომადგენდა და წარმომადგენს საერთოდ ადამიანური ურთიერთობების მრავალსაუკუნოვან ნორმებს. მაგალითად, ერთ-ერთი თანამედროვე ქართველი ლიბერალი (რომელიც დღემდე თანამდებობის პირია) სრულიად სერიოზულად უმტკიცებდა უმცროსკლასელებს, რომ ნამდვილი მოქალაქე ისაა, ვინც კორუმპირებულ მშობელს პოლიციაში „ჩაუშვებს“. ასეთი განწყობა გარკვეულწილად ეხმიანებოდა ზემოაღნიშნულ იდენტობის კრიზისსაც, რადგან ქართულ კულტურაში მეგობრულ და ნათესაურ არაფორმალურ ურთიერთობებს საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა.

ნომენკლატურის დისკრედიტაციამ კი შვა ეიჯიზმი, როცა მთელი საშუალო და უფროსი თაობა ჩაითავლა ტოტალიტარული მენტალიტეტისგან განუკურნებლად. უნდა ითქვას, რომ ამგვარი შეხედულებების დამკვიდრებას უფროსი თაობის ლიბერალებმაც საკმაოდ შეუწყვეს ხელი. ისინი ზედმეტად თვითკრიტიკულები იყვნენ და მწვავედ აღიქვამდნენ საკუთარ მიზნულობას საბჭოთა წარსულთან. აქედან გამომდინარე, მთელი ფსონი ახალგაზრდა თაობაზე დაიდო, რომელიც აშკარად არ აღმოჩნდა (და ვერც აღმოჩნდებოდა) მზად ასეთი ტვირთისთვის. ძველი ლიბერალები მხოლოდ მაშინ შეუფოთდნენ, როცა დაინახეს, თუ როგორ ხორციელდებოდა მათივე თეორიები პრაქტიკაში. ტიპური შემთხვე-

ვაა (დაახლოებით იგივე მოუვიდა ჰერბერტ მარკუზეს 1968 წლის პარიზის ბუნტის შემდეგ), თუმცა – არც დიდად სანუგეშო.

სახალი №5

და ეს ყველაფერი ერთად შეინოვა იმ პოლიტიკურმა გუნდმა, რომელიც ფორმალურად დემოკრატიაზე და ლიბერალურ ღირებულებებზე იყო ორიენტირებული. ისინი ამას სულაც არ აღიქვამდნენ რაღაც ნაკლად, არამედ გულწრფელად მიაჩნდათ ლიბერალური მსოფლმხედველობის ორგანულ ნაწილად. ამიტომაც მოხდა, რომ ხელისუფლება, რომელიც თავისუფლად შეიძლება გამხდარიყო დემოკრატიული ქართული სახელმწიფოს დამფუძნებელი, თვითონ აღმოჩნდა კიდევ ერთი სახადი.

ამგვარი „ნიჰილისტური ლიბერალიზმის“ დამკვიდრების მცდელობა, რაც სხვა არაფერი იყო თუ არა კულტურული რევოლუცია, რომელიც გულისხმობდა პროგრესული სახელისუფლო გუნდის მიერ ბნელი და ჩამორჩენილი მასის აღზრდა-გადამზადებას, უბრალოდ შეუძლებელია კრახით არ დამთავრებულყო.

ეს არაა გასაკვირი და აქ მმართველი გუნდის არაკომპეტენტურობა მხოლოდ ერთი მიზეზია. მთავარი სხვაა: კულტურული ნიჰილიზმი გამორიცხავს პოზიტიურ ქმნადობას. ნიჰილიზმი მთლიანად დესტრუქციულია და რასაც ანგრევს, იმის სანაცვლოდ ვერაფერს გვთავაზობს. ამის თაობაზე შესანიშნავად თქვა 90-იანი წლების დასაწყისის პოეტური გაერთიანების „რეაქტიული კლუბის“ ნევრმა, ამჟამად საფრანგეთში მცხოვრებმა პაატა ქურდაძემ: „საკუთარ წარსულში საკუთარი თავის იდენტიფიცირების უნარსმოკლებული თაობა ვერასოდეს ვერ შეძლებს ახალ ეპოქასთან იდენტიფიცირებას. ის ყოველთვის აცდენილი იქნება რეალობას: რადგან წარსული ისეთივე დროა, როგორც აწმყო და მომავალი. მისი გამოცალკეება და მტვრიან თაროზე შემოდება მეტაფიზიკურად არღვევს სამყაროს რომელშიც ცხოვრობ, და მას შეუძლებელს ხდის“.

ეს სიტყვები ძალიან კარგად გამოხატავს იმას, რაც რიგით მეხუთე სახადი გახდა ქართული საზოგადოებისთვის. ამიტომაც იყო, რომ რასაც სააკაშვილის გუნდი მოდერნიზაციად და რადიკალურ რეფორმებად ასაძვლავდა, რეალურად არასდროს გასცილებია რიტორიკის ფარგლებს. ის პერსპექტივის განცდა, რაც ახალგაზრდა თაობას ამ რიტორიკამ და აგრესიული ეიჯიზმის პოლიტიკამ გაუჩინა, მხოლოდ დროებითი ეფექტის მქონე აღმოჩნდა. არსებული რეალობა იმდენად დასცილდა პროპაგანდისტულ პიარ-რეალობას, რომ

სიტყვასა და საქმეს შორის სხვაობა მეტად თვალშისაცემი გახდა.

მოკლედ, კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ წარსულის ტოტალური უარყოფით ანმყოფ არ გწყალობს და მომავალიც არა გაქვს. ცხადია, ეს არ ეხება ქართული საზოგადოების უმრავლესობას, ანუ მის კონსერვატიულ ნაწილს, რომლისთვისაც ქართველი ხუნველები ანტიკულტურული სულისკვეთება იმთავითვე მიუღებელი იყო, მაგრამ მათთვის, ვისაც საქართველოს მომავალი ევროპული ტიპის დემოკრატიად წარმოუდგენია, სააკაშვილის ხელისუფლება ძალიან კარგი გაკვეთილია.

მეექვსე სახადი. პროვლემა და პარამეტრი

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში არსებულმა ყველა ხელისუფლებამ მოახდინა იმ მთავარი მითის, მთავარი ილუზიის დისკრედიტირება, რაც მის იდეურ საძირკველს წარმოადგენდა.

გამასახურდიამ – ეთნოცენტრული ნაციონალიზმის;

ჯაბა იოსელიანმა – კრიმინალური რომანტიზმის;

ედუარდ შევარდნაძემ – ინტელიგენციისა და ნომენკლატურის პოლიტიკური ავტორიტეტის;

მიხეილ სააკაშვილმა – ლიბერალიზმის ნიჰილისტური გაგებისა და კულტურული რევოლუციის.

მაგრამ რამდენადაც სააკაშვილის გუნდის ნიჰილიზმი უფრო წინარე სტერეოტიპების მსხვრევის შედეგი იყო, კულტურული რევოლუციის ჩავარდნამ, შესაძლოა, კონტრარევოლუციის ტალღა გამოიწვიოს და ამის ნიშნები უკვე აშკარად არის.

მართალი ვითარება, ნაკლებად წარმომადგენია ელიტურ დონეზე ძველი კერპების აღორძინება, მაგრამ, როგორც ჩანს, ერთი სახადი კიდევ წინ გვაქვს. ეს სახადი, ჩემი აზრით, იქნება (არსებითად უკვე არის კიდევ) რელიგიური ნაციონალიზმი, რომელიც სხვადასხვა დოზით ეთნოცენტრიზმსაც მოიცავს, კრიმინალურ რომანტიზმსაც და ინტელიგენციის სოციალურ როლსაც.

ქართული რელიგიური ნაციონალიზმი ასევე 90-იანი წლების პირმშოა. მართალია, საბჭოთა პერიოდის ისტორიული ნარატივი ქრისტიანობას წარმოგვიდგენდა როგორც ქართველობის, ანუ ეროვნული იდენტობის ატრიბუტს, მაგრამ ჯერ ერთი, ეს ეხებოდა მხოლოდ ფეოდალურ ეპოქას, თანაც იგულისხმებოდა ზოგადად ქრისტიანობა და არა გამორჩეულად მართლმადიდებლური აღმსარებლობა. სადღეისოდ კი სრულიად სხვა ვითარებაა. მართლმადიდებლობა საზოგადოებრივი ცნობიერების დონე-

ზე უკვე მიიჩნევა ეროვნული იდენტობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად. ეს დიდწილად გაპირობებული ტრადიციული (ეთნოცენტრული) იდენტობის დისკრედიტაციითაც. ეთნოცენტრიზმის ჩანაცვლება მარტივად მოხდა იდენტობის სხვა, ნაცნობი ატრიბუტით, ხოლო კულტურული რევოლუციის აგრესიულმა და მარცხიანმა მცდელობამ კიდევ უფრო გააძლიერა რელიგიის ფაქტორი იდენტობის აღქმაში.

საკაშვილის ხელისუფლებამ განვლილი წლების მანძილზე მთელი სახელისუფლო რესურსი მიახარჯა საზოგადოებრივ ავტორიტეტებთან ბრძოლას და მათი „ჩარეცხვის“ მცდელობას. კულტურული რევოლუციის შემოქმედნი, ეტყობა, სერიოზულად ფიქრობდნენ, რომ თუკი ყველა ტიპის საზოგადოებრივ ავტორიტეტს მოსპობდნენ, მათ ადგილს ავტომატურად თვითონ დაიკავებდნენ. რევოლუციური ძალისხმევა მიმართული იყო არა მარტო ტრადიციული და უკვე ფაქტობრივად წარსულში დარჩენილი ავტორიტეტების (ინტელიგენცია), არამედ შევარდნაძის დროს ჩასახული და ჯერ კიდევ სუსტი ინსტიტუტების – პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო სექტორისა და დამოუკიდებელი მედიის წინააღმდეგაც. ამ ძალისხმევის შედეგი კი ის იყო, რომ ხელისუფლების ავტორიტეტიც დაეცა და უკიდურესად გაძლიერდა ეკლესია, ერთადერთი ინსტიტუცია, რომელსაც სააკაშვილის გუნდმა ვერაფერი დააკლო და დღეს ეკლესიის მორალური ავტორიტეტი ისე მაღალია, როგორც არასდროს. ბუნებრივია, მოვლენათა ამდაგვარმა განვითარებამ ძალიან შეუწყო ხელი რელიგიური ნაციონალიზმის აღმავლობას.

და ეს იქნება კიდევ ერთი ძნელად და მტკივნეულად მოსაპოვებელი სახადი, თუმცა, ვადადმოყოფობის სიმძიმეც და გამოჯანმრთელების სტადიაც დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ წარიმართება პოლიტიკური პროცესები საქართველოში.

აპილოზი

კარგად უნდა გავიაზროთ ერთი მომენტი: დღეს სააკაშვილის მმართველობა საქართველოში არის წმინდა ანაქრონიზმი. ამჟამინდელი პრეზიდენტი ისეთივე პოლიტიკური ბანკროტია, როგორც შევარდნაძე იყო 2003 წლისთვის. არანაირი იდეური და მორალური საფუძველი ამ ხელისუფლების ზეობას საქართველოში დღეს არ აქვს. მხოლოდ რეპრესიული აპარატის ხარჯზე კი ძალაუფლების თვითმიზნური შენარჩუნება დიდხანს ვერ მოხერხდება.

არის მხოლოდ ორი ვარიანტი: ან პრეზიდენტი ეტაპობრივად, დემოკრატიული

პროცედურების მეტ-ნაკლები დაცვით დათმობს მართვის ბერკეტებს ან ამ შემთხვევაში რჩება რეალური ალბათობა პროდასავლური და ლიბერალური ხელისუფლების მოსვლისა ქვეყნის სათავეში, ან ხელისუფლება მაინც შეიცვლება, ოღონდ რუსეთზე ორიენტირებული ნაციონალისტური ძალებით, რომელთა მთავარი იდეური ბაზისი იქნება სწორედ რელიგიური ნაციონალიზმი.

პირველ შემთხვევაში, ქვეყნის დემოკრატიზაცია, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუციების ავტორიტეტის გაზრდა, ეკლესიისა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის დარეგულირება სეკულარობის პრინციპით, არსებითად შეამცირებს იმ რისკებს, რაც რელიგიურ ნაციონალიზმს ახლავს თან. მეორე შემთხვევაში კი, ჩვენ ყველა ვიხილავთ, თუ რას ნიშნავს პრაქტიკულად განხორციელებული რელიგიური ნაციონალიზმი. გარწმუნებთ, ეს იქნება არანაკლებ მძიმე კომპარი, ვიდრე ეთნოცენტრული ნაციონალიზმის გამოვლინებები იყო, შეიძლება უფრო მძიმეც.

იმ ვითარებაში, როცა ურთულესი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების ფონზე პრეზიდენტი „მესტის სიღრმეზავიისა“ და მტკვარზე შუშის ხიდის გადებითა დაკავებული, მისი გარემოცვა კი მხოლოდ იმაზე ფიქრობს, როგორ შეინარჩუნოს მართვის სადავეები, ხელისუფლების კეთილი ნების იმედად ჩემი მტერი იყოს. აქ ყველაფერი დამოკიდებულია, ერთი მხრივ, საერთაშორისო კონიუნქტურაზე (რომელსაც სააკაშვილის მმართველობა აშკარად ვერ ერგება) და, რაც მთავარია, ქართული საზოგადოების ძალისხმევაზე.

არ მინდა, ძალიან პესიმისტური პროგნოზი გავაკეთო და ამიტომ ოპტიმისტურად დავასრულებ; ასე იქნება თუ ისე, მსუბუქი თუ მძიმე ფორმით, რელიგიური ნაციონალიზმის სახადი ჩვენ მაინც არ აგვცდება. სახადი კი იმის სახადია, რომ ქვეყანა მას მოიხდის და კიდევ ერთხელ, უკვე საბოლოოდ გამოჯანმრთელდება. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, ისტორიისთვის ძალიან მოკლე პერიოდში ხუთი სხვადასხვა ტიპის სენი დაძლია ქართულმა ორგანიზმმა. დარწმუნებული ვარ, მეექვსესაც დაძლევს. და ეს იქნება ალბათ ერთ-ერთი უსეროზულესი ნაბიჯი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე.

სწორედ ამ ოპტიმისტურ ნოტაზე მინდა დავასრულო. ჩათვალეთ, რომ მარადიულ კითხვას – „როდის გვეშველება?“ – ჩემდათავად ძალიან კონკრეტული პასუხი გავუცი. **ლ**

რეცენზია

უბმირო თაობა

რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე კინორეჟისორ გიო მგელაძის თეატრალური დებიუტი შედგა. „გაილიმეთ, ჩიტი გამოფრინდება“ დაკარგული თაობის სურათის დახატვას ცდილობს.

ზაზა რუსაძე



სცენა სპექტაკლიდან „გაილიმეთ, ჩიტი გამოფრინდება“, იანვარი 2010

ფოტო: ანა ნიხაიძე

კულისებიდან უსიამოვნო შიშინის ხმა ისმის. რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტული სცენა იღუმალა ბოლით ივსება. ბოლის მზარდი ღრუბელი ვიზუალურად ლამაზ სანახაობას ქმნის და ამ პატარა თეატრალური დარბაზის განუყოფელი ნაწილი ხდება. მაყურებელს კი ჩახუთულობის გრძნობა ეუფლება, როცა თეატრის სცენაზე 9 მსახიობი ჩნდება და ფიქრების ბურუსში იწყებს გზაბნეული აქეთ-იქით ხეტიალს. ექსპერიმენტული სცენიდან მოულოდნელად გინება ისმის: „ქართველებო, თქვენნი მარადიორ დედებს ****“. სწორედ ამ რეპლიკით იწყება კინორეჟისორ გიო მგელაძის თეატრალური დებიუტი „გაილიმეთ, ჩიტი გამოფრინდება“. პიესის ავტორი თავად რეჟისორია და ამ დადგმის განხორციელების შესაძლებლობა მას რუსთაველის თეატრის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვების შემდეგ მიეცა.

გინება წოდებით ბრუნვაში, გარკვეული ტესტია მაყურებლისთვის. მან თავად უნდა გადწყვიტოს სპექტაკლის მსვლელობისას, თუ ვის და რატომ აგინებს სცენიდან

ნიდან მგელაძის მხატვრული პერსონაჟი ლოვა (დათო გოცირიძე). თუმცა, ვინც ეს გინება გაუზარებლად და პირდაპირ შეურაცხყოფად მიიღო, ალბათ, არც პიესის შინაარსზე და არც სიტყვა „მარადიორის“ სემანტიკის შესახებ დაფიქრებულა. „მარადიორი“ ომიანობის დროს ჯარისგან ნებაყოფლობით ჩამოცილებული ჯარისკაცის აღმნიშვნელი სიტყვაა, რომელიც საძარცვად, ნადავლის საშოვნად მიდის. სპექტაკლის თემატური დიაპაზონი ფართოა: თავისუფალი სექსი, ომით გამდიდრებული ბიზნესმენები, ქართული ტრადიციები, ნარკომანია, მოჩვენებითი ქველმოქმედება, ოჯახური სტრუქტურების ნგრევა, თვითმკვლელობა, ქალიშვილობა, აბორტი... და განუწყვეტელი განკითხვა, რომელიც ისე ამოუვიდა ყელში ლოვას, რომ ქართველ „მარადიორებს“ კიდევ ერთხელ აგინებს სცენიდან.

სცენის ცენტრში რკინის თეთრი გინეკოლოგიური სკამი, მარცხნივ კი დიდი ფალოსური ბოძი დგას, სადაც სიღრმეში კი ლურჯი კედელია დარღვეული პერსპექტივით. ეს პოლინა რუდნიკის სცენური

მხატვრობაა. თეატრალური დეკორაცია და რუდნიკის კოსტიუმები ზუსტ შესატყვისობაშია პიესის შინაარსთან. 9-კაციანი სამსახიობო ჯგუფიც რთულ დაგეგმვას შესანიშნავად ართმევს თავს. იგი ექსპერიმენტული სცენის ადეკვატურია და არ კვეთს იმ საფრთხილო ზღვარს, სადაც, ძველი და ახალი კი არა, უბრალოდ ცუდი თეატრი იწყება.

რეჟისორმა სპექტაკლი თითქოს მსხვილი ხედის კინემატოგრაფიული პრინციპით ააგო. თითოეულმა მსახიობმა კი თამაშისას სიფრთხილით დაიცვა კადრირების ზომები. მგელაძის პერსონაჟები დამაჯერებლად მეტყველებენ და ზუსტად ისე, როგორც – დარბაზში მსხდომი პუბლიკა. ამდენად გინება სცენიდან, ყოველდღიურ სასაუბრო ლექსიკასთან ერთად, მხოლოდ ეპატაჟური ხერხი არ არის, არამედ შინაარსის ნაწილია.

მაყურებლისათვის არც პიესის ნარატივი უნდა იყოს უცხო. სცენურ მხატვრულ სახეებში მას საკუთარი თავის ამოცნობის საშუალება ეძლევა: პრაკაზას (ზუკა პაპუაშვილი) და მისი მამის (დათო პაპუაშვილი) ცხოვრებაში ნარკოტიკებს და ხეთურ ალფაბეტს მოჩვენებით ჰარმონიაში შეუძლიათ თანაარსებობა. რეზი (ირაკლი სანაია) შესაშური მჭერმეტყველებით სვამს იმ გინეკოლოგის სადღეგრძელოს, ვინც გელას დედას აბორტი გაუკეთა და ვერ შეამჩნია, რომ ქალბატონი ტყუებზე იყო ფეხმძიმედ. გელა (გოგა ბარბაქაძე) ახლა თავად გინეკოლოგია და უნიჭო ლექსებსაც წერს. ზურა (ზაზა ბარათაშვილი) თითქოს რეზის პერსონაჟთან პაექრობაში აფხაზეთის ომში დაღუპული გმირებისა და ქართული მესიანიზმის თემებს იმგვარი დამაჯერებლობით ანაცვლებს ერთმანეთს სადღეგრძელოში, რომ სცენაზე გათამაშებული აბსურდი დისტანციიდან უფრო რეალური ხდება, ვიდრე ყოველდღიურობაში ხშირად მოსმენელი იმავე შინაარსის სიტყვები.

შემთხვევითი არ არის, რომ მეგობრები ლოვას, ხუმრობით, გმირს ეძახიან. გმირად გახდომის შანსი კი სწორედ მას აქვს, იმდენად შემზარავია მისთვის ეს ჩახლართული სინამდვილე. თუმცა ლოვა გმირი ვერ ხდება და კიდევ ერთხელ მხოლოდ გინებით თუ მოიხიებს გულს.

„გაილიმეთ, ჩიტი გამოფრინდება“ დაკარგული და უბმირო თაობის სურათის დახატვას ცდილობს. პიესის 9 გმირის მსგავსად, თაობაც ხომ ბოლის მეტაფორულ ნისლში სასონარკვეთილი ბოლთას სცემს და გადარჩენის გზების ძიება ჯერ არც კი დაუნყია. **📌**



რადიო „ასწრობი“ გეკატეხებათ კლუბში „ასწრობი“

- ტრადიციული ქართული საზაარულო
- სოცხალი მუსიკა





ბაიკაბუნი ქახის ფოტოზა აღბაჭევა, რაბთვის ცხოვრების ერთ-ერთი საუკეთესო სარუქახია.

American Express® საკრედიტო ბარათი

- მაღალი საკრედიტო ლიმიტი;
- დაჯილდოების პროგრამა - Membership Rewards™;
- განსაკუთრებული შემოთავაზებები;
- უსაფრთხოება;
- მსოფლიო კლასის მომსახურება.

იხილეთ უკეთესად, წილეთ ბარათი.
დარეკეთ ნომერზე: 444 300 ან ეწვიეთ
ვებ-გვერდს: www.americanexpress.ge



American Express®-ის ექსკლუზიური წარმომადგენელი.



My life. My card.